

პუტინი მესამედ A2



არჩევნები სკოლებში შედგა A5



გობელენის მეფე A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 8 ივნისი, 2006 წელი. №125 (1277) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## ამბები

### ირანის რეაქცია "ექვსეულის" წინადადებაზე აშშ-ს დადებით დამოკიდებულებას იწვევს

აშშ-ს პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მზადაა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, თუ ირანი უარს იტყვის ურანის გამდიდრებაზე.

A2

## სამართალი

### ექვმიტანილი შსს-ს ვერსიით

ადვოკატი ეკა ბესელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და მის, როგორც უწყების, წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს.

A4

## საზოგადოება

### როდის იქნება ქვეყანა ძლიერი?

როდესაც ადამიანის მკურნალობა მისი წლიური შემოსავლის 10 პროცენტს აღემატება, ამას საერთაშორისო ენაზე "კატასტროფული ხარჯები" ჰქვია.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 8/06 | 9/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 35 |
| ტყიბული | 29 | 32 |
| სოხუმი | 24 | 27 |
| დმანისი | 28 | 29 |
| გორი | 29 | 30 |
| ონი | 23 | 25 |
| ზუგდიდი | 29 | 33 |
| ახმეტა | 33 | 34 |
| სამტრედია | 31 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7900 |
| ევრო | 2.2944 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3283 |
| რუბლი | 0.0666 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
რევიუ A 6
რევიუ A 7
რევიუ A 8

# "ქაჯების" ახალი შეტევა

სალომე ზურაბიშვილი

ორი თვეა, რაც ჩვენი პარტია "საქართველოს გზა" დაარსდა და ორი თვეა, რაც არ შეწყვეტილა ერთი და იგივე საკითხის გარჩევა: გავუერთიანდებით თუ არა ოპოზიციას. მე იმ ხალხის გამო შევქმენი პარტია, ვისაც მიაჩნდა და მიაჩნია, რომ საქართველოში არსებულმა ხელისუფლებამ არ გაამართლა იმედები და ოპოზიციაც არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჰქვია ახალი პოლიტიკა, ახალი საქართველოს მშენებლობა.

ხალხი გადაღლილია ტყუილებით, პოლიტიკური თამაშებით, გარიგებებით, სკამების განაწილებით და, საერთოდ, იმ პოლიტიკით, რომელიც მიისწრაფვის ძალაუფლებისაკენ, ადგილების დამკვიდრებისაკენ, და არა ქვეყნის ინტერესებისაკენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



# ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა

### რუსეთში ქართული ღვინო ელიტარულად, უკვე დიდი ხანია, აღარ მიაჩნიათ

B

*ფრანგული ბორდო თუ ავსტრალიური შირაზი? იქნებ, კალიფორნიული შარდონე ან ახალზელანდიური ღვინო სოვინიონი ბლანიდან? ალბათ, იტყვით: რა თქმა უნდა, ფრანგული ბორდო! მიზეზიც ადვილი გამოსაცნობია: ფრანგული ღვინო ხომ საუკუნეებმა გამოსცადა! ის, რომ არცთუ ურიგო ღვინოების დაყენება ოკეანის გაღმაც კარგად გამოსდიოდათ, ევროპელებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში შეიტყვეს და...*



# ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

### ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემები




ზურა ყიფშიძე

# მზადება "გეოპოლიტიკური ძვრებისათვის"

### ახლოს ნატო-სთან - შორს რუსეთისაგან

*მეზობელ ქვეყნებში შექმნილი სიტუაციით რუსეთის სახელმწიფო სათათბირო უკვე მეორედ ინტერესდება. თუმცა, ამჯერად, "სააკაშვილის პოლიტიკის განხილვისაგან" განსხვავებით, სათათბიროში "იუშენკოს პოლიტიკაზე" კი არ მსჯელობდნენ, არამედ ზოგადად უკრაინის ნატო-ში მისწრაფებებზე აკეთებდნენ აქცენტს. როგორც ჩანს, "კოლოსალური გეოპოლიტიკური ძვრებისათვის" მზადება რუსეთის უმთავრესი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი იქნება.*

ნიკა თარაშვილი

**"უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება რუსეთსა და უკრაინას შორის 1997 წელს "მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ" ხელმოწერილი შეთანხმების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება,"** - ასეთი განცხადება გაკეთდა გუშინ რუსეთს სახელმწიფო სათათბიროში.

საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის "შეშფოთებამ" უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, კონკრეტული, წერილობითი სახე მიიღო. გუშინ დუმამ უკრაინის უმაღლეს რადას მიმართა წერილით, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო სათათბირო უკიდურესადაა შეშფოთებული უკრაინის ხელისუფლების ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფების გამო. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ დუმას აშფოთებს ყირიმში განვითარებული მოვლენები.

**"უკრაინის სუვერენიტეტის პატივისცემის მიუხედავად, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს არ შეუძლიათ არ აღნიშონ ასეთი გეგმების მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება,"** - ნათქვამია დოკუმენტში.

რუსი პარლამენტარების აზრით, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება **"გამოიწვევს ძალიან ნეგატიურ შედეგებს ორ ძმურ ხალხს შორის ურთიერთობების მთელ რიგ საკითხებში".**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია "არადემოკრატი ლიდერის" მხრიდან სერიოზულ მუქარაზე საუბრობს

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არჩევნების თარიღს არ აცხადებს, არადემოკრატიული ლიდერია.

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი ზეწოლის შედეგად თვითმმართველობის არჩევნების მხოლოდ სეზონი დაასახელა.

ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ სწორედ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა გახდება საჭირო, რათა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების ზუსტი თარიღი დაასახელოს. როგორც "მემარჯვენე" პარლამენტარი აცხადებს, საპარლამენტო უმრავლესობამ ისეთი საარჩევნო კოდექსი მიიღო, რომ ოპოზიციას გაერთიანების გარეშე გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა.

**"სახელისუფლებო ძალამ არ იკმარა ერთპარტიული ცენტრალური სარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება, ისევე, როგორც არადემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობის შექმნა და დღეს უკვე დამატებით გარანტიებს იქმნიან - არ ასახელებენ არჩევნების თარიღს, რათა ოპოზიცია ჯეროვნად ვერ მოემზადოს"**, - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

მისივე განცხადებით, გარდა ამისა, თვითმმართველობის არჩევნებისთვის უზარმაზარი სახელისუფლებო სახსრები იქნება მობილიზებული.

**"თუ გიგი უგულავა არჩევნების თარიღის დასახელების კონტექსტში მეორედ მოსვლაზე საუბრობს, მაშინ მათ თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციისგან ნამდვილი წარღვნა ელით"**, - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

მომავალ ადგილობრივ თვითმმართველობისა და მერის არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარი პრეზიდენტმა ქალაქის მერ გიგი უგულავასთან ერთად თბილისში მშენებარე ობიექტების დათვალიერებისას გააკეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრინციპული ომბუდსმენი კრიტიკის ობიექტი ხდება

თამარ კაციტაძე

სახალხო დამცველის აპარატის ბოლო პერიოდის მუშაობას თუ თვალს გადავავლებთ, აშკარად ჩანს, რომ ოფისის საქმიანობა რადიკალურად შეიცვალა. ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია, ომბუდსმენის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით რეაგირებებზე.

ბოლო პერიოდში ჩვეულებრივ მოქალაქეებში თუ ომბუდსმენის აპარატისადმი ნდობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა, რაც შესული საჩივრების რაოდენობით დასტურდება, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაციები სოზარ სუბარის საქმიანობას სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" სოზარ სუბარს კონკრეტული ფენის დამცველს უწოდებს. **"სოზარ სუბარი მხოლოდ კანონიერი ქურდების და სვანების ინტერესებს იცავს,"** - ასეთი კომენტარი გაუკეთა "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთმა ლიდერმა თეა თუთბერიძემ ომბუდსმენის განცხადებას, რომელიც ბაჩო ახალაიას ქურდებთან ალიანსს ეხებოდა.

როგორც ცნობილია, სახალხო დამცველმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ე.წ. "კანონიერი ქურდის" პლატონ მამარდაშვილის აღიარებითი ჩანაწერი გამოაქვეყნა. მამარდაშვილი აცხადებს, რომ თებერვლის თვეში რამდენჯერმე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას კაბინეტში, სადაც მას დაავალეს იმ ჩანაწერის ორგანიზება, რომელშიც ბუნტის დაგეგმვაზეა საუბარი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ხაინდრავას ინტერვიუ ფრანგულ გაზეთში

გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა "ფიგარო" ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, გიორგი ხაინდრავასთან, ინტერვიუ გამოქვეყნა, სადაც ხაინდრავა სეპარატიზმის ხელშემწყობ გარე ძალებზე საუბრობს.

**"1 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა, იმავდროულად აღნიშნა, რომ ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება. რუსეთი დამოუკიდებლობაზე საუბრობს, ხოლო სამხრეთ ოსეთი კი რუსეთთან მიერთებაზე და მიმართავს მეზობელი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს და მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობს"**, - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

ხაინდრავას თქმით, რუსეთის ქმედებაში ლოგიკა არ არსებობს - იგი ერთს იძახის, მეორეს ფიქრობს, ხოლო მესამეს აკეთებს. ნათქვამის დასადასტურებლად მინისტრმა გასულ კვირას როკის გვირაბით განხორციელებულ სამშვიდობოთა როტაცია მოიყვანა, რომლითაც ეუთო-ს ეგიდით მიღწეული შეთანხმება დაირღვა.

**"ამას რუსეთის სამხედრო ინტერვენცია ჰქვია. გაითვალისწინეთ, რომ მე რუსოფობი არ ვარ და დედა რუსი მყავს"**, - აცხადებს ქართველი მინისტრი.

ჟურნალისტის შენიშვნაზე, რომ რუსეთის მასმედია საქართველოს საომარი განწყობის გამო აკრიტიკებს, ხაინდრავამ განაცხადა, რომ ცუდი ურთიერთობები რუსეთთან საქართველოსთვის მომგებიანი არ არის.

**"ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, რომელიც 200 წელია, თავისი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. რუსეთმა აკრძალა ქართული ღვინო, შემდეგ კი მინერალური წყალი. ჩვენს მიმართ ძლიერი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება. თუმცა, ოსეთის კონფლიქტის მოგვარება ძალის გამოყენებით სისულელე იქნებოდა "**, - განაცხადა მინისტრმა.

ხაინდრავამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის უკანონო არმია 6 ათას ადამიანს ითვლის, იქვე იმყოფება 500 რუსი სამხედრო, აფხაზეთში კი რუს სამხედროთა რიცხვი 1 500-ს აღწევს, თუ არ ჩავთვლით 7 ათას შეიარაღებულ აფხაზს. მთელი ქართული არმია კი მხოლოდ 12 ათას ადამიანს ითვლის, რომელთაგან ათასი ოფიცერი სამხედრო ერაყში, 150 - ავღანეთში, ხოლო 100 კი კოსოვოში იმყოფება. მინისტრის თქმით, როკის გვირაბის გავლით იარაღი, ფული და ნარკოტიკები გაედინება და აღნიშნული ზონა ვერ კონტროლდება.

**"ვისურვებდით, რომ ამ საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებლები, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გარწმუნებთ, ამ საზღვრის კონტროლი რომ ხორციელდებოდეს კონფლიქტი ნახევარ წელიწადშიც მოგვარდებოდა. ეს არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური კონფლიქტია. მისი გაღვივებისთვის კი ადგილობრივი სეპარატისტული ელიტა და გამსახურდიას შეცდომები გამოიყენეს"**, - აცხადებს ხაინდრავა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "სამხრეთ ოსეთი რუსეთის ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ისწრაფვის"

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლიდერის ედუარდ კოკოითის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი რუსეთთან ურთიერთობების გამყარებისკენ და მის ეკონომიკაში ინტეგრირებისკენ ისწრაფვის.

**"იმისგან განსხვავებით, თუ რას აკეთებს საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებაში, ეს ჩვენთვის გარანტირებულ საიმედოობას ნიშნავს, ანუ ჩვენს ინტერესთა შორის რადიკალური სხვაობა არასოდეს იქნება"**, - განაცხადა კოკოითმა.

მისივე თქმით, სამხრეთ ოსეთის რუსეთის ეკონომიკაში ინტეგრირების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. სამხრეთ ოსეთის მრავალ საწარმოს თავისი პროდუქცია რუსეთის ფედერაციის ბაზარზე გააქვს და ეს მაშინ ხდება, როდესაც საქართველოსგან დე ფაქტო რესპუბლიკას ბლოკადის მეტი არაფერი აქვს.

**"საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს სულ უფრო და უფრო არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც სცილდება"**, - ამბობს კოკოითი.

მისივე თქმით, უკვე განხილულია ოსური და აფხაზური ერთობლივი საწარმოების შექმნის პროექტები და ამ პროცესში ჩრდილოეთ ოსეთის ჩართვას იგეგმება.

**"ჩრდილოეთ ოსეთს ტურიზმის სფეროში განსახორციელებელ პროექტებშიც აქტიურად ჩავრთავთ, რათა გაერთიანებული ოსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში წასვლისა და დასვენების საშუალება ჰქონდეთ"**, - განმარტავს კოკოითი და თან დასძენს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ნებისმიერი ეკონომიკური პროექტის განხილვისთვის მზადაა, თუ იგი პოლიტიკასთან არ იქნება დაკავშირებული.

**"ბევრი გვეუბნება - გინდათ ინვესტიციები? მაშინ პოლიტიკურ დათმობებზე წასვლა მოგიწევთ, ჩვენ კი ამგვარი შემოთავაზებები არაფერში გვჭირდება"**, - განაცხადა ედუარდ კოკოითმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კოკოითი და ბაგაფში ვლადიკავკაზს ესტუმრნენ

ორი სეპარატისტული რესპუბლიკის ლიდერი ედუარდ კოკოითი და სერგეი ბაგაფში ვლადიკავკაზში გუშინ ჩავიდნენ და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელს თეიმურაზ მამსუროვს შეხვდნენ.

მამსუროვის თქმით, ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა ყურადღებით ადევნებს თვალს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს და მთელი გულითა და სულით თანაუგრძნობს აფხაზ ხალხს.

**"ჩვენ ვგულშემატკივრობთ აფხაზ ხალხს. ვიცით, რომ თქვენ იცავთ საკუთარ ხალხს, ავლენთ სიბრძნესა და თქვენი ოპონენტებისთვის მოულოდნელ დიპლომატიას. ჩვენ თქვენი სიხარული გვიხარია, თუმცა ბევრს ჩვენი დაახლოება აღიზიანებს. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უმნიშვნელო წვრილმანზეც კი პროტესტებს გამოთქვამს და საპროტესტო ნოტებს აგზავნის,"** - განუცხადა მამსუროვმა ბაგაფშს.

საპასუხოდ, სერგეი ბაგაფშმა აფხაზი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობასა და ძმობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ მათ შორის არსებულ ურთიერთობებს გაფრთხილება და გამყარება სჭირდება.

**"მოვინახულე ბესლანის სკოლა და მემორიალი. ვისაც ომი უნდა, იქ უნდა განვათავსოთ, ჩვენ კი მშვიდობა გვინდა,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

ვლადიკავკაზში შეხვედრის შემდეგ, ბაგაფშმა და კოკოითმა ჩრდილოეთ კავკასიაში სამუშაო ვიზიტი განაგრძეს.

*24 საათი*

**ამა წლის ივნისის თვეში კარდიოლოგიური კლინიკა "გრანდი", ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" მხარდაჭერით, გთავაზობთ სტაციონარულ მკურნალობას 20%-იანი ფასდაკლებით. მკურნალობა ტარდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.**

**კლინიკა "გრანდის" კარდიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი,** *პროფესორი მერაბ ბოხუა*
**მისამართი: ჭავჭავაძის 5 (ყოფილი ლეჩკომბინატის შენობა)**
**ტელეფონი: 22 54 29**

# პუტინი მესამედ

### რუსეთში "მესამე ვადის" მხარდასაჭერი კამპანია მზადდება

დიმიტრი ავალიანი

*უახლოეს დღეებში რუსულ მედიაში დაიწყება მასობრივი სარეკლამო კამპანია რეფერენდუმის მხარდასაჭერად, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისათვის მესამე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. პუტინის პრეზიდენტობის გახანგრძლივების კამპანიის ორგანიზატორები ჩრდილოეთ ოსეთის "საზოგადოებრივი მოძრაობის" წევრები არიან.*



*პუტინი შესაძლოა, მესამედაც გამოდგეს.*

ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია კვლავაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ცენტრისადმი ყველაზე ერთგული ფედერაციის სუბიექტია. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა თავის დროზე ალანიის პარლამენტმა იმ მოტივით გააუქმა, რომ რუსეთის ფედერაციაში მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა არსებობდეს. დღეისთვის კი "ერთადერთი პრეზიდენტის" - ვლადიმირ პუტინის, მესამე ვადით არჩევის კამპანიაც სტარტს სწორედ ჩრდილოეთ ოსეთში იღებს.

ვლადიკავკაზში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია "თანხმობა და სტაბილურობა" აპრილის თვეში რუსეთის კონსტიტუციის 81-ე მუხლის მესამე პუნქტის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას ორი საარჩევნო ვადით ზღუდავს და ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვებას მთელ რუსეთში გეგმავს.

რეფერენდუმის ჩატარებას მისი ინიციატორები უკვე ამ შემოდგომაზე ვარაუდობენ. თუმცა, ამისთვის აუცილებელია 60 დღის განმავლობაში 2 მილიონი ამომრჩევლის ხელმოწერა შეგროვდეს. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ ოსეთში უკვე 50 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს. კანონის თანახმად, ეს მაქსიმუმია, რაც ფედერაციის ერთ სუბიექტში შეიძლება შეგროვდეს.

თუმცა, ოფიციალური განაცხადის შეტანას ჩრდილოეთ ოსეთის საარჩევნო კომისიაში საინიციატივო ჯგუფი არ ჩქარობს. ამას მაშინ გააკეთებენ, როდესაც სულ მცირე ფედერაციის 40 სუბიექტის მხარდაჭერის იმედი გაუჩნდებათ. ეს კი სარეკლამო კამპანიამ უნდა უზრუნველყოს.

სარეკლამო შინაარსის წერილები ათამდე გაზეთში უნდა განთავსდეს. თუმცა, შეკვეთის არსებობას პუტინის კანდიდატურის მესამე ვადით წარდგენის მხარდასაჭერი სარეკლამო მასალის განთავსებაზე ჯერჯერობით მხოლოდ გაზეთი "კომერსანტი" ადასტურებს.

კამპანიის ინიციატორებს არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ თავად პუტინმა მესამე ვადით არჩევის სურვილი არაერთხელ საჯაროდ უარყო. **"პრეზიდენტი კონსტიტუციის გარანტია და თავად არასდროს იტყვის, რომ კონსტიტუციის შეცვლა სურს,"** - აცხადებს "თანადგომა და სტაბილურობის" აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი გიზოევი.

იგი არ განმარტავს, თუ რა თანხებს და რა წყაროებიდან ფლობენ კამპანიის ორგანიზატორები და ვინმე "ოს ბიზნესმენებზე" ბუნდოვნად საუბრობს. სამაგიეროდ, კამპანია ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. მოძრაობის ლიდერია ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილი პრემიერი, ამჟამად კი ტრანსპორტის მინისტრი ალან ბორაძოვი. გარდა ამისა, პუტინის მესამე ვადით არჩევას არაერთხელ ღიად დაუჭირა მხარი ჩრდილოეთ ოსეთის მეთაურმა (პრეზიდენტის პოსტის გაუქმების შემდეგ ეს ალანიაში უმაღლესი თანამდებობაა) თეიმურაზ მამსუროვმა.

ექსპერტების აზრით, მესამე ვადის საკითხის რეფერენდუმზე გამოტანა ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციას, ასევე კანონს რეფერენდუმის შესახებ. კანონი პირდაპირ კრძალავს იმ საკითხების რეფერენდუმზე გატანას, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადებს ეხება. თუმცა, რუსეთის "მემარჯვენე ძალთა კავშირის" პოლიტსაბჭოს მდივანი ბორის ნადეჟინი აქციის ორგანიზატორებს მარტივ გამოსავალს სთავაზობს: **"ოსებს ვურჩევ, თავი არ აიტკიონ, და რეფერენდუმზე პირდაპირ ახალი კონსტიტუცია გამოიტანონ. ამ ახალი კონსტიტუციის შესაბამის მუხლში კი მათ შეუძლიათ ჩაწერონ ერთადერთი წინადადება: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინია"**.

## რუსეთის მთავარ მტრებად ლატვია, საქართველო და ლიტვა დასახელდა

იური ლევადას ანალიტიკური ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით, რომელიც რუსეთის მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნების აღქმასა და მათთან დამოკიდებულებას ეხება, რუსეთის მთავარ მტრებად საქართველო, ლატვია და ლიტვა დასახელდა. ამგვარ კვლევებს ცენტრი ყოველწლიურად ატარებს. წლევანდელი კვლევის შედეგების თანახმად, რუსეთის მეგობარი ქვეყნების "ხუთეულში" მოხვდნენ ბელარუსი - 47 პროცენტი, ყაზახეთი - 33 პროცენტი, ჩინეთი - 24 პროცენტი, გერმანია - 22 პროცენტი და ინდოეთი - 15 პროცენტი.

რაც შეეხება რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილი ქვეყნების "ხუთეულს", იქ ლატვია 46 პროცენტით ლიდერობს. მეორე ადგილზეა საქართველო - 44 პროცენტით, რომლის შარშანდელი მაჩვენებელი 28 პროცენტს შეადგენდა. მესამე ადგილი დაიკავა ლიტვამ (42 პროცენტი), შემდეგ კი მოდიან აშშ (37 პროცენტი) და ესტონეთი (28 პროცენტი). არაკეთილგანწყობილი ქვეყნების სიაში აღმოჩნდნენ ასევე უკრაინა 27 პროცენტით და მოლდოვა 9 პროცენტით.

***ინტერპრესნიუსი***

## ფარდაახდილი საიდუმლო

### ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსთან ევროპის 14 ქვეყანა თანამშრომლობდა

შვეიცარიის პარლამენტის დეპუტატი დიკ მარტი ევროპის საბჭოსთვის შვიდთვიანი კვლევის შედეგების წარდგენას აპირებს, რაც აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსთან ევროპული ქვეყნების საიდუმლო თანამშრომლობას შეეხება. ანგარიშში ნათქვამია, რომ აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის დეპარტამენტთან ევროპის 14 ქვეყანა თანამშრომლობდა.

"ბი-ბი-სი"-ს ჟურნალისტის თქმით, რომელმაც ანგარიშის პირვანდელი ვარიანტის გაცნობა შეძლო, აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს საიდუმლო ობიექტები განთავსებული იყო და შესაძლოა, დღესაც არსებობდნენ პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე. ვარშავასა და ბუქარესტში ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსთან თანამშრომლობის შესახებ გამოთქმულ ვარაუდს ადრე კატეგორიულად უარყოფდნენ.

ვარაუდობენ, რომ ანგარიშის შედეგები სენსაციას მოახდენს, მაგრამ ამ ყველაფერს მყარი მტკიცებულებებიც დასჭირდება.

"მართალია ჭეშმარიტების დადგენამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სამმართევოსთან ამ უკანონო ქმედებებში", - ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის ავტორები ირწმუნებიან, რომ ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და კვიპროსი აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ნებას რთავდნენ გამოეყენებინა მათი ტერიტორიები დროებით ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებად.

არსებობს ეჭვი, რომ ამ რეისებით ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები გადაჰყავდა ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იყვნენ დაკავებულნი.

ინფორმაციის გაჟონვამ უფლებათადამცველთა გულისწყრომა გამოიწვია, რომლებიც აცხადებენ, რომ დაკავებულთა აყვანა უკანონოდ ხდებოდა. თანაც არ არის გამორიცხული, რომ დაკავებულები ეწამებინათ კიდეც.

***ბი-ბი-სი***

## ირანის რეაქცია "ექვსეულის" წინადადებაზე აშშ-ს დადებით დამოკიდებულებას იწვევს

ჯორჯ ბუში თეირანისთვის ბირთვული კრიზისის გადაჭრის გეგმაზე "ექვსიანის" წინადადებათა პაკეტის გადაცემის შემდეგ ირანის რეაქციას "დადებითს" უწოდებს. აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, მან არაერთხელ განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მზადაა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, თუ ირანი უარს იტყვის ურანის გამდიდრებაზე.

უფრო ადრე, ირანი ამტკიცებდა, რომ განიხილავდა შეთავაზებულ წინადადებებს, თუმცა აცხადებდა, რომ არ აპირებდა უარის თქმას "ბუნებრივ და კანონიერ უფლებაზე აწარმოოს კვლევითი სამუშაოები".

ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივანმა ალი ლარიჯანიმ ევროკავშირის უმაღლეს კომისართან ხავიერ სოლანასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ წინადადებათა პაკეტში გარკვეული დადებითი მომენტები არსებობს, თუმცა, არის გაურკვეველი პუნქტებიც.

ლარიჯანიმ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ევროპელები, ისევე როგორც ირანელები, ბირთვული პრობლემების მოგვარებას დიპლომატიური გზით აპირებენ.

**"წინადადებათა პაკეტი დეტალურად უნდა შევისწავლოთ, მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ მოლაპარაკებებს, რათა გონივრულ შედეგებამდე მივიდეთ,"** - განაცხადა ლარიჯანიმ.

ირანს ნებას დართავენ, ურანი გარდაქმნას და ბირთვული რეაქტორისთვის საჭირო საწვავი აწარმოოს. ასეთი ინიციატივა წარმოდგენილია წინადადებათა იმ პაკეტში, რომელიც ირანს შესთავაზეს.

წინადადებათა პაკეტი გასულ კვირას გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი და აშშ) და გერმანიამ ვენაში გასულ კვირას შეათანხმეს. პაკეტი თეირანში შესათანხმებლად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ ჩაიტანა.

ირანთან შეთანხმების მთავარი პუნქტია ურანის გამდიდრების შეწყვეტა. ეს პროცესი ბირთვული იარაღის საწარმოებლად ძალზე მნიშვნელოვანია.

ხვალ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო აპირებს ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც ირანში ურანის გამდიდრებას ეხება. სამგვერდიან დოკუმენტში მოყვანილი იქნება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორთა დაკვირვების შედეგები. ექსპერტები აფასებდნენ ვითარებას ნათანზში განთავსებული ურანის გამდიდრების საწარმოში.

*24 საათი*

### მოკლედ

## ბერძნულმა დიასპორამ ოფიციალურ სოხუმს კატარღები აჩუქა

აფხაზეთის ბერძნულმა დიასპორამ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს რამდენიმე სწრაფმავალი კატარღა გადასცა, რომელზეც სოხუმის ხელისუფლებამ უმართავი რეაქტიული ზუ-23 ტიპის ჭურვებისთვის ქვემეხები დაამონტაჟა.

ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ზაიცევმა რუსულ ინტერნეტგამოცემა "სეგოდნია.რუ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომლის სრული ვარიანტი სოხუმში გამომავალმა გაზეთმა "ნუჟნაია"-მ დაბეჭდა.

ანატოლი ზაიცევის მტკიცებით, ბერძნული დიასპორის მიერ გადაცემული სწრაფმავალი კატარღების გადაიარაღების შემდეგ, აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს მოწინააღმდეგის სამხედრო კატარღებთან შებრძოლება თამამად შეუძლიათ.

მისივე თქმით, სატორპედო დანადგარები აფხაზურ მხარეს არ აქვს, მაგრამ აფხაზეთის ყველაზე სავარაუდო მოწინააღმდეგეს - ქართულ მხარეს მხოლოდ ერთი სატორპედო დანადგარი გააჩნია.

ზაიცევის ინფორმაციით, აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს აფხაზეთის მთელ სანაპირო ზოლზე განლაგებული აქვს სანაპირო დაცვის საარტილერიო ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფილია ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ს-19 დანადგარებით, რომლის ჭურვებსაც ზღვის ნაპირიდან 20 კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ მოწინააღმდეგის კატარღების ჩაძირვა.

ანატოლი ზაიცევის მტკიცებით, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ შეაკეთა მის ხელთ არსებული ყველა ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები და მათი მომსახურებისათვის პირადი შემადგენლობაც მოამზადა. მისივე ინფორმაციით, აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში შექმნილია გამანადგურებელი რაზმი - საარტელერიო-სატყვიამფრქვევო დივიზია, რომელიც სრულ მზადყოფნაშია მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო კატარღების გასანადგურებლად.

**"აფხაზეთზე ზღვიდან ან ხმელეთიდან თავდასხმის შემთხვევაში დანებებას არ ვაპირებთ"**, - აღნიშნავს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი, რომელიც საბჭოთა პერიოდში დამასკოში, თავდაცვის საკითხებში სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის მრჩევლად მუშაობდა. **ინტერპრესნიუსი**

## ლევან ბერძენიშვილი სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან არაფერს ელის

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი 13 ივნისისთვის სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრას "აბსოლუტურად უშედეგოდ აფასებს".

ბერძენიშვილის თქმით, დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან "შედეგზე ორიენტირებული მოლოდინი არარეალურია".

მისივე აზრით, აშკარაა, რომ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრით აშშ საქართველოს ხელით ცდილობს "რუსეთისთვის პირის მობანას და იმ უხერხულობის მოხსნას, რომელიც "დიდი რვიანის" წევრ ქვეყნებს პეტერბურგში ჩასვლასთან და რუსეთის მიერ რვიანის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით აქვთ".

ლევან ბერძენიშვილის მტკიცებით, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე რაიმე შედეგის მიღწევა მაშინ იქნებოდა რეალური, თუ ეს შეხვედრა არა საქართველოს, არამედ რუსეთის ინიციატივით გაიმართებოდა.

"ჩვენ სხვა თამაშში ვართ ჩართული," - აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სააკაშვილთან შეხვედრაზე პუტინის "სწრაფი თანხმობა", რუსეთისავე ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთზე აშშ-ს გავლენის შედეგია.

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა 13 ივნისს სანქტ-პეტერბურგშია დაგეგმილი. **ინტერპრესნიუსი**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ივნისის ბოლოს დროებით შეჩერდება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ივნისის ბოლოს დროებით შეჩერდება. როგორც "BP-აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, ნავთობსადენი 10 დღით, საექსპლუატაციო სამუშაოს დასრულების მიზნით, გაჩერდება.

საექსპლუატაციო სამუშაოები ნავთობსადენსა და ჯეიჰანის ნავთობტერმინალში ჩატარდება.

ვუდვორდის თქმით, ამ სამუშაოებზე დამოკიდებულია ობიექტის შემდგომი უწყვეტი მუშაობა და ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობის ზრდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამჟამად დღე-ღამეში დაახლოებით 200 ათას ბარელ ნავთობს ატარებს. ვარაუდობენ, რომ ორ თვეში მისი გამტარუნარიანობა 300-400 ათას ბარელამდე, ხოლო წლის ბოლოსთვის 500 ათას ბარელამდე გაიზრდება დღე-ღამეში. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# "ქაჯების" ახალი შეტევა

პირველი გვერდიდან

ამიტომ, ჩემი პარტიისთვის და პირადად ჩემთვის, წარმოუდგენელი იქნებოდა, ჩემი მოღვაწეობა დამეწყო იმით, რომ წავსულიყავი გარიგებებზე ჩემამდე არსებულ იმ პარტიებთან, რომლებმაც ხალხის ნდობა და მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, თუნდაც მაშინ, როცა "საქართველოს გზა" არ არსებობდა.

ძალიან უცნაურად მეჩვენება, და ალბათ არა მხოლოდ მე, რომ ერთ დღეს ოპოზიციის თითქმის ყველა პარტიისთვის ვიყავი სრულიად მისაღები და მასახელებდნენ საერთო კანდიდატად; და როგორც კი არ დავთანხმდი მათ თამაშებს, ზუსტად მეორე დღეს, უცებ არავინ დაიშურა ჩემს წინააღმდეგ არგუმენტი და ბრალდება. თურმე არ ვყოფილვარ არც პოლიტიკოსი, არც საქართველო მცოდნია, არც არაფერი. უცებ პარიზელი გავხდი, როცა წინა დღეს ღირსეული ქართველი ემიგრანტების შვილი ვიყავი და ყველაზე მისაღები და საიმედო მერობის კანდიდატი. რა მოხდა?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაბრუნებულმა, როგორც ამბობენ, ვერაფერში გარკვევა ვერ შევძელი, ახლა ყველამ დაინახა, რომ სულ არ ყოფილა გარკვევა საჭირო. "ქაჯებმა" თვითონ გამოიაშკარავეს თავი ჩემს წინაშე. ხელისუფლებაში დამიპირისპირდა ის ხალხი, ვინც 15 წელია საქართველო ჩააგდო იმ დღეში, საიდანაც დღემდე უჭირს გამოსვლა და დღევანდელი ხელისუფლება ყოველდღიურად კარგავს საზოგადოების მხარდაჭერას და ნდობას სწორედ იმიტომ, რომ წავიდა ამ ხალხთან გარიგებაზე და ვერ გათავისუფლდა ამ ძალებისგან; და ამიტომ ვერ ასრულებს იმ მოლოდინს, რომელიც საზოგადოებას ჰქონდა რევოლუციის წინ.

რა მოუვიდათ "პოლიტიკოსებს," რა მოუვიდათ იმ "ექსპერტ-პოლიტოლოგებს," რომლებიც მუდმივად ანალიზს უკეთებდნენ ხან ედუარდ შევარდნაძეს, ხან მიხეილ სააკაშვილს და ხან დღევანდელ ოპოზიციას, და მუდმივად "ცდებოდნენ"? მოუვიდათ ის, რაც მოუვიდა უმრავლესობას, როცა ერთ დღეს ორი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გამომიცხადეს მხარდაჭერა და წარმატებულად შეაფასეს ჩემი საქმიანობა და ერთი კვირის თავზე, იმავე კომიტეტებმა, გადაწყვიტეს, რომ ჩემს საქმიანობაში ყველაფერი მიუღებელი და დასაწუნი იყო.

რა მოხდა? როგორ ადვილად ეცვლებათ შეხედულებები? ნუთუ შეიძლება ამ ხალხს ენდო და მათთან რამე ალიანსში შეხვიდე?

ნუთუ ოპოზიციაშიც ამ ორ დღეში არ გამოაჩინეს თავისი რეალური სახე?!

თუ არა და როგორ შეიძლება, რომ ვინმე - ვინც არ უნდა იყოს - ერთ დღეს გამოახცადო ყველაზე წარმატებულ მინისტრად და მეორე დღეს დასწამო არაპროფესიონალიზმი? როგორ შეიძლება შენი არარსებული კანდიდატურა მოხსნა ადამიანის სასარგებლოდ, რომლის აზრებს არ გაცნობიხარ, შეიძლება არც იზიარებ; რომლის შესახებ, როგორც მერე აღმოჩნდა, ან არაფერი იცი, ან იცი მხოლოდ ცუდი. ვის ატყუებ ამ შემთხვევაში - შენს ამომრჩეველს თუ იმ მომავალ "პარტნიორს", რომელსაც უთმობდი ადგილს?

სწორედ ამ ტიპის პარტნიორობაზე, ამ ტიპის ალიანსებზე, ამ ტიპის ყალბ გაერთიანებებზე ვამბობ უარს და დარწმუნებული ვარ, დიდი ნაწილი მოსახლეობისა ჩემთან ერთად, ასევე, უარს ამბობს.

თუ ამისი ფასი უნდა იყოს დამარცხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხვალ-ვე, დაე იყოს....

რადგანაც დარწმუნებული ვარ, და მე მგონია საზოგადოებაც ამას იზიარებს, ამათთან გაერთიანება ან რამე გარიგებებში შესვლა, იმავე პოლიტიკის გაგრძელების ტოლფასი იქნება, რომელსაც საქართველოსთვის ნგრევის მეტი არაფერი მოუტანია. არც ერთი სკამი, არც მერის, არც სხვა, ჩემთვის არ ღირს იმად, რომ ჩემი პრინციპები დავთმო, რომ თამაშები დავიწყო, რომ მონაწილეობა მივიღო ძალაუფლების განაწილებაში, ხალხი კი, მოტყუებული, კიდევ ერთხელ გვერდზე დარჩეს!

საქართველო ასე არ აშენდება. "საქართველოს გზა" შეიქმნა იმისთვის, რომ გაერთიანდეს დაქსაქსული საზოგადოება საქართველოსთვის, საქართველოს გამო, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე; გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან, ემსახურონ საქართველოს. ამიტომაც ვსაუბრობდით კოალიციურ მთავრობაზე და მზად ვართ ყველა ჩავრთოთ საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის საქმეში.

# სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური გამოცანა

ია ანთაძე

სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი საჯარო გამოსვლები მრავალგვარი განმარტების საფუძველს არ იძლევა. აშკარაა, რომ "საქართველოს გზის" ლიდერმა გადაწყვიტა, თავი არ დაივალდებულოს არც ერთი ოპოზიციური პარტიის წინაშე; არ მიანიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ოპოზიციის გაერთიანების თემას და მხოლოდ საკუთარი მომხრეების ხარჯზე ცადოს თბილისში თვითმმართველობის არჩევნების მოგება. პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ასეთი გადაწყვეტილება მეტისმეტად უცნაურად და სარისკოდ გამოიყურება.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ სწრაფვას ვერავინ დასწამებს. უკიდურესი აუცილებლობის გარეშე არც ერთი პოლიტიკოსი თავის კარიერას მეორეს არ უკავშირებს. 1998 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ასლან აბაშიძემ პირველად შეძლო მრავალსეგმენტიანი ბლოკის შეკვრა, რის შედეგადაც თბილისის საკრებულოში მოქალაქეთა კავშირი დაამარცხა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ბათუმში შექმნილი გაერთიანებაც ასლან აბაშიძის, როგორც პოლიტიკური ცენტრის ლიდერის, სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამებოდა. გადაუდებელმა აუცილებლობამ დააკავშირა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძეც.

დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, თბილისის მერი იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი გახდება, რომელიც ოლქების უმეტესობას მოიგებს და თითოეულ ოლქში არჩევნების მონაწილეთა, სულ მცირე, 30 პროცენტიან მხარდაჭერას მოიპოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ხელისუფლებაზე განაწყენებული ელექტორატის ხმები სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებზე გადანაწილდება, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ისევ "ნაციონალურ მოძრაობას" დარჩება. ამ პირობებში, ცხადია, ოპოზიცია იძულებულია, გაერთიანებაზე იფიქროს და ელექტორატს შესთავაზოს ერთადერთი არჩევანი: ან ხელისუფლება, ან ოპოზიცია.

ეს, ერთი შეხედვით, მარტივი ამოცანა ბევრ სირთულეს მოიცავს. მათ შორის მთავარი ის არის, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას არავინ უნდა გამოაკლდეს, რადგან თუ ხმები სამად გადანაწილდება - ხელისუფლებას, ერთიან ოპოზიციასა და მისგან გამიჯნულ რომელიმე პარტიას შორის - პროტესტული ელექტორატის ხმები მაინც გაიყოფა და ოპოზიციას გამარჯვების შანსი მეტისმეტად შეუმცირდება.

მეორე პრობლემა ისაა, რომ თუ ოპოზიცია გაერთიანდა, ერთმანეთის გვერდით უნდა დადგნენ რესპუბლიკელები, მემარჯვენეები, მრეწველები, კონსერვატორები, სალომე ზურაბიშვილის თუ კონსტანტინე გამსახურდიას მომხრეები, ლეიბორისტები და სხვა დანარჩენებიც. ამომრჩეველს კი, შესაძლოა, სულაც არ მოეწონოს ეს პოლიტიკური ნაზავი, მით უმეტეს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამოცდილი ლიდერები საარჩევნო ტექნოლოგიებს ადვილად აამუშავებენ ასეთი "ჭრელი" ბლოკის წინააღმდეგ. თავისთავადაც ძნელი წარმოსადგენია, რომ, ვთქვათ, ლევან ბერძენიშვილმა და შალვა ნათელაშვილმა ბევრი ადამიანი დაარწმუნონ მათი გაერთიანების ეფექტურობაში.

არსებობს მესამე პრობლემაც. პარტიების პირველი პირები ჯერ მხოლოდ მიმატებაზე საუბრობენ, მაგრამ როცა გაყოფის ჯერი დადგება, შესაძლოა, გაუჭირდეთ. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილს სრულებით არ სურს, გამარჯვებაში ვინმე ჩაიზიაროს და გამარჯვების ნაყოფი სხვებსაც უწილადოს. იგი ამბობს: სიამოვნებით ვიქნები გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, თუ პარტიები მხარს უანგაროდ დამიჭერენო. ასეთი რამ კი, პოლიტიკაში, უბრალოდ, არ ხდება.

ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, გამოცდილი პოლიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორი გზა სულ ორია: ან საარჩევნო გაერთიანება, ან არჩევნების ბოიკოტი. სალომე ზურაბიშვილი, ჯერჯერობით, არც ერთ გზას ეთანხმება და არც მეორეს. იგი მუშაობს და საზოგადოებას არწმუნებს, რომ სხვა პარტიებთან სალაპარაკოდ არ სცალია.

რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სახელისუფლებო პარტიასა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის ეულად დარჩენილ, ახალბედა პოლიტიკურ ძალას და მის ლიდერს? 2006 წლის არჩევნებში - არავითარი, ან თითქმის არავითარი. თუმცა, "მესამე გზის" არჩევანი, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, მიმზიდველად გამოიყურებოდეს.

საბოლოოდ, თუ შევაჯამებთ, დასკვნა ორია: ან ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს სინამდვილეში თბილისის მერობა არ უნდა და სხვა გეგმები აქვს; ან თუ მერობა სურს, ისეთი რისკიანი თამაში აქვს წამოწყებული, რომელში გამარჯვება ყოველგვარ პოლიტიკურ ლოგიკას ეწინააღმდეგება.

ორივე შემთხვევაში, ამ ექსპერიმენტის სავარაუდო შედეგი ის იქნება, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები უკვე მოგებული აქვს, ამჯერად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც გაიმარჯვებს.

**მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.**

# მზადება "გეოპოლიტიკური ძვრებისათვის"

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ რუსმა დეპუტატებმა გუშინდელი განცხადება ყირიმში მიმდინარე მასობრივ აქციებსა და უკრაინის ამ ავტონომიური ერთეულის საკანონმდებლო ორგანოს დემარშს დაუკავშირეს. სამშაბათს, ძირითადად პრორუსულად განწყობილმა ყირიმის პარლამენტმა ივნისი-აგვისტოში დაგეგმილი უკრაინა-ნატო-ს ერთობლივი წვრთნის გაუქმება მოითხოვა. ყირიმი "ნატოსგან თავისუფალი" ზონაა და იქ ნატო-ს ჯარების ყოფნა უკანონოა, - აღნიშნულია ყირიმის საკანონმდებლო ორგანოს მიერ 61 ხმით (სულ ყირიმის პარლამენტში 100 დეპუტატია) მიღებულ დოკუმენტში.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ იმ დღესვე დაგმო ყირიმელ პარლამენტართა გადაწყვეტილება. **"ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება არაფერს ცვლის უკრაინა-ნატო-ს შორის ურთიერთობებში,"** - განუცხადა იუშჩენკომ კიევში ჟურნალისტებს. **"არც ერთი კვადრატული მეტრი (უკრაინაში) არ ეკუთვნის ნატო-ს,"** - დასძინა მან.

სხვათა შორის, უკრაინელთა დადებით დამოკიდებულებაზე ნატო-ს მიმართ მოსკოვში მყოფი უკრიანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოადგილე ანტონ ბუტეიკოც სპეციალურად აღნიშნავდა. **"განცხადება, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქვეყანაში უარყოფითი განწყობა არსებობს, უბრალოდ არასწორია,"** - ამბობს ბუტეიკო მოსკოვში გამრთულ პრესკონფერენციაზე. უკრაინელი დიპლომატის თქმით, წინა მთავრობა "არაფერს უხსნიდა მოსახლეობას და სწორედ ამიტომ დაფიქსირდა გამოკითხვებში უარყოფითი შედეგები". თუმცა, იქვე იგი დასძენს, რომ თუ უკრაინა გადაწყვეტს ნატო-ში შესვლას, სულაც არ იქნება ამისთვის აუცილებელი რეფერენდუმის ჩატარება - უმაღლესი რადას გადაწყვეტილებაც სრულიად საკმარისი იქნება.

**"ყირიმში განვითარებულმა მოვლენებმა გამოააშკარავა ახალი საშიში ტენდენცია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობებს რუსეთსა და უკრაინას შორის,"** - ეს უკვე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული მიმართვის ტექსტის ნაწყვეტია. რუსი დეპუტატების განცხადებით, რუსეთი (როგორც სახელმწიფო) და საერთოდ რუსები - ყირიმის მომავალი ბედის მიმართ გულგრილნი ვერ იქნებიან. რადგანაც, რომ არაფერი ვთქვათ სევასტოპოლში ბაზირებულ რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტზე, იქ, უბრალოდ, მილიონობით ეთნიკური რუსი ცხოვრობს.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მიმართვის უშუალო ინიციატორები სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფი იყო - კონსტანტინ ზატულინის, კონსტანტინ კოსაჩევისა და ანდრეი კოკოშინის ხელმძღვანელობით. მიმართვას ერთხმად დაეთანხმა დუმაში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალა - კომუნისტებიდან დაწყებული, ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატებით დამთავრებული.

თუმცა, აშკარა იყო, რომ კანონშემოქმედთა "ინიციატივა" სრულად იყო შეთანხმებული აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ამის ნათელი დადასტურება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის გამოსვლა იყო დეპუტატების წინაშე. სერგეი ლავროვის განცხადებით, ნატო-ში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო გაწევრიანება "კოლოსალურ გეოპოლიტიკურ ძვრებს" გამოიწვევს. მისივე თქმით, რუსული მხარე ამგვარი ნაბიჯის ყველა მოსალოდნელ შედეგს გათვლის.

ბუნებრივია, დეპუტატების ფონზე საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები გაცილებით თავშეკავებული ჩანდა. ლავროვს არ დავიწყებია აღენიშნა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები სრულიად თავისუფალნი არიან საერთაშორისო ასპარეზზე პარტნიორების არჩევაში. თუმცა, ისიც დასძინა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

**"ამ ყველაფრიდან დასკვნებს ჩვენი პოლიტიკისთვის, ჩვენი საკუთარი ინტერესებისთვის, ჩვენც, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ისე გავაკეთებთ,"** - ხაზს უსვამს ლავროვი. **"ვიმოქმედებთ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. გავთვლით ამ შედეგებს, პირველ რიგში, რუსეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე - მათ შორის უსაფრთხოების სფეროში, ეკონომიკური ინტერესებისა და ამ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობების ინტერესების გათვალისწინებით,"** - აღნიშნა სერგეი ლავროვმა სახელმწიფო სათათბიროში "სამთავრობო საათზე" გამოსვლისას, რითაც თითქოს მიანიშნა, რომ რაც უფრო ახლოსაა რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანა ნატოსთან, მით უფრო შორს იქნება რუსეთისაგან...




*რუსმა დეპუტატებმა გუშინდელი განცხადება ყირიმში მიმდინარე მასობრივ აქციებსა და უკრაინის ამ ავტონომიური ერთეულის საკანონმდებლო ორგანოს დემარშს დაუკავშირეს.*

# ღვინის გამოფენა ქართული და მოლდოვური ღვინის გარეშე

საქართველო და მოლდოვა წარმოდგენილნი არ არიან ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე "ღვინისა და არყის პეტერბურგის გამოფენა - 2006", რომელიც სანკტ-პეტერბურგში გუშინ გაიხსნა. **"გამოფენაზე წარმოდგენილია ხარისხიანი პროდუქცია, ხარისხის მოთხოვნებს კი წელს ქართული და მოლდოვური ღვინოები ვერ აკმაყოფილებენ,"** - განაცხადა ს/ს "ლენექსპოს" წარმომადგენელმა კირილ ივანოვმა.

პეტერბურგში გამოფენაზე წარმოდგენილია 130 ფირმა, სავაჭრო სახლი და კომპანია. მათ შორისაა უნგრეთის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიისა და აშშ-ს კომპანიები. თავად რუსეთს კი 30-ზე მეტი რეგიონი წარმოადგენს.

*ინტერპრესნიუსი*

# ოპოზიცია "არადემოკრატი ლიდერის" მხრიდან სერიოზულ მუქარაზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

მისი განცხადებით, მერის არჩევნები პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს და ამ არჩევნებთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ნაადრევია. არჩევნების დანიშვნას კი იგი ჯერ არ აპირებს, ვინაიდან მანამდე ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

**"არჩევნების დანიშვნას კიდევ დიდხანს არ ვაპირებთ, ამიტომ ვისაც უნდა არჩევნების ჩატარება, მოცდა მოუწევთ"**, - განაცხადა პრეზიდენტმა.

**"არჩევნები მეორედ მოსვლასავითაა, არავინ იცის როდის იქნება, მანამდე კი ყოველი დღე ჩვენთვის არჩევნებია და თითოეული ადამიანისთვის ვაკეთებთ ყველაფერს"**, - დაამატა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტის წევრი ლევან ბერძენიშვილი კი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ადგილობრივი არჩევნების უვადოდ გადადების შესახებ "დემოკრატიაზე სერიოზულ მუქარად" აფასებს.

ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, დემოკრატიული პროცესები ადგილობრივი არჩევნებით რეგულირდება და პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი არჩევნების გაურკვეველი ვადით გადადება, "ქვეყნის შიგნით და გარეთ შეუმჩნეველი არ დარჩება".

მისივე მოსაზრებით, შესაძლოა, ხელისუფლებამ ადგილობრივი არჩევნების გადადება იმის გამოც გადაწყვიტა, რომ კარგად ესმის, "ამ ეტაპზე მას საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს".

ლევან ბერძენიშვილი ადგილობრივი არჩევნების გადადების მეორე მიზეზსაც არ გამორიცხავს და მიაჩნია, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დაგეგმილი შეხვედრის შედეგებს ელოდება. გარდა ამისა, ბერძენიშვილის თქმით, ადგილობრივი არჩევნების გადადებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრეზიდენტ პუტინს მიანიშნა იმის შესახებ, რომ 13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით თბილისისთვის სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში "ქართული მხარე მკაცრ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ასეთ შემთხვევაში კი ადგილობრივი არჩევნებისთვის აღარავის ეცლება".

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# გორის ტერაქტის საქმე სასამართლოშია

გორის რაიონულ სასამართლოში დაიწყო გასული წლის 1 თებერვალს გორის პოლიციასთან მომხდარ ტერაქტში ბრალდებული ოსი ეროვნების სამი კრიმინალის სასამართლო პროცესი.

გიორგი ვალიევი, გიორგი ზასიევი და იოსებ კოჩიევი თბილისის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სასამართლო პროცესზე გუშინ დილით ჩაიყვანეს.

განსასჯელების გარდა, სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ დაზარალებულები და ტერაქტის დროს გარდაცვლილი სამი ქართველი პოლიციელის - მინდიაშვილის, იაკობიძისა და მთვარელიძის ოჯახის წევრები.

შეგახსენებთ, რომ ტერაქტში ეჭვიტანილები ქართველმა სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე თვეში სხვადასხვა ადგილას დააკავეს. გიორგი ვალიევი და გიორგი ზასიევი ტერაქტსა და ცხინვალში მოქმედ "განსაკუთრებულ საქმეთა" ჯგუფში მონაწილეობას აღიარებენ. რაც შეეხება იოსებ კოჩიევს, იგი აღიარებს, რომ ამ ჯგუფის წევრი იყო და სხვადასხვა ოპერაციაში მონაწილეობდა, თუმცა - გორის ტერაქტში მონაწილეობას უარყოფს.

სასამართლო პროცესზე გიორგი ზასიევმა დაასახელა ორი პირი - რუსი პოლკოვნიკი იგორი და ანდრეი ზასიევი, რომლებიც 1 თებერვლის ტერაქტს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ.

**"თავად იგორი და ზასიევი კი დავალებებს მოსკოვიდან იღებდნენ",** - აცხადებს გიორგი ზასიევი. მისივე თქმით, ტერაქტში ჯგუფის შვიდი წევრი მონაწილეობდა და მათ კონკრეტული დავალებები რუსმა პოლკოვნიკმა და ოსი ეროვნების ანდრეი ზასიევმა ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის ტერიტორიაზე შეხვედრისას მისცეს.

გიორგი ზასიევი აცხადებს, რომ ამ ჯგუფის წევრებიდან დაოჯახებული მხოლოდ ის არის და, აქედან გამომდინარე, მეტი მუქარა სწორედ მასზე მოდიოდა. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ დავალებას არ შეასრულებდა, ტერაქტის ორგანიზატორები ცოლ-შვილის ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ.

ზასიევისა და ვალიევის თქმით, ტერაქტის შედეგი მათთვის ცნობილი არ იყო, ვიდრე რადიოს ეთერით არ მოისმინეს ადამიანების დაღუპვის შესახებ. ზასიევი აცხადებს, რომ რუსი პოლკოვნიკი მას არწმუნებდა, რომ მხოლოდ შენობა დაზიანდებოდა და აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყვებოდა.

**"შედეგი რომ მცოდნოდა, ტერაქტში მონაწილეობაზე, მუქარის მიუხედავად, უარს ვიტყოდი",** - აცხადებს ოსი ეროვნების განსასჯელი.

**"ანატოლ სისოევი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო კოკოითის შემდეგ, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ ტერორისტულ-დივერსიულ აქტებს. გორის ტერაქტის გახსნის შემდეგ მის მიერ დაგეგმილი კიდევ რვა ტერორისტულ-დივერსიული აქტის საქმე გაიხსნა, ყველა მონაწილე დაკავებულია. ერთი წელი მოვანდომეთ ამ საქმეზე მუშაობას, ორი მონაწილე მტრის ზურგიდან, ფაქტობრივად, მოვიტაცეთ, რის შემდეგაც ძალზე სერიოზული ინფორმაციები და საბოლოო, ჩვენთვის სასურველი შედეგიც მივიღეთ - უმნიშვნელოვანესი საქმე გავხსენით. გორის ტერაქტი პირველი ისეთი საქმეა, რომლის პრაქტიკულად რეალურად გახსნაც მოვახერხეთ და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების იმ კვალის გამოვლენაც, რომელმაც საქართველოში არა ერთი ტერაქტები განახორციელა,"** - ასე აფასებს გორის ტერაქტის საქმეს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

შსს-ს ინფორმაციით, ჯგუფის ხელმძღვანელი, ანატოლი ივანეს ძე სისოევი რუსეთის თავდაცვის სამინიტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანი, დპსს პოლკოვნიკი გახლავთ, რომელიც რუსეთმა 2004 წლის ივნისში ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მივლინა. რუსეთის სპეცსამსახურის კადრის ჩინიანი ოფიცერი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე ტერორისტუილ-დივერსიული აქტი დაგეგმა და რომელიც სამხედრო წვრთნას უტარებდა სპეცჯგუფებს, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ, ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილია, საქართველოს შსს-მ რუს კოლეგებს 18 წერილი გაუგზავნა და სისოევის დაკავების საქმეში დახმარებას სთხოვდა, თუმცა უშედეგოდ.

გორის ტერაქტში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იქნება, რადგან ბევრი მოწმე და ბევრი დაზარალებულია დასაკითხი.

*24 საათი*

# პრინციპული ომბუდსმენი კრიტიკის ობიექტი ხდება

პირველი გვერდიდან

პლატონ მამარდაშვილის დაკითხავა გენპროკურატურამ ჩვენების გამოქვეყნებისთანავე დაგეგმა, თუმცა ადვოკატის არყოფნის გამო, პატიმრისთვის ჩვენების ჩამორთმევა მაშინ ვერ მოხერხდა, ხოლო იმისთვის, რომ განსასჯელზე ზეწოლა არ განხორციელებულიყო, მას მთელი ღამის განმავლობაში სახალხო დამცველის წარმომადგენელი იცავდა.

გუშინ პატიმარ მამარდაშვილთან სახალხო დამცველის ოფისის მიერ დაქირავებული ადვოკატი გამოცხადდა და იგი მთელი დღის განმავლობაში ჟურნალისტებთან ერთად ელოდა გენპროკურატურის წარმომადგენელს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამართალდამცველები მამარდაშვილის დაკითხვას ჯერჯერობით არ გეგმავენ, რადგან ამ ეტაპზე ისინი მხოლოდ მასალების შესწავლით არიან დაკავებული.

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ე. წ. "კანონიერ ქურდთან" შეხვედრის შემდეგ ადვოკატმა თენგიზ ლატარიამ განაცხადა, რომ მამარდაშვილი იგივე ჩვენებას იძლევა, რასაც სახალხო დამცველთან.

სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიგა გიორგაძე კი ირწმუნება, რომ პროკურატურის თანამშრომლების დაგვიანება მამარდაშვილის ჩანაწერის რეალურობას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის.



ციხის საავადმყოფოსთან პროკურატურის მოლოდინში.

ინტერპრესნიუსი

**"არ გამოვრიცხავ, რომ პროკურატურა დროს წელავს, რათა პლატონ მამარდაშვილზე ზეწოლა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ მამარდაშვილი ჩვენებას შეცვლის, აშკარა გახდება, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა,"** - განაცხადა გიორგაძემ.

მამარდაშვილის აღიარებით ჩვენებას და ომბუდსმენის მხრიდან მის გავრცელებას გამოეხმაურნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას აზრით, ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებებით სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა თავი არასერიოზულ მდგომარეობაში ჩაიყენა.

**"სახალხო დამცველის ინსტიტუტი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი, დემოკრატიული ინსტიტუტია და სამწუხაროა, რომ ომბუდსმენმა კომიკურ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი",** - ამბობს ბოკერია, რომლისთვისაც "ბუნტთან" დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას ჯერჯერობით 27 მარტის მოვლენებისთვის საბოლოო შეფასება არ მიუცია.

**"ციხის ბუნტი მოხდა იმისთვის, რომ "კანონიერ ქურდებს" ავიწროებენ. ბუნტის შესახებ წინასწარი მუქარებიც იყო. ბუნტი არანაირად არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს ინტერესებში,"** - აღნიშნა ბოკერიამ.

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი კოკა გუნცაძე კი ხელისუფლებისგან ძმები ახალაიების დაპატიმრებას ითხოვს. როგორც გუნცაძემ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ კანონის შერჩევითი გამოყენება საფრთხეს უქმნის მათსავე ხელისუფლებას.

**"ვეკითხები ხელისუფლებას - თუ ძროხის ქურდი ზის ციხეში, რატომ არ ზის იმავე საპყრობილეში მკვლელი და სადისტი; ასევე, მოვუწოდებ გენერალურ პროკურორ ადეიშვილს, ნუ ემალება საზოგადოებას, მიიღოს თამამი გადაწყვეტილება და ბრალი წაუყენოს ყველა დამნაშავე თანამდებობის პირს,"** - ამბობს გუნცაძე, რომელიც ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს და მასმედიას ურჩევს, ყურადღება მიაქციონ პატიმარ მამარდაშვილს, რომელმაც ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მისცა. ამასთან, პარლამენტარი ირწმუნება, რომ ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფმა კიდევ ორმა პატიმარმა მისცა, რომელთა ვინაობასაც იგი ამ ეტაპზე არ ასახელებს.

# ეჭვმიტანილი შსს-ს ვერსიით

*ადვოკატი ეკა ბესელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და მის, როგორც უწყების, წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს. საუბარია სეკო ხაბულიანის მკვლელობაზე. როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დილარ ხაბულიანის ძმისშვილი, 22 წლის სეკო ხაბულიანი რამდენიმე დღის წინ ბარნოვის ქუჩაზე, კაფე "პრაღასთან" მოკლეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მას ხუთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მკვლელობიდან ორ დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა და მკვლელობაში ეჭვმიტანილიც დაასახელა. სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სეკო ხაბულიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის მიხეილ სვანიძის ფოტო გამოაქვეყნეს; მეტიც, ტელეეთერით მთელი დღის მანძილზე ვრცელდებოდა შსს-ს მიერ გავრცელებული სვანიძის, როგორც ძებნილის, ფოტო.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

თუმცა, როგორც მიხეილ სვანიძის ინტერესების დამცველმა ეკა ბესელიამ გაარკვია, გამოძიების მასალების თანახმად, მიხეილ სვანიძე ეჭვმიტანილად არ არის ცნობილი. როგორც ადვოკატი განმარტავს, ეს ინფორმაცია მან თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსისგან მალხაზ ბოხუასგან მიიღო. ადვოკატი ირწმუნება, რომ სეკო ხაბულიანის მკვლელობის საქმე გახსნილი არ არის, როგორც ამას რამდენიმე დღის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად იუწყებოდა.

**"გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსთან მალხაზ ბოხუასთან ვიმყოფებოდი დაცვის ორდერის წარსადგენად. ორდერის საჭიროების მიზეზს ვერ ვხედავ, რადგან სეკო ხაბულიანის მკვლელობაში მიხეილ სვანიძე ეჭვმიტანილად ცნობილი არ არისო. რატომ გავრცელდა ეს ინფორმაცია, არ ვიციო, განმიცხადა მალხაზ ბოხუამ. ეს იყო გამაოგნებელი რამ. თუ მიხეილ სვანიძე გამოძიების მასალებით ეჭვმიტანილი არ არის, მაშინ რატომ აქვეყნებს მის ფოტოს შსს და რატომ აცხადებს მას ძებნილად? ეს ყველაფერი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების, ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევაა. ვაცხადებ, რომ სეკო ხაბულიანის მკვლელობა გახსნილი არ არის,"** - უთხრა "24 საათს" საუბრისას ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

სხვათა შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდიდან გუშინ უკვე ამოღებული იყო რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული, ძებნილად გამოცხადებული მიხეილ სვანიძის ფოტო.

ეკა ბესელიას თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ ცრუ ინფორმაციის გავრცელება ცილისმწამებლური, პატივისა და ღირსების შემლახველია.

მიხეილ სვანიძის ინტერესების დამცველმა თბილისის პროკურორს გიორგი ღვინიაშვილს, გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსს მალხაზ ბოხუას ოფიციალურად მიმართა, გადასცენ ის ოფიციალური დოკუმენტაცია, რითაც ან დადასტურდება ან უარყოფილი იქნება მიხეილ სვანიძის ეჭვმიტანილობის სტატუსი. ამ დოკუმენტის მოპოვების შემდეგ ადვოკატი შსს-ს წინააღმდეგ სასამართლოში საჩივრის შეტანას გეგმავს.

**"მიხეილ სვანიძის სახელდახელოდ ეჭვმიტანილად აღიარება და ამ მკვლელობის გახსნილად გამოცხადება პოლიციის ინტერესებს ემსახურებოდა, რომ კიდევ ერთი გაუხსნელი საქმისგან გამოწვეული უხერხულობა თავიდან აეცილებინათ, მაშინ, როცა, სვანიძის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. ეჭვმიტანილის ფოტოს გამოქვეყნებით პოლიციამ პროვოცირება მოახდინა, რათა მიხეილ სვანიძე მიმალულიყო. თუმცა, გარწმუნებთ, მას დასამალად არ აქვს საქმე ვინაიდან, სახეზეც კი არ იცნობდა მოკლულ სეკო ხაბულიანს"**, - აცხადებს ეკა ბესელია. მისი აზრით, პოლიცია თავის გამართლებას შეეცდება და, შესაძლოა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის გზით, შეძლოს იმის დამტკიცება, რომ წინასწარ გავრცელებული არასწორი ინფორმაცია უტყუარია.

ძებნილად გამოცხადებული მიხეილ სვანიძის ინტერესების დამცველი ცილისმწამებლურ განცხადებაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და მათ დასჯას მოითხოვს. მისი განმარტებით, შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის გამო, მიხეილ სვანიძის ოჯახი საფრთხეშია. საფრთხე ემუქრება თავად ძებნილად გამოცხადებულს - ერთი მხრივ, მოკლულის ახლობლების მხრიდან, მეორე მხრივ კი, პოლიციისგან, რომელიც არასწორი ინფორმაციის გამართლებას შეეცდება.

ადვოკატი მოითხოვს, გამოძიებამ ოფიციალურად უარყოს გავრცელებული ინფორმაცია მიხეილ სვანიძის დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე; ასევე, დაადასტუროს, რომ ვერდიქტი სვანიძის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი არ არის.

# ინციდენტი საპყრობილეში

გუშინ ინციდენტი მოხდა ორთაჭალის საპყრობილეში. გუშინწინ ე.წ. "კრიტიდან" გაურკვეველი მიზნით №5 საპყრობილეში გადმოყვანილი პატიმარი ზურიკაშვილი მოულოდნელად თავს დაესხა მეორე პატიმარს ირაკლი კერესელიძეს. ზურიკაშვილმა კერესელიძეს სამართებლით დაზიანებები მიაყენა, თუმცა, თავდასხმის ობიექტმა მოახერხა მისი მოგერიება და, საბოლოოდ, მისთვის მიყენებული დაზიანებები სიცოცხლისთვის საშიში არ გამოდგა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. ირაკლი კერესელიძე უკვე დაკითხეს მოწმის სტატუსით. თუმცა, მასთან რატომღაც არ შეუშვეს მისი ადვოკატი, ციხის ადმინისტრაციამ მიზეზად სამუშაო საათების დასრულება მოიმიზეზა.

"მართალია, შეხვედრის საშუალება არ მომცეს, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ თავდამსხმელს ირაკლის მოკვლა უნდოდა, უფრო დეტალურად რა მოხდა ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერჯერობით არ ვფლობ ინფორმაციას. პირადად მე, არაერთხელ მივმართე დეპარტამენტს, რომ ირაკლი გადაეყვანათ კოლონიაში, მისთვის რეჟიმი შეეცვალათ, ის საპყრობილეში რამდენიმე წელია უკანონოდ იმყოფება," - აცხადებს ირაკლი კერესელიძის ადვოკატი, რომელმაც დაცვის უფლებების შელახვის გამო, გუშინ სახალხო დამცველსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა და კერესელიძის უსაფრთხოების დაცვაც მოითხოვა. სახალხო დამცველის მოადგილე კერესელიძის ადვოკატს დაჰპირდა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაზარალებულ პატიმარს დღეს მოინახულებენ.

*24 საათი*

## მოკლედ

### სპეცოპერაცია რკინიგზის სადგურზე

გუშინ, გამთენიისას ზუგდიდის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, პოლიციის მტკიცებით, დაკავებულია ორი განსაკუთრებით მძიმე დამნაშავე - მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში მცხოვრები გოჩა ჭკადუა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში მცხოვრები ბაჩუკი მიცაგვარია. პოლიციისვე ინფორმაციით, ჭკადუასა და მიცაგვარიას განზრახული ჰქონდათ ზუგდიდის რკინიგზის სადგურის სალაროს გაძარცვა. ისინი იყვნენ შეიარაღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ეკეთათ ნიღბები და თან ჰქონდათ ხელყუმბარები. გოჩა ჭკადუას სხვადასხვა სასჯელაღსრულებით კოლონიაში 19 წელი აქვს მოხდილი. ჭკადუა და მიცაგვარია ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოთხოვნები უცვლელია

არასამთავრობო სექტორი სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობის ფაქტებს კვლავ ეხმაურება და ხელისუფლებას კონსტრუქციული დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდებს. თუმცა, მათ მოთხოვნებს კიდევ ერთი შეემატა - ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენება. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" ოფისში ამავე ორგანიზაციის წევრების პრესკონფერენცია გაიმართა. როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, ე.წ. "სიკვდილის ბრიგადები", ძმები ახალაიების თამადობით, ხოცავენ უდანაშაულო ხალხს. როგორც პრესკონფერენციაზე განმარტეს, სახელმწიფომ ადეკვატური ზომები უნდა მიიღოს დათა და ბაჩო ახალაიების დასაკავებლად და სასწაფოდ უნდა მოხსნას შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ორგაგანიზაციის წევრებმა გუშინ საღამოს რესპუბლიკის მოედანზე კიდევ ერთხელ ჩაატარეს საპროტესტო აქცია. "აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ხელისუფლება არ დაიწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალჩინოსნების დასჯას, რომელთა გვარებიც გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებთან დაკავშირებით დასახელდა", - აცხადებენ აქციის მონაწილეები. აქციის ორგანიზატორები გუშინ დააკავეს და მათ ადმინისტრაციულ სასჯელს შეუფარდებენ. **ინტერპრესნიუსი**

**შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული კონკურსის შესწორება**

3 ივნისს, გაზეთ "24 საათში" საკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "სადგურ თბილისი-სატვირთოს"საკონტეინერო მოედნის (19305 კვ.მ. მიწის ფართის და მასზე განლაგებული ტექნიკური საშუალებები) დროებით სარგებლობაში იჯარით გაცემის თაობაზე გამოქვეყნებული საკონკურსო პირობების შესწორება.

**- განაცხადების მიღების ვადა -** კონკურსის ჩატარების თარიღამდე 45 კალენდარული დღე, 2006 წლის 3 ივნისიდან 2006 წლის 22 ივნისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის 23 ივნისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**...................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ყაზბეგის 45 "სოფმშენის" შენობის I სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0117 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# არჩევნები სკოლებში შედგა

თამარ ქადაგიძე

*პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ 53-ე საშუალო სკოლას ეწვია, პარლამენტარი გიგა ბოკერია 47-ე მათემატიკურ სკოლაში იმყოფებოდა, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი 21-ე საჯარო სკოლას ესტუმრა, ხოლო განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაიამ 149-ე, ყოფილი პირველი ექსპერიმენტალური სკოლა მოინახულა. მთავრობის წარმომადგენლების გუშინდელი ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სამეურვეო საბჭოების არჩევნებს უკავშირდებოდა.*



ინტერპრესნიუსი

ნინო ბურჯანაძემ ერთ-ერთ კანდიდატს მხარი შვილის - რევაზ ბიწაძის, რეკომენდაციით დაუჭირა. გიგა ბოკერიამ არჩევანი იმ სკოლაში გააკეთა, სადაც მისი შვილი სწავლობს. პარლამენტის თავმჯდომარის მსგავსად, სამეურვეო საბჭოს წევრის არჩევისას შვილის რჩევა გაითვალისწინა გიორგი გაბაშვილმაც.

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ყოფნისას განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში სასკოლო რეფორმის განხორციელება იწყება. **"ეს არის სრულიად ახალი ეპოქა, რომელიც ჩვენს განათლების სისტემას ევროპის ქვეყნების განათლების სისტემასთან აახლოებს. დღეს მოხდა ის, რაზეც 90 წლის წინ საუბრობდა დიმიტრი უზნაძე, მომავლის სკოლა ის სკოლაა, რომელიც მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ იმართება,"** - აღნიშნა მან.

მოგვიანებით, განათლების სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ალექსანდრე ლომაიამ აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო სკოლებში პირველი არჩევნები დასრულდა. მშობლებისა და მასწავლებლების აქტივობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. არჩევნებში მშობლების 70-მა, ხოლო მასწავლებლების 80-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

**"უპრეცედენტო ნდობა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ ამ სისტემას გამოუცხადა, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებით ყველაზე მაღალ, საერთაშორისო სტანდარტების დონეს მივუახლოვდით,"** - აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ არჩევნებმა სერიოზული დარღვევების გარეშე ჩაიარა.

ცნობისთვის, ეს სისტემა ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. საბჭო სკოლის დირექტორს განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან აირჩევს, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება სამეურვეო საბჭოს წინაშე. დირექტორი თავის მხრივ, დაამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის განვითარების გეგმასა და სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას.

სამეურვეო საბჭოები 3 წლით აირჩევა. თუ სკოლაში 500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, საბჭოს შემადგენლობაში 6 მასწავლებელი, 6 მშობელი და 1 მოსწავლე მოხვდებიან. ხოლო თუ სკოლაში 500-ზე ნაკლები მოსწავლეა, საბჭოში 3 მასწავლებელი, 3 მშობელი და 1 მოსწავლე გაერთიანდებიან.

გუშინდელ არჩევნებზე, 53-ე საშუალო სკოლაში კენჭს სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ბაქრაძე და "მრეწველთა" ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილიც იყრიდნენ. გუშინდელი არჩევნების საბოლოო შედეგები 12 ივნისს გახდება ცნობილი. თვითმართველობის არჩევნების პირველი ეტაპი მაისის თვეში თბილისის სამ და კასპის რაიონის ყველა სკოლაში უკვე ჩატარდა.

დაბოლოს, რაც შეეხება სამეურვეო საბჭოებში მოსწავლეთა წარმომადგენლების არჩევნებს, ის მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება.

# აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი მოძრაობა "ვეტერანთა დარბაზის" წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის ლოზუნგი იყო "პრეზიდენტი კვლავ იტყუება". მომიტინგეები ვეტერანთა დასაქმების სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნას მოითხოვდნენ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს "თბილისთან" დადებულ ხელშეკრულებას შეახსენეს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ჩიორა წიკლაურის განცხადებით, შესაბამისი დოკუმენტი ვეტერანებთან 2002 წელს, მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს გაფორმდა, თუმცა დოკუმენტით გათვალისწინებული დაპირებები ამ დრომდე არ შესრულებულა. დაპირებების შეუსრულებლობის გამო აქციის მონაწილეები პასუხს არა მხოლოდ პრეზიდენტისგან, არამედ ოპოზიციის იმ წარმომადგენლებისგანაც ითხოვენ, რომლებმაც თავის დროზე ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს. ვეტერანები სასამართლოში სარჩელის შეტანასაც გეგმავენ.

*ინტერპრესნიუსი*

# სასმელი წყალი სპეციფიკური სუნის გარეშე

ისანი-სამგორის რაიონის მოსახლეობას გაზაფხულ-ზაფხულის სეზონზე სასმელი წყლის სპეციფიკური სუნი აღარ შეაწუხებს. თბილისის მერი გიგი უგულავა და "თბილწყალკანალის" გენერალური დირექტორი გეგი ქელბაქიანი გუშინ სამგორის საფილტრე სადგურში წყლის სეზონური სუნის განეიტრალების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის პროცესს (კოაგულანტისა და აქტივიზებული ნახშირის მიწოდება ნედლ მასალაში) დაესწრნენ. როგორც კომპანიაში აცხადებენ, არასასიამოვნო სუნი თან სდევდა არა მხოლოდ ნედლ, დასამუშავებელ წყალს, არამედ ფილტრატსაც. შარშანდელი წყალდიდობების დროს, წყლის სუნი განსაკუთრებით მძაფრი და ხანგრძლივი აღმოჩნდა, რამაც ძალიან შეაწუხა თბილისის მოსახლეობა. "ტექნოლოგია, რომელიც "თბილწყალკანალმა" ღრმაღელისა და სამგორის საფილტრე სადგურებში დანერგა, გულისხმობს აქტივიზებული ნახშირის ნედლ მასალაში შეყვანას. აღნიშნული ტექნოლოგია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად გამოიყენება, მაგრამ წლების განმავლობაში მისი დანერგვა ვერ ხერხდებოდა ტექნიკური სირთულეების გამო",- აცხადებენ კომპანიაში. "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობამ მეცნიერული კვლევების ჩატარებისა და უცხოელ სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად, შეძლო აღნიშნული ტექნოლოგიის საფილტრე სადგურებში დანერგვა. კომპანიამ შეიძინა აქტივიზებული ნახშირი და მოხდა არა მხოლოდ მისი შეყვანა წყალში, არამედ სრულად განახლდა გამფილტრავი შრეები, შეიცვალა ფილტრაციის სისტემები და განხორციელდა ფილტრების უმეტესი ნაწილის მთლიანი რეკონსტრუქცია.

*ინტერპრენიუსი*

# როდის იქნება ქვეყანა ძლიერი?

*როდესაც ადამიანის მკურნალობა მისი წლიური შემოსავლის 10 პროცენტს აღემატება, ამას საერთაშორისო ენაზე "კატასტროფული ხარჯები" ჰქვია. საქართველოში ჯანდაცვა ყველასთვის უფასო რომ ვერ იქნება, ამის ილუზია არც ექიმსა და არც პაციენტს არ აქვს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების ხარჯები ერთიორად გაიზარდა, თუმცა დღეს სამედიცინო პერსონალის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, ექიმების დაუდევრობასთან ერთად, ჯანდაცვის სფეროს მწირი დაფინანსების ბრალიც რომ არის, ესეც ცხადია.*

თამარ ქადაგიძე

**" რეფორმების განხორციელებას სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს და ვფიქრობ, რომ ჩვენს ხელში ეს სიტყვა დისკრედიტებული აღარ იქნება. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში აქამდე გატარებული პოლიტიკა არც პაციენტზე და არც ექიმზე არ იყო ორიენტირებული. ამ პოლიტიკამ ექიმებს ძალიან ბევრი თავის ტკივილი გაუჩინა და ვერაფრით ვერ გააუმჯობესა პაციენტების, ანუ საზოგადოების ჯანდაცვის დონე,"** - ეს სიტყვები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მიმდინარე წლის იანვრის თვეში გაზეთ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა.

მინისტრმა იქვე დაიქადნა, რომ ექიმთა უწყვეტი განათლების სისტემას კორუფციული ჭაობიდან გამოიყვანდა, რომლითაც მისი თქმით, ძალიან ბევრი ადამიანია გამდიდრებული. ისიც დაამატა, **"როდესაც ფულის კეთების წყაროს მოვუშლი, ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, ჩემი მტრები გახდებიანო"**.

**"ეს კასტა გამოსაცვლელია, ხელმძღვანელებად წესიერი და პატიოსანი ადამიანები უნდა მოვიყვანოთ - ისინი, ვინც ექიმებისა და პაციენტების ნდობით იქნებიან აღჭურვილნი, რომელთაც ექიმი გაყვება და ეცოდინება, რომ ის მის ფულს არ მოიპარავს. ეცოდინება, რომ ყველა ფინანსური ნაკადი გამჭვირვალეა და ფული ავადმყოფამდეც მიაღწევს და ექიმამდეც,"** - ბრძანა მინისტრმა და დაგვპირდა: **"წლის ბოლომდე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში "ვარდების რევოლუციის" დასრულებას ვაპირებ. ყველა ულირს მთავარ ექიმს, უკეთეს შემთხვევაში, სახლში გავაგდებთ."**

საზოგადოებას სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის საკითხისთვის გუშინ ან დღეს არ დაუსვამს კითხვის ნიშანი. პროფესორი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ამირან გამყრელიძე თვლის, რომ დღეს ექიმების პროფესიონალიზმთან დაკავშირებული ამბები, მხოლოდ მინისტრის "სამწყსოს" ბრალეულობით არ იყო გამოწვეული.

**"მას მერე, რაც მე ვიყავი ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე ჯანდაცვის სისტემაში, ამ სფეროს დაფინანსება ორნახევარჯერ გაიზარდა. მაგრამ მისი წილი ზოგადად ბიუჯეტთან იგივე დარჩა. რეფორმა დინამიური პროცესია. ვიყავით სხვა ქვეყანა და გავხდით სხვა. იმისთვის, რომ ეკონომიკურმა წყობამ ახალ წყობას ფეხი აუწყოს რეფორმაა აუცილებელი. ამას დრო სჭირდება, უბრალოდ, რამდენად სწრაფადაც გავატარებთ რეფორმებს, იმდენად სწრაფი უკუგება იქნება. ჩვენ ძალიან რადიკალურ ნაბიჯებს ვდგამდით, მაგრამ ფეხი ვერ ავუწყეთ, რადგან დაფინანსება არ გვქონდა. იმ ვალდებულების შესრულება ვერ ხდებოდა, რაც ქაღალდზე გვქონდა დაწერელი. თუ გვინდა, რომ ჯანმრთელობასა და სოციალურ სფეროში რადიკალური წინსვლა გვქონდეს, მხოლოდ ერთი გზა არსებობს - ქვეყნის ბიუჯეტი მასზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება,"** - ამბობს ამირან გამყრელიძე, რომელიც პარალელს თავდაცვის სფეროს დაფინანსებასთან ავლებს და აღლუმს იხსენებს: **"ვუყურე 26 მაისის აღლუმს და ვნახე ბევრად ძლიერი, ბევრად მომზადებული ქართული არმია და გამიხარდა, ჯარი რომ ძლიერდება. პარალელი რომ გავავლე აღმოჩნდა, რომ ბოლო ორ წელიწადში ჯარის აღმშენებლობისთვის უზარმაზარი თანხა ჩაიდო. ქვეყნის ბიუჯეტში თავდაცვისთვის განკუთვნილი თანხა 10-ჯერ და მეტჯერაა გაზრდილი."**

რუსეთი, კუბა და ლიბია ის ქვეყნებია, რომლის ბიუჯეტიც ქვეყნის თავდაცვაზეა ორიენტირებული. მუდმივად "საბრძოლო განწყობის" მქონე ისრაელის მთავრობაც კი თავდაცვასა და ჯანდაცვას ერთნაირ პირობებში აყენებს.

**"ფაქტია, დღეს ქვეყანა ვითარდება, ასევე პროგრესული ნაბიჯებია გადადგმული ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროშიც, მაგრამ არა იმ ტემპით, რისი საშუალებაც არის. ქვეყნის წარმატებისთვის მთავარია, რომ მისი მოქალაქე იყოს ჯანმრთელი, განათლებული და სოციალურად დაცული. მაშინ იქნება ძლიერი ქვეყანა. ჯანდაცვის სფეროს ბოლო 2 წლის განმავლობაში რამდენიმე სერიოზული კვლევა ჩატარდა. დღეს, საქართველოში ჯანმრთელობის სფეროში მთლიანად იხარჯება დაახლოებით 600-650 მილიონი ლარი, აქედან სახელმწიფოს წილი მხოლოდ 25 პროცენტია, დაახლოებით 150-180 მილიონი ლარი. დანარჩენს ადამიანი ჯიბიდან იხდის,"** - ამბობს ამირან გამყრელიძე და თვლის, რომ უნდა გაიზარდოს სამედიცინო პროგრამების დაფინანსება. მაგალითად ონკოლოგიის პროგრამის რეალური ღირებულება დღევანდელი საბაზრო ფასებით 10-15 მილიონი ლარია, სახელმწიფო კი 4,5 მილიონს იხდის. ფსიქიატრიის პროგრამას 10-12 მილიონი ლარი სჭირდება, და ეძლევა 3 მილიონი ლარი. ეს ნაპრალი უნდა ამოივსოს, - მიაჩნია გამყრელიძეს.

**"რაც შეეხება საექიმო საქმიანობას, არ შეიძლება ყველაფრის ხელაღებით, გამოაშკარავება. ძალიან ცუდია, თუ მოსახლეობა დაკარგავს ექიმის ნდობას. ძალიან კარგად ვიცი ჩვენთან როგორიცაა სამედიცინო განათლების ხარისხი. ისეთივეა, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა. მედიცინაში არის ე.წ. ტაბუდადებული თემები, რომლებიც არ შეიძლება იყოს არაპროფესიონალების გასარჩევი. ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანაში ბევრმა არ იცის, რა არის სამედიცინო შეცდომა, სამედიცინო დანაშაული. დღეს საქართველოში არის ათამდე ექიმი, ვისაც პროფესიულად შეუძლია ამ საკითხზე მსჯელობა, ანუ სად არის დადგენილი ზღვარი შეცდომასა და დანაშაულს შორის, მათ უნდა თქვან. ეს ადამიანები ვერსად დავინახე,"** - აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.




# თავისუფალი სიტყვა

ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას, გადაცემის სტუმარები არიან პარლამენტარი კონსტანტინე გუნცაძე და სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.

**ინგა გრიგოლია:** როგორ შეაფასებთ ე.წ. კანონირი ქურდის პლატონ მამარდაშვილის სკანდალურ აღიარებას?

**კონსტანტინე გუნცაძე:** თვენახევრის წინ გახლდით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მეხუთე საპყრობილეში და თითქმის ყველა პატიმარმა ერთხმად დამიდასტურა იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია 27 მარტის ტრაგიკული მოვლენა. ორი პატიმარი მზადაა წერილობითი ჩვენება მისცეს, უბრალოდ დღეს მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ახალაია თავის თანმხლებ პირებთან, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებთან ერთად შევიდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ჩამოიყვანეს პატიმრები ავალიანი და ვიბლიანი,რომლებსაც პირადად ახალაიამ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ეს არ იყო პირველი ფაქტი, ამას აქვს მასობრივი ხასიათი. მას ხელი შეუბრუნეს და ამას მოჰყვა სპეცდანიშნულების რაზმის მიერ პატიმრების სასიკვდილო ცემა. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ხმაური და და ეს ყველაფერი გადაედო მეხუთე საპყრობილეს. შემდეგ იყო მღელვარება და სპეცდანიშნულების რაზმმა აბსოლუტურად არაადეკვატურად ჩაახშო ეს მღელვარება, საკნებში ჩაცხრილეს პატიმრები. ამას ადასტურებს ის ტყვიები, რომლებიც მე იქიდან გამოვიტანე. გამოყენებული იყო "აკს"-ის ტყვიები.

**ი.გ.**: პოლიტიკურად რას ნიშნავდა ხელისუფლებისთვის, როდესაც სახალხო დამცველი გამოდის, აკეთებს განცხადებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელზე, როდესაც, იგივე ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ იქ არ ყოფილა ბუნტის ჩახშობა?

**სოზარ სუბარი:** მოვიპოვე მასალები და მეორე დღეს გავაკეთე განცხადება მამარდაშვილთან დაკავშირებით, რომ ის თანამშრომლობდა ციხის ადმინისტრაციასთან და სწორედ ასე მოხერხდა ეს ჩანაწერი. ეს ინფორმაცია ბუნტიდან რამდენიმე დღის მერე მქონდა, თუმცა არ მქონდა ამის დამამტკიცებელი არაფერი. მამარდაშვილის განცხადება, ყოფილი, თუ მოქმედი ქურდის სიტყვა არაფერს ნიშნავს ჩემთვის, უბრალოდ არის რამდენიმე დეტალი, რაც მის ნათქვამს სარწმუნოს ხდის. რამდენიც არ უნდა თქვან, რომ სამკურნალო დაწესებულება არ არის მეშვიდე საპყრობილე და იქ თავისუფლად დადიან პატიმრებიო, შეიყვანეთ ჟურნალისტები და ნახავენ, რომ ეს არის აბსოლუტურად განცალკევებული ორი საკანი პატარა დერეფნით. ვიბლიანის იქ მოხვედრა შეუძლებელია ადმინისტრაციის გარეშე მომხდარიყო. პატიმარი ზედელაშვილი უმძიმესი ავადმყოფია, მისი გადაადგილება შეუძლებელია, გამოიყვანეს ოთახიდან დასვეს დერეფანში, შემოიყვანეს ვიბლიანი და დაიწყეს საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა მიეყენებინა ვილაცას თვითდაზიანება. ეს მაფიქრებინებს, რომ მამარდაშვილის ნათქვამი, წინასწარ დადგმული სპექტაკლის შესახებ, სიმართლეს შეესაბამება.

**ი.გ.** როგორ ფიქრობთ, როდესაც სახალხო დამცველი ასეთ სერიოზულ კომპრომატს აქვეყნებს, რა უნდა მოჰყვეს ამას?

**კ.გ.** საფუძვლიანი ეჭვი და შინაგანი რწმენა მქონდა, რომ ბაჩო ახალაია იქმნიდა ალიბს, რომ შემდეგში გაემართლებინა სადისტური მოქმედებანი. ეს იყო ტიპური მცდელობა პატიმრების მხრიდან მის მიმართ მიმართული კამპანიის სიმულირების და ალიბის შექმნის. მოხარული ვარ, რომ ჩემი შინაგანი რწმენა სოზარ სუბარის მოპოვებულმა ვიდეომასალამ და პატიმრის ჩვენებამ გაამყარა.

აქ არის ერთი გამოსავალი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მოსადისტო, პათოლოგიური თვისებების მქონე ადამიანები სასწრაფოდ უნდა მოაცილოს ამ ხელისუფლებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძმები ახალაიები და მათი მამა მივლენ მეშვიდე საპყრობილეში იმ პატიმრების გვერდით, რომლებსაც თვითონ აწამებენ. ეს ასეც იქნება, ეს გარდაუვალია, უბრალოდ დროის საკითხია. დრო არ მუშაობს სააკაშვილზე, მან უნდა მიიღოს სასწრაფო გადაწყვეტილებები და ეს ადამიანები, რომლებიც შემჩნეულნი არიან სადიზმში, პატიმრების წამებაში მოაცილოს ხელისუფლებას.

მივმართავ ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის თავმჯდომარე ვალდებულია, გააკეთოს ადეკვატური განცხადება.

**ი.გ.** როდესაც კეთდება განცხადება, რომ რეალურად ეს ყველაფერი ბაჩო ახალაიას მხრიდანაა მოწყობილი, რას ნიშნავს ეს, რაში აწყობდა ეს ყველაფერი მას?

**ს.ს.** აქ არ არის ლაპარაკი ამბოხის ორგანიზებაზე, თავად მამარდაშვილმაც თქვა, რომ ამბოხზე არ უფიქრია არავის. იყო ლაპარაკი ალიბის შექმნაზე, რასაც მოჰყვა გაუთვალისწინებელი რეაქცია და შედეგები. საბოლოოდ ეს ამბავი რამდენიმე ადამიანის სიკვდილით დამთავრდა.

# ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

## ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემები

ნანა ჭრელაშვილი

"მოვა დრო, როცა თეატრის ბატონ-პატრონი, მთავარი შემოქმედი კვლავ არტისტი იქნება! იმიტომ რომ რეჟისორული ხერხი, ტრიუკი, რარიგ კარგიც უნდა იყოს, იგი თეატრი არ არის, ან სხვა თეატრია!" - დღემდე არ ახდა დიდი მაესტროს მიხეილ თუმანიშვილის ეს წინასწარმეტყველება. მეტიც, რაც დრო გადის, მსახიობების ყოფა ჩვენს ქვეყანაში უფრო რთულდება. რადგან თეატრისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება მხოლოდ პოპულისტური და დილეტანტურია. თეატრში რეფორმების გატარება სერიოზულ შესწავლასა და კვლევას მოითხოვს, შეუძლებელია მართვის უცხოური სისტემების ზუსტი ასლით გადმოღება და დამკვიდრება ისეთ დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ ორგანიზმში, როგორიც ქართული თეატრია. წლების განმავლობაში ქართული რეჟისორული და სამსახიობო სკოლები უდიდესი წარმატებით ქმნიდნენ კულტურას, რომელმაც მსოფლიოს გააცნო და გამორჩეულ ჭრილში დაანახა ქვეყანა. თუკი საბჭოთა ეპოქის ქართულ თეატრში ნამდვილი ვარსკვლავცვენა იყო, დღეს ჩვენს დამოუკიდებელ სამშობლოში ეროვნული თეატრი სერიოზული საფრთხის წინაშეა. წარსულისადმი ნოსტალგია (ვგულისხმობ საბჭოთა ეპოქას) უსამართლო იქნება, მაგრამ ქართული თეატრის ის ეპოქა ნადვილად მოგვენატრა.

დღევანდელი ხელისუფლებისა და თეატრის ურთიერთობა პაციენტისა და დაუკვირვებელი ექიმის ურთიერთობას ჩამოჰგავს. როცა მკურნალობას ყოველგვარი კვლევისა და დაკვირვების გარეშე ნიშნავს, რაც უდავოდ უარყოფით შედეგს გამოიღებს.

დღეს, ბევრი შიდა და გარე, ღია და დახურული პრობლემა დგას თეატრის წინაშე. მსახიობებმა ნოდარ მგალობლიშვილმა და ზურა ყიფშიძემ მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მარჯანიშვილისა და კინომსახიობთა თეატრის წარმატება. მათი რანგის მსახიობებზე ნებისმიერი წარმატებული თეატრი იოცნებებდა. ალბათ ძნელია დაჯერება, რომ ეს ორი ჩვენი დროის უნიჭიერესი არტისტი, ისევე ებრძვის ყოფით პრობლემებს, როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

ბატონი ნოდარი ხელისუფლების თეატრისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულებისა და თეატრში მიმდინარე რეფორმების გამო დიდხანს დუმდა, რასაც ასე ხსნის: **"ხელისუფლებასთან და მათ პრინციპებთან ბრძოლა, ქარის წისქვილებთან ბრძოლაა და მე დონ კიხოტი არ ვარ!"** მაგრამ ტკივილი იმ საქმისა, რომელიც გიყვარს და მთელ ცხოვრებას სწირავ, დიდხანს დუმილის უფლებას არ გაძლევს.

დღეს სამი თაობის მსახიობები - **ნოდარ მგალობლიშვილი, ზურა და გიორგი ყიფშიძეები** თეატრის თანამედროვე პრობლემებზე ისაუბრებენ.

### ნოდარ მგალობლიშვილი:

### "თეატრები სახიფათო გზას დაადგნენ"

**- ეს ისეთი პრობლემაა, რომელსაც ყოველდღიური თვალთვალი სჭირდება. თუმცა ერთი შეხედვითაც იგრძნობა, რომ თანდათან თეატრები ერთმანეთს ემსგავსება. უფრო ადვილი მისაღწევი გახდა სპექტაკლის სანახაობითი ფორმის გამოჩენა, ყველა ეჯიბრება ერთმანეთს ახალ, თანამედროვე ხერხების მოძიებაში, ყოველგვარი ფსიქოლოგიური სიღრმეების ძიების გარეშე. თეატრის არსებობა კი იმით არის საინტერესო, რომ უნდა განსხვავდებოდეს თავისი მიმართულებით, გამოსახვის საშუალებებით, თვისებებით. თუ ყველა ერთმანეთს დაემსგავსება, მაშინ თეატრი აღარ იქნება ის ადგილი, სადაც მაყურებელი ახალი საიდუმლოს მოლოდინით სიამოვნებას მიიღებს.**

**დღეს კიდევ ერთი ცუდი და შემაშფოთებელი ტენდენცია გაჩნდა. მაყურებელი მიილტვის იქ, სადაც მეტი გართობა და სანახაობა ელის. ამისთვის არსებობს გასართობი თეატრებიც, მაგრამ თუ მაყურებელი ყველა თეატრში ამ განწყობით წავა, ეს ტრაგედია იქნება. მარტო თეატრს არ ვგულისხმობ, ხელოვნების სხვა სფეროშიც ასეა. თუ სასაცილო არ არის, მაყურებელი ინტერესს კარგავს. ჩემი აზრით, გარედან შემოსულმა მეთოდურმა ჩარევამ თავისი შედეგი გამოიღო, ეს არის არა მარტო ხელოვნების, არამედ პოლიტიკური აქტი. საერთაშორისო პოლიტიკა აწარმოებს ზეწოლას ყველა სფეროზე, გლობალიზაციამ შეჭამა მსოფლიო. ერმა დაკარგა თვითგამოხატვის ძალა და გაურკვეველი გზით წავიდა. გაჩნდა ცისფერი საზოგადოება, რომელსაც ბაირაღი აუფრიალეს. ტენდენციაა ისეთი, რომ ადამიანებიც ჩაცმის სტილით, აზროვნებით ერთმანეთს დაემსგავსნენ. დაიკარგა ტრადიციები, რის შენარჩუნებაში ჩოხით სიარულს არ ვგულისხმობ, მთავარია, ინდივიდუალიზმი არ დავკარგოთ....**

**საქართველოში ისტორიულად ორი ტიპის თეატრი არსებობდა - ბერიკული და ფსიქოლოგიური, განცდის თეატრი. ბერიკაობა არ არის ტინგიცობა, მას თავისი დანიშნულება ჰქონდა. უძღვნიდნენ სხვადასხვა დღესასწაულებს. როცა თეატრის თვითმიზანი ხდება იაფფასიანი ხერხებით მაყურებლის გაცინება, ეს ნიშნავს იმას, რომ სახიფათო გზაზე დგას. საზოგადოება თანდათან კარგავს მთავარ ტრიბუნას - თეატრს.**

**გარდა ამისა, დღეს ძალიან მომძლავრებულია რეჟისორული ხელოვნება. უწინ რეჟისურა მეორე პლანზე იყო და მსახიობის პროფესია წინ. ახლა ეს რატომღაც დაიკარგა. ახლა სჭირდებათ მარიონეტები. ე.ი. არტისტი შემსრულებელი უნდა იყოს რეჟისორის ყველა ნებისა და მოთხოვნის. სპექტაკლზე მუშაობის დროს კონფლიქტი რეჟისორსა და მსახიობს შორის აღარ არსებობს, ამის გარეშე კი შეუძლებელია ღირებულ შედეგზე ვიფიქროთ. რეჟისორები ეჯიბრებიან ერთმანეთს ფორმების ძიებაში. ზოგის საქციელი სითავხედეშიც კი გადადის. კონკრეტულად არ მინდა ვისაუბრო, მაგრამ ამის სერიოზული ტენდენციაა.**

**საშემსრულებლო ხელოვნებამაც უარყოფითი ცვლილებები განიცადა, მსახიობები ცდილობენ უცნაური თამაშის ხერხები იპოვონ. მარჯანიშვილის თეატრში მისულს ინდივიდები დამხვდნენ, ახლა კი, რატომღაც, ყველა ერთმანეთს ემსგავსება. ამიტომაც, აღარ მაინტერესებს თეატრში ყოფნა. თეატრი არის ფსიქოლოგიური ძიებისა და წარმოსახვის არენა და თუ ეს დაიკარგა, მაშინ ემსგავსება ძალიან ზედაპირული ფორმების მაძიებელ ცირკს.**

**როგორც სახელმწიფოში, თეატრშიც აუცილებელია ოპოზიციის არსებობა. როდესაც ურთიერთობები ერთგვაროვანი ხდება, იქ არ არის ბრძოლა იმისათვის, რომ მსახიობმა თავის პიროვნება დაამტკიცოს. ზოგს ეშინია საკუთარი სიმართლის გამოხატვის და როდესაც ადამიანური შიშის დრო დგება, იქ იღუპება საქმე. თუ პიროვნებები არ არიან თეატრში, არაფერი გამოვა. სამწუხაროდ, დღეს ამაზე აღარავინ ფიქრობს, მთელი აქცენტი ყოფაზეა გადატანილი. გაიაფდა მორალი. საუბედუროდ, დღევანდელმა თეატრმა ვერ მოახერხა ადამიანი სწორი გზით წაეყვანა.**

ბატონი ნოდარი ყოველთვის გაურბის თეატრის შიდა კონფლიქტებზე საუბარს, ეს მისთვის ძალზე მტკივნეული თემაა. საზოგადოებისთვის ცნობილი პრობლემების გამო მან თეატრის დატოვებაც კი გადაწყვიტა. მას და მის თაობას ტრაგიკული ბედი ერგოთ. რამდენიმე ათეული წლის წინ მარჯანიშვილის თეატრში თაობათა ბრძოლის დროს, ახალგაზრდა თაობამ უყოყმანოდ დაუთმო თეატრი უფროსებს და რუსთავის თეატრში გადაინაცვლეს. დღესაც, სწორედ ამ თაობას უწევს დათმობაზე წასვლა. **"ჩვენ იდეისთვის ვიბრძოდით და არა მატერიალური კეთილდღეობისთვის. ჩვენ უფროსი თაობისთვის ულტიმატუმის ენაზე არ გვილაპარაკია, წავედით თეატრიდან და ასეც უნდა ყოფილიყო. ვთვლი, რომ სწორად და ღირსეულად მოვიქეცით".** როცა ნოდარ მგალობლიშვილის პოტენციალის მსახიობი ტოვებს თეატრს, ეს თეატრის, მაყურებლის ტრაგედიაა და ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს.

თავად მსახიობი თეატრში განვითარებულ მოვლენებს სახელისუფლებო პოლიტიკად მიიჩნევს.

**-მარჯანიშვილის თეატრში იყო წარმატებული და ჩრდილოვანი პერიოდიც, იყო კონფლიქტებიც, სხვანაირად საქმის კეთება შეუძლებელია, მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა, ხელისუფლებისგან მიზანმიმართული ბრძოლაა თეატრის მიმართ.**

**მათ მიაგნეს სუსტ წერტილს და ადვილად შეძლეს დაეშალათ დასი. ხელისუფლებამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება, რომ ერთი ვაშლის გამო ყველანაირ აქტზე მოაწერინებს ხელს. რეპრესიების წლებში მასიური დასმენები მიდიოდა, განაწყენებული ადამიანები ერთმანეთს არ ინდობდნენ. დღესაც ამ ინსტიტუტის გაცოცხლება მიდის. მე ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც ერთმანეთს აგინებენ, ასმენენ, ერთმანეთის პატივისცემას კარგავენ თვითგადარჩენის გამო, არ შემიძლია. მაშინ, როცა სახელმწიფოს უკიდურესად უჭირდა, ხელფასებს ვერ არიგებდა, გაიოზ კანდელაკმა ორკესტრი ჩამოაყალიბა, დაყავდა გასტროლებზე და თეატრს ასე ეხმარებოდა. მოძებნა ადამიანი, რომელიც ზრუნავდა მსახიობებზე. ჩართული ჰყავდა მეგობრები და ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის თეატრის გადარჩენაში. ასეთ კაცს უმიზეზოდ და უაპელაციოდ უშვებენ თაეტრიდან. ფაქტობრივად გამზადებულ თეატრში მოჰყავთ ადამიანი, რომელიც მათ ნება-სურვილს შეასრულებს. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება. რაც გვინდა, ისე იქნება - ასეთია მათი დამოკიდებულება, რაც არაერთხელ სხვადასხვა სიტყვებითა და ფორმით არის გაჟღერებული, ტელევიზიით და საქმითაც ამტკიცებენ.**



ნოდარ მგალობლიშვილი

არის დაუწერელი კანონები, რომელიც თეატრებში ოდითგან არსებობდა. სტილსა და ჟანრს თავად ირჩევდა და რეჟისორების განაწილებაც ამ ნიშნით ხდებოდა. როცა მიხეილ თუმანიშვილის ორი მოწაფე რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ, მათ ზუსტად აირჩიეს ის თეატრები, რომლებსაც თავიანთი სტილისტიკით მოერგებოდნენ. დღეს ძნელი წარმოსადგენია რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები ერთმანეთის გარეშე, მაგრამ თუ გაცვლიდნენ, [illegible]

დღეს მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ახალგაზრდა, პერსპექტიული რეჟისორი ლევან წულაძე დაინიშნა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ის ერთ-ერთი დამაარსებელია სარდაფის თეატრების. მას ამ საქმეში სერიოზული წვლილი მიუძღვის, მაგრამ რამდენად შეძლებს მარჯანიშვილის თეატრს შეუნარჩუნოს ინდივიდუალობა, საკამათოა, რის საფუძველსაც მისი რადიკალურად განსხვავებული ხელწერა და სტილისტიკა გვაძლევს. ეს საკითხი კიდევ ერთი პრობლემაა მარჯანიშვილის მსახიობთა გარკვეული ნაწილისთვის. ამ საკითხზე ნოდარ მგალობლიშვილი ფიქრობს რომ:

**- თეატრი იარსებებს, იქნება წარმატება, ტაში, მაგრამ ეს თეატრი სხვა იქნება. ლევან წულაძე მოიტანს ახალ ესთეტიკას. მანერა ხერხი, მსოფლმხედველობა დაემსგავსება სარდაფის თეატრებს. არ ვარ წინააღმდეგი დადგას სპექტაკლი, ამის უფლება ნებისიერ რეჟისორს აქვს, მაგრამ წინააღმდეგი ვარ იყოს სამხატვრო მიმართულების განმსაზღვრელი.**

ბატონმა ნოდარმა ცოტა ხნის წინ უარი თქვა გიზო ჟორდანიას შემოთავაზებაზე "სამგროშიან ოპერაში" პიჩემი ეთამაშა. სადაც მას ახალ, განსხვავებულ ამპლუაში იხილავდა მაყურებელი.

- ბატონო ნოდარ, როგორც მაყურებელმა, საყვედური მინდა [illegible]

**- როლზე უარის გამო გიზო ჟორდანიამ მითხრა, რომ ვილატონდი. მაგრამ უარი რომ არ მეთქვა, საკუთარ თავს და პრინციპებს უღალატებდი. [illegible] ეს არის პროტესტი, იმის მიმართ რაც ირგვლივ ხდება.**

### ზურა ყიფშიძე:

### "არ მახსენდება უფრო დიდი კრიზისი თეატრში, როგორც დღეს"

მსახიობი ზურა ყიფშიძე იმ ადამიანებს მიეკუთვნება, ვინც დაბადებიდან თეატრში გაიზარდა, ვისთვალწინაც განვითარდა მრავალი საინტერესო თეატრალური პროცესი. სამწუხაროდ, ვერც ის იხსენებს უფრო დიდ კრიზისს თეატრში, ვიდრე დღეს არის.

**- არ მახსენდება უფრო დიდი კრიზისი თეატრში, როგორც დღეს. ეჭვი მეპარება სარეპერტუარო თეატრის არსებობაში. საშინელი ფრაზაა, - დავანგრიოთ ყველაფერი და ახალი ავაშენოთ. რატომ? ფასეულობების გადაფასება არ გულისხმობს ფორმის დაკარგვას. როდემდე უნდა გვქონდეს მიმავალი მოწაფის განცდა?! კულტურის დრო ჯერ არ არის - ხშირად მოისმენთ. როგორც არ უნდა განვითარდეს სარეპერტუარო თეატრი, თუ სახელმწიფომ არ მისცა შესაბამისი დაფინანსება, ის დიდხანს ვერ იარსებებს.**

მსახიობი განსაკუთრებით მწვავედ აყენებს სარეჟისორო და სამსახიობო სკოლების არსებობის საკითხს, რაც საფუძველია თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის.

**- ჩვენს ქვეყანაში პრობლემები, როგორც ყველა სფეროში, თეატრშიც არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე მწვავედ დგას სამსახიობო სკოლის არსებობისა და განვითარების საკითხი. სამწუხაროდ, აღარ იზრდებიან ოსტატები, რაც საგრძნობი გახდა დღევანდელ თეატრში. მიხეილ თუმანიშვილი გიორგი ტოვსტონოგოვის მოწაფე და მისი გზის გამგრძელებელი გახლდათ. მან აღზარდა ძალიან ბევრი საინტერესო მსახიობი. დღეს უკვე აღარ ჩანს მისი გზის გამგრძელებელი. პედაგოგად ქცევას განსაკუთრებული ნიჭი და უნარი სჭირდება. ის უნდა იყოს შინაგანად ძალიან მოწესრიგებული, მრავალმხრივ განათლებული ადამიანი. შეგირდის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხი მზად უნდა ჰქონდეს. რეჟისორს გაცილებით მეტი ცოდნა მოეთხოვება, ვიდრე მსახიობს. ამიტომ, საკუთარ თავზე ასეთი დიდი პასუხისმგებლობის აღებას მარტივად არ შემიძლია შევხედო. მუდამ ვთვლიდი, რომ უნიჭო პედაგოგი ვიქნებოდი, თუმცა ერთხელ მქონდა მცდელობა, ბატონი მიშას მრავალგზის თხოვნის შემდეგ. მოწაფეებს კვირაში ერთხელ უნდა შევხვედროდი და ჩეხოვის სავარჯიშოებით მემუშავა მათთან. მოწაფეებთან შეხვედრამდე ორი კოლოფი სიგარეტი მოვწიე, ძალიან ვღელავდი. კარგი შეხვედრა გამოვიდა, გახარებული ვიყავი. გამომშვიდობებისას მათ ვთხოვე შემდეგ შეხვედრაზე შავი რეიტუზები ჩაეცვათ. ერთი ვერელი ბიჭი ძალიან შეურაცხოფილი დარჩა ჩემი წინადადებით და ეს გამოხატა კიდეც, რაც ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის. იმ დღეს დაიწყო და დამთავრდა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. სამწუხაროდ, ჩვენთან ისეთი ტენდენციააა, რომ არშემდგარი, თეატრზე განაწყენებული, გალიზიანებული მსახიობები იწყებენ სხვის სწავლებას. შეუძლებელია ამ დროს ჯანმრთელ პროცესზე ვისაუბროთ. როცა სამსახიობო სკოლის შესუსტებაზე ვსაუბრობთ, აქვე იგულისხმება სარეჟისორო სკოლის პრობლემები. ჩემი აზრით, კარგია რემონტიანი კეთილმოწყობილი თეატრები, შეუფასებელია იმ ადამიანის სიკეთე, ვინც ამხელა ქველმოქმედება გაიღო, მაგრამ უნდა გამოჩნდნენ ის ადამიანებიც, ვინც იმ პრობლემის გადაჭრაზეც იზრუნებს, რაზეც ვისაუბრე და რაზეც დამოკიდებულია თეატრის არსებობის საკითხი.**

ზურა ყიფშიძის სცენაზე გამოჩენა ყველა დროში, ყველა თაობისათვის დღესასწაული იყო და არის, მაგრამ დღეს მისი შემოქმედებითი პოტენციალი არ არის რეალიზებული. ბოლოს სპექტაკლში "ემიგრანტები" ითამაშა. ეს გადაწყვეტილება ათონელის თეატრში შექმნილმა არაჩვეულებრივმა გარემომ მიაღებინა. ის გაოცებულია თეატრის დამფუძნებლის რეზო სალუქვაძის დამოკიდებულებით, თავისუფლების ხარისხით სადადგმო ჯგუფების მიმართ. ეს ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთი პარადოქსია. როგორც აღვნიშნე, ზურა ყიფშიძე ხშირად არ გვანებივრებს ახალი როლებით, რის მიზეზსაც საკუთარ თავში ხედავს:

**- რთული კაცი ვარ. ახლგაზრდა რეჟისორთან ვმუშაობდი. რაღაც ვერ გავიგე როლთან დაკავშირებით და ვკითხე. ჩემდა გასაოცრად მითხრა, რომ აზრზე არ ვარ და მაყურებელი რაც უფრო ნაკლებს მიხვდება, უკეთესიაო. წარმოიდგინეთ იმ რეჟისორის დამოკიდებულება არა მარტო მაყურებლის, შენს მიმართაც. ამან გამაგიჟა. მაყურებელს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მე ხომ ვთამაშობ იმისათვის, რომ მან დაინახოს, ამოხსნას და თუ მზად არ ვარ, არ მაქვს უფლება სცენაზე გამოვიდე. დღეს არსებობენ თატრები, რომლებიც ხაჭაპურებივით აცხობენ სპექტაკლებს. მე მათთან და მათი რიტმით ვერ ვიმუშავებ, თატრში კომპრომისზე არასოდეს წავსულვარ, რასაც კინოზე ვერ ვიტყვი. ბატონი მიშას შემდეგ სიამოვნებით ვიმუშავე მისივე მოწაფესთან - თემურ ჩხეიძესთან. მაგრამ ეს სიამოვნება ხშირად არ გვაქვს...**

- ზურა, თქვენს ოჯახში სამი თაობის მსახიობია. ალბათ, თეატრში თაობათა ცვლის პროცესი ერთხელ უკვე მტკივნეულად შეგეხოთ.

**- თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ არ ჩაივლის, მაგრამ როგორ შეიძლება თეატრიდან მოხსნა თაობა, რომელმაც ამდენი გააკეთა და წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნით, გამოცდილებით ახლებისთვის ერთგვარი შუქურაა. ეს პროცესი აუცილებლად ეტაპობრივად უნდა წარიმართოს, სხვანაირად კარგ შედეგს ვერ მივიღებთ.**

ამ თემას მოგვიანებით მესამე თაობის ყიფშიძესთანაც შევეხეთ და, როგორც ჩანს, გიორგიმ არანაკლებ მტკივნეულად განიცადა ეს საკითხი.

**- ლენა ძალიან განიცდიდა, რომ ბოლო წლებში არ იყო სპექტაკლებში დაკავებული, მაშინ როცა ჯერ კიდევ დიდი ენერგია ჰქონდა. თეატრიდან წამოსვლის შემდეგ გახდა და ავადმყოფობა დაიწყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უთეატრობამ მოკლა. დროზე ადრე მსახიობის თეატრიდან გაშვება მკვლელობაა. არც ერთ მსახიობს არ უნდა მაყურებელს უსუსური და გატეხილი დაამახსოვრდეს. ის, როცა იგრძნობს ამის საჭიროებას, თვითონ წავა. ახალგაზრდების დაოსტატებისთვის, თუნდაც თეატრში მუშაობის ეთიკის შესწავლისთვის, წინა თაობების არსებობა აუცილებელია. ბედნიერია ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც თეატრში კახი კავსაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, ზურა ყიფშიძე ხვდება და მათთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცემა.**



გიორგი ყიფშიძე

### გიორგი ყიფშიძე:

### "დღეს ნიჭიერი ადამიანები უარყოფილნი არიან"

კინომსახიობთა და რუსთაველის თეატრის მსახიობი გიორგი ყიფშიძე მთავრობიდან წყალობას არ ელოდება. "დაცული არ ვარ, როგორც მსახიობი კი არა, როგორც ადამიანი", მაგრამ ყველაზე მთავარი პრობლემა მისთვის კარგი მაყურებელია.

**- დღეს ძალიან ვიწრო წრე დარჩა, ვისი კრიტიკაც, აზრიც ფასეულია. როცა თავად მაყურებლის როლში ვარ, ვაკვირდები მათ რეაქციას, ზოგჯერ ძალიან არაადეკვატურია მათი ტაში, ისიც შემინიშნავს, როგორ უყურებენ ერთმანეთს და ამის შემდეგ იცინიან ან პირიქით. ძალიან ძნელია, როცა მაყურებელსა და სცენას შორის სინთეზი დარღვეულია. არ ვიცი რატომ დაიკარგა ეს კულტურა.**

**მე თეატრში გავიზარდე და მახსოვს სპექტაკლზე წასვლა რიტუალი იყო. ისინი საგანგებოდ ემზადებოდნენ ამისათვის. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მსახიობებს ხვდებოდნენ, ერთად არჩევდნენ, სვამდნენ. ინტიმი იყო მათ შორის. თეატრის მსახიობისთვის ეს აუცილებელია, რადგან მას მაყურებლისგან მიღებული მუხტი დიდ ენერგიას აძლევს.**

პრობლემა სკოლების არსებობისა და განვითარების შესახებ მესამე თაობის მსახიობსაც აწუხებს, რადგან არტისტის პროფესია არ არის ინდივიდუალური ხელოვნება, სადაც დამოუკიდებლად შექმნი ნაწარმოებს. კარგი რეჟისორისა და პარტნიორის გარეშე თავადაც უფუნქციო ხდები.

**- დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი არიან, ვინც ასწავლის ხელობას. თანაც დღევანდელი დირექციიდან სხვა მოთხოვნა წამოვიდა. უწინ სპექტაკლზე მუშაობის ხანგრძლივი პროცესი იყო. დღეს მცირე დროში გთხოვენ პრემიერის გამოშვებას. მიზეზად ევროპული თეატრების რიტმი მოჰყავთ. ალბათ უკეთესია ევროპას სხვა საკითხებში მივბაძოთ.**

მამა-ყიფშიძის ქვეყნისადმი ერთგულება შვილსაც გადაედო და მიუხედავად რთული სოციალური პირობებისა, **"აქედან წასვლა ვერ შევძელი, თუმცა გაბრაზებულ ზურას უთქვამს - წადი აქედან, მაგრამ მისგან გადმომედო ქართული თეატრის ერთგულება. შეიძლება დროებით წავიდე, მაგრამ მუდმივად არ შემიძლია."**

- ზურა, როცა გიორგის აქედან წასვლა ურჩიეთ, გულწრფელი იყავით? თქვენ ამაზე არ საუბრობთ, მაგრამ ცნობილია, რომ არაერთ მიწვევაზე გითქვამთ უარი. ხომ არ ნანობთ?

**- ვთვლი, რომ ადამიანი იქ უნდა ცხოვრობდეს, სადაც მისი სამშობლოა. სულ მქონდა იმედი და ამის გამო არ წავედი აქედან, არც ვნანობ. გიორგისგან, როგორც მსახიობისაგან არაფერს ველოდი, მაგრამ მერკუციო რომ ითამაშა, მივხვდი, რაღაც გამოვიდოდა. ის ჯერ ვერ ხვდება დრო რა სწრაფად მიდის, მე უკვე ვიცი და ზოგჯერ მითქვამს - წადი აქედან. მაგრამ ალბათ იმიტომ, ვიცი არ წავა.**

როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში ქართული თეატრის მდგომარეობა სერიოზულ Seswavlas, დაფიქრებას, განსჯასა და მოქმედებას მოითხოვს. თეატრი არ არის ქარხანა, რომელსაც უცხოელი ინვესტორი აგვიმუშავებს, არც სასტუმრო, რომ შენობის განახლებამ განსაზღვროს მისი წარმატება. თეატრში მიმდინარე პროცესები უწყვეტად უნდა მიედინებოდეს, სხვანაირად ყველაფერი დაიკარგება.

ზურა ყიფშიძე: **"თუ არ დამიძახეს რუსეთში სერიალში გადასაღებად, ძალიან მიჭირს ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა. ამ ქვეყანაში წყნარად და მშვიდად ვერ ვცხოვრობ! თავს იმით ვიმშვიდებ, რომ სხვები უარესად არიან, მაგრამ თქვენ მართალი ბრძანდებით, ასე მუდმივად არ შეიძლება.**

ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

# გობელენის მეფე

მზევინარ ხუციშვილი



ევროპაში სიტყვა "გობელენი" ფრანგთა ეროვნული სიამაყეა, იგი ასოცირდება ნაქსოვ სურათებთან და ყველა იმ ნაქსოვ საგანთან, რაც კედლებს ამშვენებს. ესაა, ოსტატობა, რომელიც მოითხოვს უმაღლესი დონის ტექნიკურ შესრულებას და რომელმაც ხელოვნების ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ეტაპი ჩაწერა.

საქართველოში კი გობელენის ხელოვნებასთან რამდენიმე ათწლეულია უკვე გივი ყანდარელის სახელს აიგივებენ. პრაღაში გავლილი სტაჟირების შემდეგ მისმა შემოქმედებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გობელენის ქართული სკოლის დამკვიდრებაში. 1965 წლიდან შექნილი უამრავი ნამუშევრიდან, რომელთაგან ძალიან ბევრი დაფანტულია სხვადასხვა ქვეყანასა და კერძო კოლექციებში, თითოეული საზოგადოებისთვის და მსოფლიოში ცნობილი ხელოვნებათმცოდნეებისთვის ყოველთვის საინტერესო და მისაღები იყო, რასაც დადებითი შეფასებები არ აკლდა. მისი ნამუშევრები ამ ტექნიკის მართლაც სრულყოფილი ნიმუშებია. ხელით შესრულებული მრავალფეროვანი შემოქმედება არის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს თანამედროვე ხელოვნება. ამასთან იგი ბევრს მოგზაურობდა ჩინეთში, რის შედეგადაც დაიბადა მრავალი ნამუშევარი ჩინურ თემაზე. ჩინური ფერწერის აკადემიის სწავლული მდივანი ჭან ჩენი წერდა: "ჩვენ შეგვიძლია მისი შემოქმედების წყალობით დავინახოთ, თუ როგორ აისახა ერთ-ერთი ქართველი მხატვრის შემოქმედებაში დიდი ჩინეთის კულტურა."

ცინხუას უნივერსიტეტის ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი, ჩინეთის ბოჭკოთა ხლართების კავშირის მდივანი ლინ ლეჩენი კი გივი ყანდარელს და მის შემოქმედებას ამგვარად აფასებს:

"საერთაშორისო ტაპისერიის (გობელენის) ხელოვნების არენაზე გივი ყანდარელი მონათლეს გობელენის მეფედ. მართლაც, თანამედროვე ალორძინებული გობელენის მამის - ლურსას შემდეგ გივი ყანდარელი ამ სფეროში მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატია. იგი ახალგაზრდობაში დაინტერესდა გობელენის ხელოვნებით და უკვე 40 წელზე მეტია სწავლობს და ასწავლის ახალგაზრდა თაობას ამ ულამაზეს მხატვრობას.

პროფესორი ყანდარელი განსაკუთრებულ სიყვარულსა და ინტერესს იჩენს გობელენის ხელოვნებისადმი. მისი ხელოვნება არა მარტო გადმოქვცემს მის მოქალაქეობრივ კრედოს, მის პატრიოტიზმს, არამედ უფრო ფასეულს - ნაციონალურ ხასიათს ქართველებისა და უძველესი ქართული კულტურისა."

გივი ყანდარელი 1933 წელს დაიბადა საქართველოში, სოფელ საგარეჯოში. იგი იყო ყოფილი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი და გამოყენებითი ხელოვნების სექციის თავმჯდომარე.

1983 წელს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია. იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამხატვრო აკადემიის გობელენისა და მხატვრული ქსოვილების კათედრის გამგე, თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოსნოს ხელმძღვანელი.

1990 - 2004 წლებში მიწვეული იყო ჩინეთის გამოყენებითი ხელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, აგრეთვე პროვინცია შანდუნის გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტში და პროვინცია ხეილუნძიანის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული პერსონალური გამოფენები მოეწყო: თბილისში, მოსკოვში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში და ესპანეთში, სადაც მისმა ნამუშევრებმა არაერთი დიპლომი და მედალი მიიღო.

ეს მხოლოდ ის მწირი ინფორმაციაა, რაც შეიძლება დაიწეროს და ითქვას გივი ყანდარელის შემოქმედებაზე. თანამედროვე მსოფლიო გობელენის ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი 7 ივნისს გარდაიცვალა, მაგრამ დატოვა შემოქმედება, რომელიც მუდამ ახალგაზრდა და საინტერესო იქნება.

# შოთაიზმები

"სანამ დროა" წაიკითხეთ შოთა იათაშვილის ახალი ლექსები



*შოთა იათაშვილი.*

ია ვეკუა

**დღის მენიუ: სოსისი ესპერანსულად - 4.05; ფორტუნატი - 3.15...** კაფე-მაღაზია "სანტა ესპერანსას" მომსახურე პერსონალს აშკარად დაავიწყდა, რომ იმ დღეს მენიუში შოთა იათაშვილის ლექსებიც ჰქონდათ - ახალი კრებულიდან, უფასოდ და თანაც თვით ავტორის მიერ მორთმეული.

როგორც იქნა, შოთა იათაშვილი პოეზიას დაუბრუნდა. მოთხრობების შექმნისა და მხატვრობაში ძალების მოსინჯვის რამდენიმე მეტნაკლებად წარმატებული მცდელობის შემდეგ (მისი "ფოტომამებისთვის" "საბა" ალალი იქნებოდა) იგი მკითხველს ახალი ლექსებით ამარაგებს. თანაც, სანამ დროა, ვიდრე მის თაყვანისმცემლებს პოეტი-შოთა არ დავიწყებიათ.

იათაშვილის ახალ კრებულსაც ასე ჰქვია "სანამ დროა", თუმცა ავტორი მკითხველს უდიდეს არჩევანს სთავაზობს და წიგნის დასათაურების შანსს აძლევს. საქმე ისაა, რომ გამომცემლობა "სიესტას" მიერ დასტამბული "სანამ დროა" ერთობ ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა. დიზაინერმა ქეთი კილურაძემ თეთრ ყდას წითელი ლიანდაგი (სალაპარაკო ენაზე "სტროჩკას" რომ ეძახიან) შემოარტყა და წიგნის სათაური ყდაზე მიკერებულ წითელი ნაჭრის ნაკუწზე განათავსა. დიდი შანსია, ეს ნაკუწი ღილივით სადმე დაკარგოთ და ხელში მხოლოდ თეთრი ფურცელი შეგრჩებათ. უსათაურო წიგნი კი აბა, რა წიგნია!.. უსათაურო ლექსი ჯობია!..

იათაშვილის ახალი წიგნის პრეზენტაციაზე მოსული ლექსის მცოდნეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ავტორმა ამჯერად რითმიანი ლექსების კრებული შემოგვთავაზა, რაც მისი შემოქმედებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია. ასევე თურმე ისიც იგრძნობა, რომ პოეტი გაიზარდა და სერიოზულ პოეზიაში იმკვიდრებს თავს. თუმცა რამდენიმე "შოთაიზმი" კრებულში მაინც მოხვდა. მაგალითად, "ეკოლოგიური ოდა":

**ნაძვს დიდება,**
**ფიჭვს დიდება,**
**ალვას დიდება!**
**ესაა ჩვენი**
**ჭეშმარიტი**
**ავლა-დიდება!**

მეტი რა გინდათ - რითმაც აქვს და აქტუალურიცაა ("ტყე შეუნახე შვილებსა")...

როგორც წესი, ავტორები საკუთარი ნამოღვაწარის პრეზენტაციაზე ზედმეტად იმორცხვებენ და როდესაც რაიმე ნაწყვეტის წაკითხვას სთხოვენ, აჰ, არა, არას ძახილით იმალებიან. შოთა იათაშვილი ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია, რადგან იცის, რომ ავტორზე კარგად ლექსს ვერავინ წაიკითხავს.

შოთა კარგად კითხულობს, მშვიდად, ლაღად, სიტყვებს უკვირდება, თითქოს იხსენებს, თვითოეულ მათგანს როგორ იგონებდა და ლექსად კრავდა. "ახლა ერთ ლექსს წავიკითხავ, აბა თუ მიხვდებით..." და კითხულობს: "გაზაფხულის დილა იყო მშვიდი, ჩიტებისთვის გამხმარ პურს რომ ვფშვნიდი". ცხადია, ყველა ხვდება და ორიგინალი ტექსტის ავტორის სულიც სადღაც იქვე დაფრინავს...

შოთა იათაშვილი ყველაფერთან ერთად დროის მხარდამხარ მოსიარულე პოეტია და არ ავიწყდება მნიშვნელოვანი მოვლენების პოეტურად აღწერაც. ლექსი, რომელიც მოახლოებულ "მუნდიალს" ეძღვნება, მოწოდებასავით ჟღერს: "მარდად გადაიცვი მაისური, მარდად გახურდი"... იათაშვილი ბუდასავით გასიებულ მარადონასაც და გულშემატკივართა მიერ "დაბრედილ" ესკობარსაც იხსენიებს. მიმართავს ფეხბურთელებს, ყოფილ მოთამაშეებს, გულშემატკივარს, ტელემაყურებელს, მსაჯებს და ბოლოს თვითოეულს შეახსენებს, რომ ოდესმე ყველას შეცვლიან, ხოლო სათადარიგოთა სკამი გრძელია... ამიტომ უნდა გახურდე - "სანამ დროა"!

# თი-ბი-სი ჯგუფი
# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

თი-ბი-სი ბანკი ჯგუფის აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი ბანკის" და მისი შვილობილი კომპანიის ("ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული საბალანსო უწყისის აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების უწყისთა ("კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება") აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომლის დასკვნა, დათარიღებული 2005 წლის 15 აპრილით, უპირობოა.

ჩვენ აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ საფუძვლიანად დავრწმუნდეთ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების შემოწმებას (ტესტირებას) მტკიცებულებების საფუძველზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის განსაზღვრას და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაკეთებლად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად.

18 აპრილი, 2006

**თი-ბი-სი ჯგუფი**
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი**
2005 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
*(ათას ქართულ ლარებში)*

| | შენიშვნა | 2005 | 2004 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 4, 26 | 54,389 | 37,082 |
| საპროცენტო ხარჯი | 4, 26 | (17,627) | (11,091) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვის ფორმირებამდე | 4 | 36,762 | 25,991 |
| საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | 7,047 | (4,704) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 43,809 | 21,287 |
| გასაყიდი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 15 | 1,161 | - |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასებით მიღებული სარგებელი | | - | 3,498 |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან | 6 | 5,740 | 782 |
| საკომისიო შემოსავალი | 7 | 14,211 | 12,498 |
| საკომისიო ხარჯი | 7 | (2,224) | (1,703) |
| მიღებული დივიდენდები | | 14 | 288 |
| მეკავშირე საწარმოების ზარალის წილი | | (14) | (38) |
| სხვა შემოსავალი | | 1,296 | 1,069 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 20,184 | 16,394 |
| საოპერაციო შემოსავალი | | 63,993 | 37,681 |
| საოპერაციო ხარჯი | 8, 26 | (25,422) | (17,560) |
| საოპერაციო მოგება | | 38,571 | 20,121 |
| სხვა და გარე ბალანსური ოპერაციების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | (58) | (563) |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | | 38,513 | 19,558 |
| მოგების გადასახადი | 9 | (7,314) | (3,811) |
| წმინდა მოგება | | 31,199 | 15,747 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით**

| | | |
|---|---|---|
| გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე | | გენერალური დირექტორის მოადგილე ვანო ბალიაშვილი |

PRELIMINARY DRAFT — FOR DISCUSSION PURPOSES ONLY.
TO BE RETURNED TO DELOITTE AND NOT TO BE REPRODUCED OR DISTRIBUTED IN ANY FORM WITHOUT THEIR PERMISSION

**თი-ბი-სი ჯგუფი**
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი**
2005 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
*(ათას ქართულ ლარებში)*

| | შენიშვნა | 2005 | 2004 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 4, 26 | 54,389 | 37,082 |
| საპროცენტო ხარჯი | 4, 26 | (17,627) | (11,091) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვის ფორმირებამდე | 4 | 36,762 | 25,991 |
| საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | 7,047 | (4,704) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 43,809 | 21,287 |
| გასაყიდი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 15 | 1,161 | - |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასებით მიღებული სარგებელი | | - | 3,498 |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან | 6 | 5,740 | 782 |
| საკომისიო შემოსავალი | 7 | 14,211 | 12,498 |
| საკომისიო ხარჯი | 7 | (2,224) | (1,703) |
| მიღებული დივიდენდები | | 14 | 288 |
| მეკავშირე საწარმოების ზარალის წილი | | (14) | (38) |
| სხვა შემოსავალი | | 1,296 | 1,069 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 20,184 | 16,394 |
| საოპერაციო შემოსავალი | | 63,993 | 37,681 |
| საოპერაციო ხარჯი | 8, 26 | (25,422) | (17,560) |
| საოპერაციო მოგება | | 38,571 | 20,121 |
| სხვა და გარე ბალანსური ოპერაციების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | (58) | (563) |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | | 38,513 | 19,558 |
| მოგების გადასახადი | 9 | (7,314) | (3,811) |
| წმინდა მოგება | | 31,199 | 15,747 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით**

| | | |
|---|---|---|
| გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე | | გენერალური დირექტორის მოადგილე ვანო ბალიაშვილი |

PRELIMINARY DRAFT — FOR DISCUSSION PURPOSES ONLY.
TO BE RETURNED TO DELOITTE AND NOT TO BE REPRODUCED OR DISTRIBUTED IN ANY FORM WITHOUT THEIR PERMISSION

# წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო!**

გთხოვთ გვენდოთ, რომ ჩვენთვის იოლი არ იყო დაგვეძლია უხერხულობა, რაც ქვეყნის პირველი პირის შეწუხებასთან არის დაკავშირებული და, თუ არა საგანგაშო მდგომარეობა, ჩვენს გულისტკივილს ამ სახით არ გამოვხატავდით.

საქმე ეხება ა.წ. 21 ივნისისთვის დანიშნულ კომერციულ კონკურსს, რომლის განხორციელება გულისხმობს სრულფასოვნად ფუნქციონირებადი, მრავალპროფილიანი, კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამკურნალო-სასწავლო სამედიცინო კომპლექსის დაშლას.

გასაყიდად გაწესებულ "სამკურნალო კომბინატის" შენობაში განთავსებულია დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარული განყოფილებები, ლაბორატორიები, ინსტრუმენტალური დიაგნოსტიკის კაბინეტები. ეს ყველაფერი მიღწეული იქნა იმ კოლექტივების შრომით, რომელთაც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისას შენობიდან განსახლება ემუქრებათ.

მედპერსონალის სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფასთან ერთად უგელებელყოფილია იმ ათასობით ავადმყოფის უფლებაც, აირჩიონ მკურნალი, რომლებიც ყოველწლიურად სამედიცინო დახმარებისთვის მიმართავენ აქ არსებულ დაწესებულებებს.

თვალნათლივია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას აკლია არა გასართობი ფეშენებელური ადგილები, არამედ ნორმალური სამედიცინო ობიექტები. მივესალმებით ახლის შენებას, გაძარცულ-გაპარტახებულის აღდგენას, მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია ამის პარალელურად დღეისთვის საუკეთესო დაწესებულებების მოსპობა. ამგვარ სერიოზულ აქციებზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოხელეებთან ერთად საზოგადოებასაც ეკისრება.

თქვენ, როგორც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე საიმედო გარანტს, მოგმართავთ თხოვნით არ დაუშვათ დიდი სამედიცინო დაწესებულების ესოდენ მოულოდნელად გადაწყვეტილი ლიკვიდაცია, ჩამოგვაცილოთ შრომისა და განვითარების ხელშემშლელი პირობები, რათა წყნარ საქმიან ვითარებაში იქნეს შემუშავებული სპეციალიზირებული ობიექტის პროფესიონალური ექსპლოატაციის ყველასათვის მისაღები პირობები.

**"სამკურნალო კომბინატის" შენობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები**

პაულო კოელიოს სვეტი

# ოცი წლის შემდეგ: ლეგენდები გზაზე

2006-ში თავიდან დავადექი სანტიაგო დე კომპოსტელასკენ მიმავალ გზას - იქ ფეხით პირველად და უკანასკნელად მოგზაურობიდან ოცი წლის თავზე. გზამ თავისი ქნა, მივდიოდი და მახსენდებოდა ის ისტორიები, რაც ოცი წლის წინ ზუსტად ამ მიდამოებში მოვისმინე პირველად. თითოეულ ამ ამბავს სხვადასხვა ინტერპრეტაციით ჰყვებიან, მე თქვენთვის მხოლოდ ის ვერსიები ავირჩიე, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესოა.

### ქალაქის დაბადება

უამრავი ლეგენდა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ გაემართა მოციქული იაკობი რომაულ პროვინცია ისპანიაში რწმენის გასავრცელებლად. იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ მას თავი მოკვეთეს.

მისმა ორმა მოსწავლემ ათანასიუსმა და თეოდორემ მისი სხეული უსაფრთხო ნავზე დააწვინეს და აღელვებულ ზღვაში შეცურდნენ, მხოლოდ ზღვის დინებას ანდეს საყვარელი მოძღვრის გვამი და საკუთარი თავი. ბოლოს ისინი ზუსტად იმ ადგილას ჩავიდნენ, სადაც იაკობი უფლის სიტყვას ავრცელებდა. იქვე დამარხეს იაკობი.

გამოხდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს მწყემსი პელაიო სასწაულის მოწმე გახდა. მან საკუთარი თვალით დაინახა, როგორ წამოვიდა ციდან ვარსკვლავების წვიმა. ეს ვარსკვლავთცვენა მწვანე მინდორზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ბოლოს მწყემსმა გადაწყვიტა მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც ვარსკვლავები ეცემოდნენ. პელაიო სამ დანგრეულ საფლავს მიადგა - იაკობისა და მისი ორი მოსწავლის - სწორედ მათ საფლავებზე წვიმდა ვარსკვლავები...

მოგვიანებით მეფე ალფონსო მეორემ ვარსკვლავთცვენის ადგილას ტაძარი ააშენა და "კამპუს სტელა" ("ვარსკვლავების მდელო") უწოდა. იმ დღიდანვე ტაძრის მოსანახულებლად მორწმუნე პილიგრიმების ჯარი დაიძრა. დროთა განმავლობაში კი ლათინური სახელი იცვალა და ბოლოს კომპოსტელა გახდა.

### ნიჟარის სიმბოლო

იმ დღეს, როცა იაკობის ნავმა გალიციას მიაღწია, საშინელი შტორმი ამოვარდა და ნავი კინაღამ კლდოვან სანაპიროს შეანარცხა.

სანამ იაკობის მოსწავლეები სტიქიას ებრძოდნენ, მათ ნაპირიდან გამვლელმა მოჰკრა თვალი და ტალღებში მათ გადასარჩენად ცხენით შეიჭრა. თუმცა, ადიდებულმა ზღვამ ისიც ჩაითრია და ფსკერისკენ წაიღო. შეშინებულმა კაცმა ლოცვა დაიწყო და უფალს შესთხოვა, ჩემი სული დაინდეო. ვედრება დამთავრებული არც ჰქონდა, რომ შტორმი ჩაცხრა და ნავზე მყოფებმაც და უცნობმა ცხენოსანმაც ნაპირზე გამოსვლა შეძლეს. როცა ოდნავ დამშვიდნენ და ათანასიუსმა და თეოდორემ გარშემო მიმოიხედეს, დაინახეს, რომ ცხენიც ნაპირზე იყო და მას სავარცხლის ფორმის უზარმაზარი ნიჟარა ფარავდა.

უცნობი კაცის გმირული საქციელის გამო ეს ნიჟარა კომპოსტელას გზის სიმბოლოდ იქცა. მის გამოსახულებას ამ გზაზე ყველგან შეხვდებით - სახლებზე, ხიდებზე, ძეგლებზე და განსაკუთრებით პილიგრიმების ზურგჩანთებზე.

### ბედისწერას ვერავინ გააცურებს

რეკონკისტას პერიოდში (რელიგიური ომები, რომლის დროსაც ესპანელებმა არაბები იბერიის ნახევარკუნძულიდან გააძევეს), გალიციისკენ მიმავალ გზაზე იმპერატორს მეტოქის ჯარები მონხარდინთან ჩაუსაფრდნენ. ომის დაწყებამდე მან წმინდა იაკობს შესთხოვა გამარჯვება. იაკობი იმპერატორს გამოეცხადა და ჩამოუთვალა იმ 140 ჯარისკაცის სახელი, რომლებიც იმ დღეს დაიღუპებოდნენ ბრძოლაში. იმპერატორმა გადაწყვიტა, ჭკუა ეხმარა და დასახლებული 140 მებრძოლი ბანაკში დატოვა.

შეჯახება მეტოქეებს შორის ნაშუადღევს დასრულდა. იმპერატორი უკან გამარჯვებული და რაც მთავარია უმსხვერპლოდ დაბრუნდა. მაგრამ სამაგიეროდ ბანაკში დახვდა ცუდი ამბავი: კარვებს ცეცხლი წაკიდებოდა და წმინდა იაკობის მიერ დასახლებული 140 ჯარისკაცი დაღუპულიყო.

### დიდების კარიბჭეები

სანტიაგო დე კომპოსტელაში ჩასულმა მოგზაურმა უნდა დაიცვას უამრავი რიტუალი. მაგალითად, ეკლესიის მთავარი შესასვლელის ულამაზეს პორტიკოზე უნდა დადოს ხელი და აი, რატომ: ეს ხელოვნების ნიმუში მეფე ფერდინან მეორემ 1187 წელს ოსტატს სახელად მეთიუს შეუკვეთა. მეთიუ წლების განმავლობაში ამუშავებდა მარმარილოს და ერთ-ერთ კუთხეში თავისი თავიც გამოკვეთა - მთავარი სვეტის წინ მუხლებზე დაჩოქილი. როცა მეთიუმ მუშაობა დაასრულა, ხალხი აღფრთოვანებული დარჩა ამ ულამაზესი კარიბჭით, მაგრამ შრომა მეთიუს ასე დაუფასეს: შეიპყრეს და თვალები ამოთხარეს, რათა დიდებულ ოსტატს მსგავსი მშვენება სხვაგან აღარასად შეექმნა.

**პაულო კოელიოს სვეტების ეს სერია იბეჭდება სანტიაგო დე კომპოსტელაში მოგზაურობის ოცი წლის აღსანიშნავად.**

# პრემია ქალი მწერლისთვის



დიდი ბრიტანეთის ლიტერატურული პრემიის Orange-ის მფლობელი, 2006 წლის საუკეთესო ქალი მწერლის წოდებისთვის ლონდონელმა ზეიდი სმიტმა დაიმსახურა. მწერალმა ქალბატონმა, რომელმაც ჟიურის და მანამდე მკითხველს წიგნი "სილამაზის შესახებ" წარუდგინა.

რომანი აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის ორი პროფესორის ოჯახების ურთიერთობის შესახებ გვიამბობს. ჯერ კიდევ გასულ წელს წიგნი ბუკერის პრემიაზე წარადგინეს, თუმცა ფინალურ ეტაპზე მან პრემია ირლანდიელ მწერალს ჯონ ბერვილს დაუთმო.

სხვადასხვა წლებში ზეიდი სმიტის რომანები Orange-ის ნომინანტთა სიაში ხშირად ხვდებოდა. მაგალითისთვის, როგორც მისი სადებიუტო ნაწარმოები "თეთრი კბილები" და ისე "ხელმოწერების გამყიდველი", თუმცა მაშინ მწერალს ბოლომდე არ უმართლებდა.

აღნიშნული პრემია საუკეთესო დებიუტისთვის ასევე ინგლისელმა ნაომი ოლდერმანმა დაიმსახურა, რომანისთვის "შეუწყნარებლობა". პრემიისთვის ასევე ნომინირებულნი იყვნენ რუსული წარმომავლობის მწერალი ქალი ოლგა გრუშინა პროზაული ნაწარმოებისთვის "სუხანოვას ცხოვრება სიზმრებში" და ჩინელი იუნ ლი წიგნისთვის "კეთილი სურვილების ათასი წელი".

# დე ნიროს 67 სახე



რობერტ დე ნირომ საკუთარი კინოარქივი ტეხასის შტატის უნივერსიტეტს ოსტინში გადასცა საჩუქრად. ასი ყუთი სცენარებით, ვიდეოფირებით, კოსტიუმებითა და რეკვიზიტებით, სულ მალე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გამოიფინება და მათ ფართო საზოგადოებაც იხილავს.

სცენარების ჩანაწერებზე კარგად გაირჩევა დე ნიროს მინაწერები, ის თუ როგორ აზროვნებდა მსახიობი, როცა ამა თუ იმ როლს ამუშავებდა. მსახიობს ფანქრით ყველა დეტალი და ყოველი მოძრაობა აქვს აღბეჭდილი, ხასიათთა თითოეული თვისება და განწყობა თეორიულად, ფურცლებზე აქვს აღწერილი.

რობერტ დე ნირომ სულ 67 ფილმში ითამაშა, მიღებული აქვს ორი ოსკარი ფილმებისთვის "ნათლიმამა II" (რეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა) და "ცოფიანი ხარი" (რეჟისორი მარტინ სკორსეზე).

ჰარი რენსონის სახელობის ოსტინის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კვლევით ცენტრს აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი არქივი გააჩნია. მისი კურატორები აქტიურად იძენენ საინტერესო დოკუმენტებს თანამედროვე კინოს, თეატრის და მათი წარმომადგენლების შესახებ. ბოლო წლების განმავლობაში ცენტრის არქივი შეივსო მსახიობ სტელა ადლერის, რეჟისორ დევიდ სელზნიკისა და მუნჯი კინოს ლეგენდის, გლორია სვენსონის არქივებით.

# ლოტბართა ფოტოარქივი

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში მზადდება ლოტბარების ფოტოარქივი, რომელშიც XIX და XX საუკუნის 20-იანი წლების მომღერლებისა და გუნდების ფოტოები განთავსდება.

როგორც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ელისო შოშიაშვილმა განაცხადა, ფოტოარქივში საქართველოს ყველა კუთხის: სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, კახეთის, ქართლის, თუშეთის, ხევსურეთის, სვანეთის ფოტოები იქნება წარმოდგენილი. ფოტოებს თან ახლავს მოკლე ანოტაციები სიმღერებისა და შემსრულებელი გუნდების შესახებ. დაწვრილებით იქნება აღწერილი გუნდების შემადგენლობა და მოღვაწეობის წლები.

ცელულოიდის ენები

N.B. ეს პლასტიკური ოპერაცია არ გეგონოთ!



თუ თქვენ გაინტერესებთ ან გჭირდებათ უცხო ენები და გიყვართ კარგი ევროპული კინო
ისარგებლეთ ამ ახალი, ევროპაში უკვე აპრობირებული ენების შესწავლის მეთოდით

ცელულოიდის კინოფირებიდან მოლაპარაკე კინოგმირების დახმარებით ისწავლეთ
იტალიური, ესპანური, ფრანგული და რუსული ენები

ხალისიანად! ეფექტურად! საფუძვლიანად!
თქვენს ასაკს და ამ ენების ცოდნის დონეს მნიშვნელობა არა აქვს!

დაგვიკავშირდით!
ტელ. 893 199 321



გვეწვიეთ!
ღია კარის დღე
18 ივნისს, 2006 წ., 18 საათზე
პირველი სკოლის დარბაზში
(მისამართი: რუსთაველის 10, 3-ე სართ.)

P.S. ეს გემოვნების და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების ოპერაციაა!

ცელულოიდის ენები

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემების ინოვაციური რეორგანიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა" პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-ბვერდზე www.undp.org.ge



მეუღლე - მალი ლიუ,
შვილები - ირაკლი და ნინო ყანდარელი,
და - თინა ყანდარელი
ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**გივი ლუარსაბის ძე ყანდარელი**

პანაშვიდი: 9 და 10 ივნისს 18 საათზე
მისამართი: ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის ქუჩა 3
გასვენება: 11 ივნისს




სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## Coca-Cola ალკოჰოლურ სასმელებს გამოუშვებს

უალკოჰოლო სასმელების მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია Coca-Cola თავისი პროდუქციის გამრავალფეროვნებას შეუდგა. ამერიკული გიგანტის მიერ აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ალკოჰოლური სასმელების გამოშვება იქნება.

ალკოჰოლურ კოქტეილებს პირველი Coca-Cola-ს ავსტრალიური ფილიალი გამოუშვებს. მისი თავკაცის, ტერი დევისი აზრით, განთქმული სავაჭრო მარკის რეპუტაცია ამგვარად კიდევ უფრო გამყარდება. იგი მიიჩნევს, რომ Coca-Cola-ს მიერ წარმოებულმა სასმელებმა თავი, გარკვეულწილად, ამოწურეს და მომხმარებელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად პროდუქციის გამრავალფეროვნებაა საჭირო. Coca-Cola-ს ავსტრალიურმა ფილიალმა ახალი ბრენდების შესაქმნელად 180 მილიონი დოლარი უკვე გამოყო.

## იაპონიაში საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელი დააკავეს

იაპონიის სამართალდამცავებმა იაპონური საინვესტიციო ფონდის Murakami Fund-ის შეფი იოშიაკი მურაკამი დააკავეს. საინვესტიციო ფონდის აქტივები 3,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. გამოძიებამ ფონდის შეფის წინააღმდეგ საქმე ინსაიდურ გარიგებებში მონაწილეობის მუხლით აღძრა. დაკავებამდე მურაკამიმ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე დაადასტურა თავისი ბრალეულობა. დაკითხვამდე მან აღიარებით ჩვენებას მოაწერა ხელი. ინსაიდერული გარიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სკანდალურად ცნობილი კომპანია Livedoor-მა, იაპონიის საფონდო ბირჟა 2006 წელის იანვარში ფინანსური მაქინაციების გამო დატოვა. ამ ფონზე კი მურაკიმ განაცხადა, რომ Nippon Broadcasting-ის შეძენას აპირებდა. აღნიშნულ გარიგებამდე რამდენიმე თვით ადრე, Murakami Fund-მა აღნიშნული კომპანიის აქციების საკმაოდ დიდი პაკეტი შეიძინა. მას შემდეგ კი Livedoo-მა Nippon Broadcasting-ის შესყიდვის შესახებ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რის გამოც, ამ კომპანიების აქციების ფასმა საგრძნობლად მოიმატა. Murakam Fund-მა ამ დროს თავისი პაკეტი სხვა აქციონერს მიჰყიდა, რის გამოც ეს გარიგება ვერ შედგა. ჩხრეკა ინტერნეტ-პროვაიდერში მას შემდეგ დაიწყო, რაც კომპანიაში მიმდინარე ფინანსურ მაქინაციებს ფარდა აეხადა. 23 იანვარს, კომპანიის დამფუძნებელი ტაკაფუმი ხორი და კომპანიის ხელმძღვანელობის კიდევ სამი წარმომადგენელი სამართალდამცავებმა დააკავეს. მოგვიანებით ხორი 300 მილიონი იენის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.



## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3511 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9981 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4889 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,7955 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8373 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1897 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3119 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3118 |
| 1 ევრო | EUR | 2,3260 |
| 10ესტონური კრონი | EEK | 1,4871 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3453 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,1350 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1605 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3820 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1961 |
| 10ისლანდიური კრონი | ISK | 0,2530 |
| 1 ისრაელის სექელი | ILS | 0,4010 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6336 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,2765 |
| 10ლიტვური ლიტი | LTL | 6,6591 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3582 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2996 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5892 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6032 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0672 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1414 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4211 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5570 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4695 |
| 10უკრაინული გრივნა | UAG | 3,5810 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8853 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2089 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2532 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4895 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0821 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2242 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2314 |




# ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა

### რუსეთში ქართული ღვინო ელიტარულად, უკვე დიდი ხანია, აღარ მიაჩნიათ

დიანა ჩაჩუა

*ფრანგული ბორდო თუ ავსტრალიური შირაზი? იქნებ, კალიფორნიული შარდონე ან ახალზელანდიური ღვინო სოვინიონი ბლანიდან? ალბათ, იტყვით: რა თქმა უნდა, ფრანგული ბორდო! მიზეზიც ადვილი გამოსაცნობია: ფრანგული ღვინო ხომ საუკუნეებმა გამოსცადა! ის, რომ არცთუ ურიგო ღვინოების დაყენება ოკეანის გაღმაც კარგად გამოსდიოდათ, ევროპელებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში შეიტყვეს და... ჩურჩული დაიწყეს: "არგენტინული და ავსტრალიური ღვინო? ვინ წარმოიდგენდა? თანაც, როგორი!" - გაკვირვებული იყო მთელი ევროპა. ევროპულ ბაზარზე "ახალი სამყაროს" ქვეყნებიდან ღვინოების შემოჭრა, ექსპერტების შეფასებით, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თავად ევროპელი მეღვინეების მიერ იყო პროვოცირებული. თანდათანობით, ღვინო მასშტაბურ და, რაც მთავარია, მოგებიან ბიზნესად იქცა. ევროპა ხარისხის პროგრესის, "ახალი სამყარო" კი, ამასობაში, დახვეწილი მარკეტინგის დემონსტრაციას ახდენდა. ამ საქმეში კი, ექსპერტების აზრით, ავსტრალიელებს ფრანგები ვერ დაეწევიან - მათ, უბრალოდ, ამის ტრადიცია არ გააჩნიათ. კლასიკურ ევროპაში საუკუნეების მიერ გამოცდილი ავტორიტეტი ფასობს.*





SIMPLE WINE NEWS-ის ფოტო

ალექსანდრე ხატიაშვილი.

B2

# რას უწოდებენ საქართველოში "გამყიდველის ბაზარს"

### ქვეყანაში ყველაზე ძვირი კომერციული ფართია

თინა შავაძე

*საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი, სხვა ბიზნესსექტორებთან შედარებით, ყველაზე კარგად არის განვითარებული. აშკარად შესამჩნევია, რომ საქართველოს ბაზრის ეს სეგმენტი აქტიურად ვითარდება. ამას ადასტურებს ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობის მზარდი მასშტაბები და უძრავი ქონების გასაყიდი ფასის მკვეთრი ზრდა. ასეთი ტენდენცია თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლის, ანუ "ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში და ის დღესაც გრძელდება.*

- **საკანონმდებლო ცვლილებებმა (მათ შორის, საგადასახადო შეღავათებმა) კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა უძრავ ქონებაში ინვესტიციების დაბანდება.**
- **უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბანკების ინოვაციურმა პროექტებმა.**
- **სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გამარტივდა საბაჟო პროცედურები.**

B2

# რა აფერხებს კოლხეთის დაბლობზე ტურისტების ჩამოსვლას

მარიამ ჭაჭვაძე

*2004 წელს გრაიფსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტიდან კოლხეთის ეროვნული პარკის შესასწავლად 2 სტუდენტი ჩამოვიდა. პარკის არსებობის შესახებ მათ საკუთარი ლექტორისგან შეიტყვეს და კოლხეთს იმ იმედით ეწვივნენ, რომ აქ უნიკალურ მასალებს მოიძიებდნენ. როგორც ჩანს, არ შემცდარან - ორი თვის განმავლობაში გერმანელები პარკიდან თითქმის არ გამოსულან.*

- **ამბობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აქ იმდენი ტურისტი ჩამოვა, რამდენიც დღეს მთელ საქართველოში ჩამოდის. კოლხეთის დაბლობზე მათ განსაკუთრებით ეროვნული პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია აინტერესებთ, რომელიც იმდენად უნიკალურია, რომ მსოფლიოში მისი ანალოგი მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელია.**
- **პარკის ტერიტორიაზე აფრიკა-ევრაზიის წყლისა და ჭაობის ფრინველთა საიმიგრაციო გზა გადის.**



B4

## ბიზნესსაბჭო საგადასახადო კოდექსის გამარტივებას ითხოვს

პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნესსაბჭო საგადასახადო კოდექსის გამარტივებას ითხოვს.

საბჭოს წევრის, ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, საბჭომ მოამზადა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელიც არა საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, არამედ მეწარმეებისთვის გადახდის პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს.

"ვითხოვთ, რომ მეწარმეებმა იოლად შეძლონ გადასახადების გადახდა. ამიტომ, დღეს არსებული საგადასახადო კოდექსი უნდა გამარტივდეს. ბიზნესმა უფრო მატივად ცხოვრება უნდა შეძლოს," - განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს ამოცანაა, საგადასახადო კოდექსში ისეთი ცვლილებები შეიტანოს, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს არ შეუშლის სახელმწიფო სტრუქტურებს გადასახადების ამოღებაში, მეორე მხრივ, მეწარმემ ამ კოდექსით თავი დაცულად უნდა იგრძნოს. გარდა ამისა, დღევანდელ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტზე იმსჯელებენ.

"ეს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ვფიქრობ, ამ მიმართულებით აქტიურად უნდა იმუშაოს როგორც პარლამენტმა, ასევე მთავრობამ, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ შედეგს მივაღწიოთ," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## აჭარაში აუქციონზე გასაყიდად ექვს ობიექტს გამოიტანენ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ექვსი ობიექტი გამოიტანა. პირველი მათგანი - შპს "ავტომობილისტი - 97" ხელვაჩაურის რაიონში, წერეთლის ქუჩა N1-ში, N5 შესახვევში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფეროა საავტომობილო გადაზიდვები. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 96 000 დოლარი.

მეორე ობიექტია შპს "ჩაქვის ავტოგასამართი სადგური", რომელიც ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩა N74ა-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 30 ათასი დოლარი.

ბათუმში, მთის ძირის ქუჩა N72-ში არის განთავსებული მომდევნო საპრივატიზაციო ობიექტი - "ბათუმვაჭრობის" კაპიტალიდან გამოტანილი მაღაზია N76. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 2 496 დოლარი.

საპრივატიზაცია ობიექტთა ნუსხაშია ასევე ბათუმში მდებარე სამი არასაცხოვრებელი ფართი. პირველი მათგანი ჯავახიშვილის ქუჩის N53-ში არის განთავსებული. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 29 000 დოლარი.

მეორე არასაცხოვრებელი ფართი ჟორდანიას ქუჩა N3-ში მდებარეობს. იგი 16 000 დოლარად არის შეფარებული.

კიდევ ერთი არასაცხოვრებელი ობიექტი კი ერას ქუჩა N54-62-ში არის განთავსებული. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 63 500 დოლარი.

ექვსივე ობიექტი აუქციონის წესით 7 ივლისს გაიყიდება. საპრივატიზაციო განაცხადების მიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დღეს დაიწყო და 7 ივლისს დასრულდება. **მედიანიუსი**

## რომან გოცირიძე BSTDB-ის მმართველთა შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) მმართველთა მე-8 შეხვედრაში, რომელიც ბაქოში 11 ივნისს გაიმართება.

შეხვედრაზე იგეგმება 2005 წელს BSTDB-ის მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშის განხილვა და ბანკის 2006 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

რომან გოცირიძე მონაწილეობას მიიღებს ასევე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების "ბიზნესდღეში", რომელსაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი გახსნის.

ფორუმს დაესწრებიან შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

"ბიზნესდღის" დღის წესრიგშია დებატების გამართვა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში ფინანსური სექტორის როლისა და მნიშვნელობის თაობაზე, ასევე რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლიცენზიის მისაღებად განაცხადების წარდგენის ვადა ხვალ იწურება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 27,5-29,5 მეგაჰერც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების წარდგენის ვადა ხვალ (8 ივნისს) 17 საათზე იწურება

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სიხშირით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად კომისიას "თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა" და კომპანია "QUTEL"- მა განცხადებით მიმართა. აღნიშნული სიხშირული რესურსი მათ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი უსადენო რადიოდაშვების ქსელის მომსახურებისათვის ესაჭიროებათ.

რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა 364 362,24 ლარია. აუქციონი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 23 ივნისს 14 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო შაჰ-დენიზიდან დამატებითი გაზის მიღებას ცდილობს

საქართველო აგრძელებს მოლაპარაკებებს აზერბაიჯანთან და თურქეთთან შაჰ-დენიზის გაზსადენიდან გაზის გაზრდილი მოცულობის მიღების საკითხზე, - ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანში ყოფნისას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ისაკ ნოვრუზოვმა განუცხადა. მისი განმარტებით, 2006 წელს "შაჰ-დენიზის" საბადოზე 850 მლნ კუბური მეტრი გაზის მოპოვება მოხდება, საიდანაც 300 მლნ-ს აზერბაიჯანი მიიღებს, 500 მლნ-ს - თურქეთი, ხოლო 50 მლნ-ს - საქართველო. ნოვრუზოვის თქმით, საქართველოს კვოტა, შესაძლოა, თურქეთის კვოტის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს. "იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი თურქეთის მხარეს არ იქნება მზად გაზის მისაღებად, გაზის ნაწილი საქართველოს გადმოეცემა, რაც ამჟამად მოლაპარაკებების საგანია," - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა

პირველი გვერდიდან

### "ახალი სამყაროს" შემოტევა

1970-1980-იან წლებში წარმატებებმა ფრანგებს, რომელთა ავტორიტეტი ღვინის ბაზარზე ხელშეუხებელი ჩანდა, ცოტა არ იყოს, თავბრუ დაახვია. საფრანგეთის ღვინის მწარმოებელ რამდენიმე კლასიკურ რეგიონში - ბორდოში, ბურგუნდიაში და ლუარის ხეობაში ღვინოების ხარისხი საკმაოდ არასტაბილური იყო. ამასობაში მომხმარებლებმა შეიტყვეს, რომ სადღაც ოკეანის მიღმა, ძალიან კარგ და, ამავე დროს, მისაღები ფასის ღვინოებს ამზადებდნენ.

მალევე გამოჩნდნენ სტივენ სოურიეს მსგავსი ექსპერტები, რომელთაც გაგონილი ჰქონდათ, რომ კალიფორნიაში მშვენიერ ღვინოებს ამზადებდნენ. სოურიე ამერიკაში გაემგზავრა, ვარაუდში დარწმუნდა, ამერიკელებისთვის დახმარების სურვილით აივსო და 1976 წელს პარიზში, სასტუმრო "Inter-Continental"-ში "ბრმა" დეგუსტაცია მოაწყო. ექსპერტების რანგში ცნობილი ფრანგები, რესტორატორები და სომელიეები იყვნენ მოწვეულნი. წარმოდგენილი იყო ბორდოს წითელი ღვინო, ბურგუნდიული ღვინო და ასევე, იმ დროისათვის საუკეთესო კალიფორნიული კაბერნე და შარდონე. იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ღვინოებში ოკეანისმიღმა დამზადებული ღვინოებიც ერია, ექსპერტებმა არ იცოდნენ. შედეგად, როგორც თეთრ, ისე წითელ ღვინოებში გამარჯვებულად ამერიკული ღვნოები დასახელდა. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. ამერიკელები, შესაძლებლობისთანავე, დღესაც ამ ისტორიულ გამარჯვებას იხსენებენ. ფრანგებს კი ამის გამო საფიქრალი გაუჩნდათ.

უფრო ადრე, ღვინის ევროპელმა კოლექციონერებმა იმ დროისათვის უცნობი ავსტრალიელი მწარმოებლის მიერ შექმნილ ღვინოზე - "Grange"-ზე დაიწყეს ჩურჩული.

ამ და სხვა მსგავს სენსაციებს ორი შედეგი მოჰყვა: პირველი - მათ ხარისხის რევოლუცია წაახალისეს, რამაც 1980-1990-იან წლებში ევროპის ბევრ რეგიონში აპოგეას მიაღწია. მეორეც - მათი დახმარებით ევროპისკენ "ახალი სამყაროს" ღვინოები დაიძრნენ - ავსტრალიური შირაზი, კალიფორნიული შარდონე, ღვინოები ახალი ზელანდიის სოვინიონ ბლანიდან, ჩილედან, არგენტინიდან და ა.შ.

მაინც, რის ხარჯზე მოახერხეს "ახალი სამყაროს" ქვეყნებმა ევროპაში ადგილობრივი ღვინოების ჩანაცვლება? ნუთუ, ბებერი კონტინენტის ღვინოების იმიტაციით? მათ ახალი მეთოდების და ჯიშების გამოყვანა არ დაუწყიათ. უბრალოდ, მთელს მსოფლიოში ცნობილი ღვინის ჯიშები გამოიყენეს, ისინი თავიანთ ვენახებში გააშენეს და, საბოლოოდ, შეეცადნენ, დაემზადებინათ ღვინო, რომელიც გამოცდილი ევროპელებისთვის ნაცნობი იქნებოდა. ამ ქვეყნებმა ევროპიდან დაახლოებით 30 პროცენტამდე ფრანგული ღვინის გამოდევნა შეძლო.

"ახალი სამყაროს" მიერ წარმოებული ღვინოები რუსეთშიც იყიდება. ჩილეს და არგენტინის ღვინოები ქართულის ნაცვლად? - გაკვირვებული კითხულობდა ღვინის ერთ-ერთი ქართველი მოყვარული. საქართველომ რუსეთში ელიტარული ღვინოების ნიშა სწორედ მაშინ დაკარგა, როცა იქ ევროპიდან და "ახალი სამყაროდან" ელიტარული ღვინოების აქტიური შემოტანა დაიწყო. ეს 1992 წელს იყო. მაინც, როგორია დღეს ქართული ღვინის რეპუტაცია? რა გზით უნდა წავიდეს რუსული ბაზრის გარეშე დარჩენილი ქართველი მეღვინე? როგორი უნდა იყოს, ზოგადად, ხარისხიანი ღვინის საფასო პოლიტიკა? როგორ მოახერხეს "ახალი სამყაროს" ქვეყნებმა ღვინის ევროპელი ესთეტების გულის დაპყრობა? რა ბედი ელის უახლოეს მომავალში კლასიკურ ევროპულ ღვინოს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე "24 საათს" რუსეთში მოღვაწე, ღვინის იმპორტიორი კომპანიის Simple-ს იმპორტის დირექტორი ალექსანდრე ხატიაშვილი ესაუბრა.



ალექსანდრე ხატიაშვილი.

SIMPLE WINE NEWS-ის ფოტო

რესპონდენტის მოკლე დოსიე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის ყოფილი უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ალექსანდრე ხატიაშვილი, მშობლიური ქართულის და რუსული ენების გარდა, თავისუფლად საუბრობს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. იყო ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელი. 1997 წლიდან რუსეთში ფრანგული ღვინოების ბაზარზე მუშაობს. მუშაობდა სხვადასხვა ღვინის კომპანიებში. 2000 წლიდან ღვინით იმპორტიორი კომპანია SIMPLE-ს იმპორტის დირექტორია. ის საგანმანათებლო დაწესებულება "ენოტრიას" ერთ-ერთი დამაარსებელი და მასწავლებელიცაა.

■ ■ ■

- "ახალი სამყაროს" ქვეყნებმა საკუთარი ღვინის აქტიური პრომოუშენი დაახლოებით 15-20 წლის წინ დაიწყეს. მათ თავიდანვე ძალიან ჭკვიანური გეზი აიღეს: ახალი მეთოდების და ჯიშების გამოყვანა არ დაუწყიათ. უბრალოდ, მთელს მსოფლიოში ცნობილი ღვინის ჯიშები გამოიყენეს, ისინი საკუთარ ვენახებში გააშენეს და შეეცადნენ, დაემზადებინათ ღვინო, რომელიც ცნობილი ბორდოს ან ბურგუნდიის ღვინოებთან ახლოს იქნებოდა. ამ იმიტაციის დახმარებით "ახალი სამყაროს" ქვეყნებმა ძალიან დიდ წარმატებას მიაღწიეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩილეს, არგენტინის, კალიფორნიის და სხვა მსგავსი ქვეყნების ღვინის მწარმოებლები, როგორც წესი, მსხვილი კომპანიებია, რომლებშიც ძალიან დიდი ინვესტიციებია ჩადებული. ამ ქვეყნებს დიდ ხარჯებზე მოუწიათ წასვლა იმის გამო, რომ ძლიერი მარკეტოლოგები და ექსპორტიორები დასჭირდათ.

საბოლოოდ, "ახალი სამყარო" "ბებერ კონტინენტზე" საკმაოდ აგრესიული მეთოდით შევიდა და ევროპიდან დაახლოებით 30 პროცენტამდე ფრანგული ღვინოები გამოდევნა.

**- "ახალი სამყაროს" ამ აგრესიული შემოჭრის ფონზე, რითი იყვნენ დაკავებულნი თავად ევროპელი მეღვინეები?**

- ფრანგები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ამ დარგში მოდის დამფუძნებლებად ითვლებიან, მოდუნდნენ და ეგონათ, რომ ეს ბაზარი სამუდამოდ მათი იყო. ამან გამოიწვია სწორედ ის, რომ შედარებით აქტიურმა ქვეყნებმა ევროპულ ბაზარზე სერიოზული ნიშა დაიკავეს.

**- ანუ "ახალ სამყაროში" წარმოებული ღვინოები, უბრალოდ, ევროპულის იმიტაციაა?**

- არა, იმის თქმა, რომ ამ ქვეყნების ღვინოების 100 პროცენტი იმიტირებულია და ენოლოგიურ ინტერესს არ იწვევს, არ შეიძლება. არიან მწარმოებლები, რომლებიც თავიანთი ნიადაგების, მიკროკლიმატის და ვენახების უნიკალური ტიპოლოგიის კვლევით არიან დაკავებულნი. თუმცა მათი რაოდენობა ძალიან მცირეა.

"ახალი სამყაროს" ყველაზე სერიოზული რეგიონებია: შეერთებული შტატების რამდენიმე შტატი კალიფორნიის თამადობით, ჩილე, არგენტინა, ნაწილობრივ ურუგვაი, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

**- რა კავშირია ელიტარულ ღვინოსა და მაღალ ფასს შორის?**

- ღვინის წარმატებას მის ფასთან კავშირი არ აქვს. მიჩნეულია, რომ ღვინოს თავისი ხარისხის შესაბამისი ფასი უნდა ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით გარკვეული სტანდარტებიც არსებობს. ოღონდ, ეს არ ეხება "პერტუსის" მსგავს უდიდეს ღვინოებს. ეს აბსოლუტურად ცალკე მდგარი კლასია. დანარჩენ შემთხვევაში თავად მწარმოებელი ირჩევს იმ ნიშას, სადაც მოღვაწეობა სურს. თუ ის ელიტარული ღვინოების ნიშას ირჩევს, ძვირადღირებულ ღვინოებს დაამზადებს, რომელთა გასაყიდი ფასიც შედარებით მაღალი იქნება. თუ ის მასობრივ ნიშას ირჩევს, ღვინის ფასი, შესაბამისად, უფრო იაფი იქნება.

ელიტარული ღვინის შემთხვევაში, ამ სახელწოდებას მაღალ ფასთან შეხება არ აქვს. არ არის აუცილებელი, ელიტარული ღვინო ძვირი ღირდეს. ის საავტორო ღვინოა, რომლის მწარმოებელიც არ ფიქრობს პროდუქციის რაოდენობაზე და ღვინოს თავისი უნიკალური სტილით ამზადებს. ისინი ლიმიტირებული რაოდენობით მზადდება. მათი ნიშა საუკეთესო რესტორნები და სპეციალიზირებული მაღაზიებია. ელიტარული ღვინოები სუპერმარკეტებში არ იყიდება. რუსეთში იმპორტირებულ ღვინოებს შორის ელიტარულს ძალიან პატარა ნიშა - დაახლოებით 15-20 პროცენტი უჭირავს.

**- ევროპაში "ახალი სამყაროს" გააქტიურების პარალელურად, რა მეთოდებს მიმართავს ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი?**

- ევროპელებმა, დაინახეს რა, რომ პოზიციებს კარგავენ, სერიოზულად დაფიქრდნენ და მიხვდნენ - გააქტიურების დროა. მიმაჩნია, რომ ღვინის პრომოუშენთან დაკავშირებით ძალიან ბევრია დამოკიდებული ერთ ფაქტორზე: აქცენტი არ უნდა კეთდებოდეს მხოლოდ ღვინოზე. ის ქვეყნის კულტურის ნაწილია და ყოველთვის ამ კულტურის სპექტრში უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, როდესაც ფრანგები საკუთარი ღვინის პრომოუშენს აკეთებენ, ამას ყოველთვის ტრადიციული სამზარეულოს, მსახიობების, მუსიკის და ა.შ. თანხლებით აწვდიან მომხმარებელს. ეს კომპლექსური ღონისძიებაა. ევროპელები სხვადასხვა ქვეყნებში ღვინის ფესტივალებს მართავენ.

თუმცა, ფრანგებს პრობლემები მხოლოდ სამხრეთულ ღვინოებთან დაკავშირებით აქვთ. ბორდოს და ბურგუნდიის ღვინოების რეალიზაციაში კი არანაირი პრობლემა არ არსებობს - მათი ანალოგი მსოფლიოში, ფაქტობრივად, არ არსებობს.

**- რომელი ქვეყნის მაგალითი იქნებოდა საქართველოსთვის აქტუალური?**

- ფრანგების გამოცდილება საქართველოს არ გამოადგება. ჩვენთვის საინტერესო უნგრელების მაგალითი იქნებოდა. გასაბჭოების პერიოდში მათი ძირითადი ბაზარი რუსეთი იყო. დროთა განმავლობაში ამ ქვეყანამ ღვინის ხარისხი სერიოზულად გააფუჭა. 1993 წლიდან უნგრეთმა ამ დარგში რეპუტაციის აღდგენა დაიწყო და შედეგსაც აღწევს. მე მომსწრე ვარ იმისა, რომ ეს ქვეყანა რუსეთში წელიწადში, მინიმუმ, ორჯერ აწყობს ღვინის ფესტივალს.

**- შეიძლება, რუსულ ბაზარზე გასაყიდი 3-დოლარიანი ღვინოები ხარისხიან სასმელად მივიჩნიოთ?**

- ვფიქრობ, რუსეთში 5 დოლარზე იაფი ღვინოები, არ შეიძლება, კარგი ხარისხის ღვინოდ ჩაითვალოს. ეს ნორმალური ღვინის ფასის ზღვარია.

**- დღეს ქართული ღვინის რეპუტაცია როგორია?**

- რუსეთის აკრძალვის მიუხედავად, ქართულ ღვინოს რეპუტაცია არ გაფუჭებია. რუსეთში დღემდე მისტირიან ქართულ ღვინოებს. თუმცა რუსეთში ქართული ღვინო ელიტარული ღვინოების ნიშაში, უკვე დიდი ხანია, აღარ მოიხსენიებოდა. საქართველოს ადგილი სხვა ქვეყნების ღვინოებმა დაიკავეს, ძირითადად, ევროპულმა და ასევე, "ახალი სამყაროს" ქვეყნებისამ.

**- მაინც, როდის დაკარგა ქართულმა ხვანჭკარამ ელიტარული ღვინის სახელი?**

- ეს მაშინ მოხდა, როცა რუსეთში ელიტარული ღვინოების ევროპიდან და "ახალი სამყაროდან" შემოტანა დაიწყო. ეს 1992 წელს მოხდა.

**- შექმნილ სიტუაციაში რა რჩევას მისცემდით ღვინის ქართველ მწარმოებლებს?**

- ქართველი მეღვინეები, პირველ რიგში, არა ახალ ბაზრებზე გასვლას, არამედ ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდნენ. ამასთან დაკავშირებით პრობლემები რეალურად არსებობს. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი კვლავ საბჭოური მასშტაბებით აზროვნებს. ქვეყანაში ევროპული გამოცდილება უნდა შემოვიდეს.

**- რა მოხდა ორი თვის წინ საქართველოსა და რუსეთს შორის?**

- რასაკვირველია, ამ აკრძალვას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და ხარისხთან არანაირი კავშირი არ აქვს. მაგალითად, რუსეთში დღესაც იყიდება აფხაზური ღვინოები, რაც სრული პარადოქსია. რუსეთში თუ რამე ჯამრთელობისთვის მავნებელი ღვინო არსებობს, ეს აფხაზური ღვინოებია. ისინი, როგორც წესი, იზაბელას ჯიშის ყურძნისგან მზადდება. საქმე ის არის, რომ ყურძნის ამ ჯიშისგან დამზადებულ ღვინოში ფერმენტაციის დროს ე.წ. მეთილის სპირტი წარმოიქმნება, რომელიც მხედველობისთვის ძალიან მავნებელია. ეს უნდა გაითვალისწინონ მათ, ვინც ქართული ღვინოები აკრძალა. რუსეთს, პირველ რიგში, აფხაზური ღვინოები უნდა აეკრძალა.

საინტერესოა, რომ რუსულ ბაზარზე გაყიდული ქართული ღვინოების 80 პროცენტი მოსკოვის შემოგარენში მზადდებოდა. მე მოსკოვის ოლქში დამზადებული იტალიური ღვინოებიც მინახავს.

ქართულზე უფრო დაბალი ხარისხის ღვინოები რუსეთში ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და გერმანიიდან შემოდის. თუმცა გერმანიიდან დაბალი ხარისხის ღვინოებთან ერთად ელიტარული ღვინოებიც შემოდის.

მე ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ ჩემი შეფასებით, ეს აკრძალვა, ადრე თუ გვიან, მოიხსნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, რაც აქამდე ხდებოდა, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. რუსეთში ქართული ღვინის ფალსიფიკაციის პრობლემა უნდა მოისპოს. ეს, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებში უნდა იყოს, რადგან ეს პრობლემა ქართულ ღვინოებს სახელს უტეხს.

**- და ბოლოს, თქვენი კომპანია რუსეთში რითია დაკავებული?**

- მე ვარ ღვინის იმპორტიორი კომპანია "Simple"-ს იმპორტის დირექტორი. ჩვენი კომპანია ღვინის იმპორტს მთელი მსოფლიოდან აწარმოებს. ჩვენი ბიზნესის 90 პროცენტი ელიტარული ღვინოებია. რუსეთში ელიტარული ღვინოების იმპორტიორი კომპანიების სამეულში შევდივართ, რუსულ ნიშაში კი დაახლოებით 15 პროცენტი გვიჭირავს. ასევე, ღვინის და გასტრონომიის სკოლა "ენოტრეას" მასწავლებელი ვარ.

# რას უწოდებენ საქართველოში "გამყიდველის ბაზარს"

პირველი გვერდიდან

ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ "24 საათთან" საუბარში ექსპერტმა უძრავი ქონების საკითხებში ლელა შათირიშვილმა განაცხადა:

"2003 წლის ბოლოს უძრავი ქონების ბაზარზე ახალი ტენდენციები გამოიკვეთა, კერძოდ, ტრანზაქციების (ყიდვა-გაყიდვის) რიცხვისა და, შესაბამისად, უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა. საერთაშორისო პრაქტიკაში ბაზრის ამგვარ კონიუნქტურას ახასიათებენ, როგორც "გამყიდველის ბაზარს". ეს იმას ნიშნავს, რომ პოტენციურ შემძენთა რიცხვმა პროცენტულად გადააჭარბა გამყიდველთა რაოდენობას. უძრავი ქონების ბაზარმა ციკლის მომდევნო ფაზაში გადაინაცვლა. მოთხოვნის ზრდამ ბუნებრივად ხელი შეუწყო უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას. გარდა ამისა, წაახალისა ახალი მშენებლობის მასშტაბების გაფართოება და ბაზარზე ახალი სამშენებლო კომპანიების გამოჩენა. შექმნილმა კონკურენტულმა გარემომ კი, თავისთავად, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, მომსახურების სტანდარტების სრულყოფა განაპირობა."

ფასები გაიზარდა როგორც ახალ მშენებლობაზე, ისე "ძველ" სახლებსა და ბინებზე. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა არასაცხოვრებელი დანიშნულების უძრავ ქონებაზე, კერძოდ, კომერციულ და საოფისე ფართებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უძრავ ქონებაზე ფასი საშუალოდ 2-3 ჯერ გაიზარდა.

თუ რევოლუციამდე ვაკეში ერთი კვადრატული გარემონტებული ფართის ფასი 800 დოლარი იყო, ახლა ასეთივე ფასში იყიდება მშენებარე ფართი. ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა უძრავ ქონებაზე თბილისის პრესტიჟულ უბნებშია. ვერა-ვაკეში ერთი კვადრატული გარემონტებული ფართი საშუალოდ 1600-1800 დოლარი ღირს, ხოლო მშენებარე სახლებში 800-დან 1200 დოლარამდე მერყეობს. ამ უბნებში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა კომერციულ ფართზე. ფეშენებელური არასაცხოვრებელი ფართის ფასი 2000-დან 3000 ათას დოლარამდე მერყეობს. მაღალი ფასების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ვერა-ვაკეში და სხვა ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართის დეფიციტიც კი შეინიშნება.

ფასების ზრდის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. მოცემულ სინამდვილეში გადამწყვეტი როლი ითამაშა 2003 წლის "ვარდების რევოლუციამ" და ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ცვლილებებმა. მშვიდობიანმა რევოლუციამ საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის შეგრძნებისა და შემდგომი აღორძინების მოლოდინი გაალვივა.

უძრავი ქონების შესყიდვით დაინტერესდნენ სამშობლოდან წასული ქართველები და ის უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც, გარკვეულწილად, იცნობდნენ საქართველოს, ხოლო რევოლუციის შემდეგ უფრო ნათლად დაინახეს ეკონომიკური აღმავლობის პოტენციალი, რაც უძრავი ქონების ბაზარზე გრძელვადიანი, მაგრამ მოგებიანი ინვესტიციის შესაძლებლობად მიიჩნიეს.

საკანონმდებლო ცვლილებებმა (მათ შორის, საგადასახადო შეღავათებმა) კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა უძრავ ქონებაში ინვესტიციების დაბანდება.

თბილისის სატიტულო კომპანიის დირექტორი დავით არსენაშვილი განმარტავს, რომ "მიმდინარე წელს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონი შევიდა ძალაში, რომლის თანახმადაც ქვეყანაში უძრავი ქონების რეგისტრაციის ახალი წესი ამოქმედდა. ამ სიახლის დადებითი მხარე ისაა, რომ რეგისტრაციის პროცედურა დაიხვეწა და გამარტივდა. თუ ადრე უძრავი ქონების რეგისტრაციისთვის თვე-ნახევარი იყო საჭირო, ახალი წესით ერთიდან 10 დღემდე ვადა დაწესდა. ამავე დროს, აღნიშნული კანონით შესაძლებელი გახდა მშენებარე ბინებზე უფლებათა რეგისტრაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ მშენებარე ბინის მომავალ მფლობელს შეუძლია საკუთრების უფლების დადასტურება, რაც გამორიცხავს ორმაგ გარიგებასა და თაღლითობას. მსგავსი ფაქტები გასულ წლებში მრავლად გამოვლინდა. სწორედ ამის გამო გახდა ბევრი მშენებარე სახლი სასამართლო განხილვის საგანი. გავიხსენოთ თუნდაც გახმაურებული საქმე - ე.წ ხილიანზე მშენებარე სახლები. ამ ეტაპზე მსგავს არასაიმედო გარიგებას მოქმედი კანონმდებლობა უკვე ხელს უშლის."

გარდა ამისა, არსებული ბიზნესგარემო ახალმა საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმმა უძრავი ქონების ბაზარში ჩართული მეწარმე-სუბიექტებისთვის ბევრად გააუმჯობესა. უძრავი ქონების აგენტები აღნიშნავენ, რომ ახლა მოქმედი საშემოსავლოსა და დღგ-ს განაკვეთები საქმის წარმატებულად წარმართვას ხელს უწყობს.

უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბანკების ინოვაციურმა პროექტებმა. 10-წლიანი იპოთეკური კრედიტებით, ან თუნდაც სამშენებლო კომპანიებსა და საკრედიტო კავშირებს (ბანკებს) შორის დადებული ხელშეკრულებებით კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა უძრავი ქონების გრძელვადიანი შესყიდვის ფორმა.

უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას სამშენებლო კომპანიების უმეტესობა სამშენებლო მასალების გაძვირებით ხსნიდა; სავარაუდოდ, მინიმუმამდეა დაყვანილი განუბაჟებელი (არალეგალური) სამშენებლო მასალების შემოტანა. თუმცა, ამავე დროს, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გამარტივდა საბაჟო პროცედურები.

საერთაშორისო პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, უძრავი ქონების ბაზარზე ახალი ტენდენციებია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, შემდგომი 2-4 წლის მანძილზე მოსალოდნელია ფასების სტაბილიზაცია. მაგრამ შათირიშვილი ამბობს, რომ ჯერ კიდევ მოსალოდნელია ბაზრის გარკვეული ქვესეგმენტების, კერძოდ, კომერციული და საოფისე დანიშნულების უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდა. თუ ბიზნესის განვითარება ბუნებრივი ზემოქმედებების ქვეშ განხორციელდება, მაშინ საცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონების სფეროში კონკურენციის გამძაფრებაა მოსალოდნელი, რაც, სავარაუდოდ, სამშენებლო კომპანიებისაგან უფრო მეტ შემოქმედებით მიდგომებს მოითხოვს."

## America Online ბრიტანულ ბიზნესს ყიდის

კომპანია America Online, თავის ბრიტანულ ბიზნესს, ინტერნეტ-განყოფილება Time Warner-ის გაყიდვას აპირებს. ამ ბრიტანული უმსხვილესი ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიის ფასი ჯერ-ჯერობით არ სახელდება. 2006 წლის პირველ ნახევარში America Online-მა 835 ათასი მომხმარებელი დაკარგა, კომპანიის შემოსავალი კი 7%-ით შემცირდა. დღევანდელი მონაცემებით მისი შემოსავალი მხოლოდ 1,98 მილიარდი დოლარია. მაისის დასაწყისში კომპანიამ გადაწყვიტა თავის ბრიტანულ ბიზნესს საბოლოოდ გამომშვიდობებოდა. Time Warner-ს Fortune-ს რეიტინგში მე-40 ადგილი უჭირავს. მედიაკომპანიებს შორის კი ის პირველ ადგილზეა. America Online-თან ერთად, აღნიშნულ მედიაჰოლდინგში კინოსტუდია Warner Brothers, New line Cinema, ტელეარხი CNN და კიდევ სხვა კომპანიებიც არიან.

## ევროპაში როუმინგი გაიაფდება

ევროპაში მობილური კავშირგაბმულობის რამდენიმე მსხვილი ოპერატორი, მათ შორის ბრიტანული კომპანია Orange და გერმანული - T-mobile როუმინგის მომსახურებას გააიაფებს. მომსახურების გაიაფებას ფირმა Wind, იტალიური Telecom Italia, ნორვეგიული Telenor SA და შვეიცარული Telia Sonera-ც აპირებს. კომპანიებმა ამ დათმობებზე წასვლა ევროკომისიის მიერ მიღებული გაფრთხილებების შემდეგ გადაწყვიტეს. ევროკომისიის აზრით, მომხმარებლებს ამ მომსახურებაში საკმაოდ დიდი თანხების გადახდა უწევთ.

საქმე ეხება ევროკავშირში მობილური ტელეფონის მომხმარებელ დაახლოებით 200 მილიონ ადამიანს. ევროკომისია კომპანიებს სპეციალური კანონით დაემუქრა, რომლის თანახმადაც როუმინგით განხორციელებულ და გამავალ ზარებში იმდენივეს გადაიხდიან, რამდენსაც შემომავალში. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია-ოპერატორები აცხადებენ, რომ ოქტომბრიდან, "უცხო" კლიენტებისათვის სპეციალურ გადასახადებ დააწესებენ, რაც ერთ წუთში 45 ევროცენტს გულისხმობს. 2007 წლის ოქტომბრიდან კომპანიები მიმსახურების საფასურს გაანახევრებენ და 36 ევროცენტამდე დაწევენ.

ანალიტიკოსების აზრით, როუმინგიდან შემოსული შემოსავლები მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორების შემოსავლების 15%ს შეადგენს. ხშირად მარჟა აქ უფრო მეტია ვიდრე შიდა ტარიფების დროს. ევროკომისიის პირველი კრიტიკული განცხადების შემდეგ, პროვაიდერული ასოციაცია GSM-კავშირი ცდილობდა თავი იმით გაემართლებინა, რომ გასულ წელს, ევროპაში როუმინგის ფასები 8%-ით შემცირდა. ოპერატორებს ნორმალურად მიაჩნიათ, რომ საზღვარგარეთ შემავალი და გამავალი ზარების ფასი უფრო დიდია, ვინაიდან კავშირგაბმულობის წარმომადგენლებს დამატებითი ხარჯები აქვთ. მოსალოდნელია, რომ უახლოესი წლების განმავლობაში, ამ ინიციატივას კიდევ სხვა კომპანიებიც შეასრულებენ. ევროკომისიის წარმომადგენლები კი ვარაუდობენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით წერტილის დასმა ჯერ კიდევ ძალიან ადრეა.

## Hotels.com-მა 243 ათასი საკრედიტო ბარათი დაკარგა

კომპანია Ernst&Young-ის აუდიტორს ნოუტბუქის პაროლი გაუტეხეს. მასში Hotels.com-ის 243 ათასი კლიენტის საკრედიტო ბარათის კოდებს, სახლის მისამართებსა და პირად მონაცემებს ინახავდა. კომპანია Hotels,com-ის წარმომადგენელი პოლა კრენჰოლდი აცხადებს, რომ ეს ნოთბუქი მოიპარეს ჯერ კიდევ თებერვალში, რის შესახებაც მათ Hotels.com-ის წარმომადგენლებისგან სულ ცოტა ხნის წინ შეიტყვეს. ნოუთბუქის მეხსიერება 2002, 2003 და 2004 წლის გადასახადების მონაცემებს ინახავდა.

სამართალდამცავებისა და Hotels,com-ის ბოლო დროინდელი თანამშრომლობის პერიოდში საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული ვერც ერთი მაქინაცია ვერ აღმოაჩინეს. გასულ კვირას, Hotels.com-მა თავის კლიენტებს მომხდარის შესახებ წერილობით აცნობა. ამასთან კომპანიის წარმომადგენლებმა კლიენტებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის საპასუხო მექანიზმების ამუშავებისკენაც მოუწოდა. Hotels.com მსოფლიოში სატუმროების ბრონირებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმსხვილესი ონლაინ სერვისია.

# ამერიკული ეკონომიკის სახე

### უმდიდრესი ოჯახის კუთვნილი უმსხვილესი სავაჭრო კომპანია WAL-MART-ი




ამბობენ, ვაჭრობა ეკონომიკის უმთავრესი ნაწილიაო. მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო ორგანიზაცია კორპორაცია Wal-Mart Stores-ი გახლავთ. ამერიკის ღრმა პროვინციაში ჩასახულმა ამ კომპანიამ სახელი იმით გაითქვა, რომ კონკურენტებთან შედარებით 14 პროცენტით დაბალი ფასებით ვაჭრობდა, თანდათანობით გაიფურჩქნა, დღეს ჟურნალ Forbes-ის უმდიდრეს კომპანიათა რეიტინგში მეცამეტე ადგილზეა და ამერიკული ეკონომიკის და სამომხმარებლო კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

### ხუთი დოლარი და ათი ცენტი

Wal-Mart-ის დამაარსებელი სემ უოლტონი დაიბადა 1918 წლის 29 მარტს ოკლაჰომას პატარა ქალაქ კინგფიშერში, ღარიბი ფერმერის ოჯახში. ვაჭრობაში თავისი კარიერა მამის, ღარიბი ფერმერის ფარდულში დაიწყო, სადაც პატარა სემი სკოლის შემდეგ მუშაობდა.

საერთოდ, უოლტონს თავისი მძიმე ბავშვობის გახსენება არასოდეს უყვარდა და წარსულზე საუბარს ყოველთვის 1940 წლიდან იწყებდა, როცა მისურის შტატის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სავაჭრო კომპანია J.C.Penny-ში მუშაობა დაიწყო. მაგრამ სემი ხელფასმა ვერ დააკმაყოფილა და მალე კომპანია Claremore-ში გადავიდა. მართალია, ახალ სამუშაოზე ბევრად მეტს არ უხდიდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, იქ შეხვდა თავის მომავალ მომავალ მეუღლეს ჰელენ რობსონს, რომელზეც 1943 წელს დაქორწინდა კიდეც. ჰელენი მშვენიერი გოგონა იყო, თანაც, მამამისს ფული ბლომად ჰქონდა და უოლტონი მომავალს იმედით უცქერდა.

მაგრამ ამ დროს აშშ-მ გერმანიისათვის მეორე ფრონტის გახსნა გადაწყვიტა და უოლტონი არმიაში გაიწვიეს. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი დაზვერვაში მსახურობდა, ფრონტიდან დაბრუნებულმა კი თავისი ბიზნესის დასაარსებლად პირველი ნაბიჯი გადადგა.

ეს 1945 წელს არკანზასის შტატის პატარა ქალაქ ნიუპორტში მოხდა, სადაც, სულ რაღაც, 4 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. სემმა სიმამრისაგან 20 ათასი დოლარი ისესხა და "ბატლერ ბრაზერსის" ქსელის მაღაზია დაიქირავა.

თავის პირველ მაღაზიაში უოლტონმა თვითმომსახურების სისტემა დანერგა და ხარჯები მინიმუმამდე დაიყვანა, რამაც ფასების შემცირების საშუალება მისცა. შედეგად, იქამდე არაფრით გამორჩეული სავაჭრო პუნქტის ფინანსური ბრუნვა გაიზარდა და მალე ქალაქის ყველაზე შემოსავლიან მაღაზიად იქცა. საბოლოოდ, სარეკლამო ლოზუნგი "მხოლოდ დაბალი ფასები" სემ უოლტონის საქმიან ფილოსოფიად იქცა.

მაგრამ ნიუპორტში ბიზნესი მაინც ცუდად დასრულდა: მაღაზიის მეპატრონემ საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელებაზე სემს უარი უთხრა და მას ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწია. 1950 წელს ახალგაზრდა ბიზნესმენმა ქალაქ ბენტონვილში მაღაზია გახსნა, რომელსაც Walton's Five-and-Dime უწოდა, რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგნაირად ითარგმნება: "უოლტონთან ხუთ დოლარად და ათ ცენტად", ანუ სემი მომხმარებელს კვლავ იაფად მომსახურებას სთავაზობდა.

### დინების საწინააღმდეგოდ

თანდათანობით სემ უოლტონმა ბიზნესში თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი - ძმა ბადი, სიმამრი, სიძე, მოგვიანებით კი, შვილებიც ჩართო. 1954 წელს მან კანზას-სითის გარეუბანში მდებარე სავაჭრო ცენტრში მაღაზია იქირავა. ბიზნესი მშვენივრად აეწყო და სემმა წარმატების მშობლიურ არკანზასში განმეორება გადაწყვიტა, მაგრამ ამჯერად საქმე ისე კარგად აღარ წავიდა.

ამ წარუმატებლობის შემდეგ სემ უოლტონს ორიგინალური იდეა ეწვია და მან სუპერმარკეტების (თავდაპირველად Waltons Family Center-ი ეწოდებოდა) გარეუბნებში გახსნა გადაწყვიტა. ეს საკმაოდ სარისკო საქმე იყო, რადგან გარეუბანში მცხოვრები ღარიბი ხალხი დიდი მსყიდველობითუნარიანობით არ გამოირჩეოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, სავაჭრო ფართი იაფი ღირდა და კონკურენციაც ნაკლები იყო. "ყოველთვის დინების საპირისპიროდ უნდა იცურო, საზოგადოებრივი აზრის გაზიარება არ ღირს, რადგან მხოლოდ უმრავლესობის წინააღმდეგ წასვლით იპოვი შენს ადგილს," - თქვა მოგვიანებით უოლტონმა.

არკანზასელი ბიზნესმენი არ შემცდარა: დროთა განმავლობაში ქალაქები გაიზარდა, გარეუბნები ცენტრად იქცა, უძრავი ქონება გაძვირდა და უოლტონს კონკურენტები უკვე ვეღარ ეწეოდნენ. 1962 წელს მან Wal-Mart-ად წოდებული პირველი მაღაზია გახსნა. შემდეგი 30 წლის განმავლობაში იმავე დასახელების სავაჭრო ქსელი არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელს მსოფლიოში ლიდერად იქცა.

### მხოლოდ ამერიკული

თავდაპირველად კომპანია Wal-Mart-ი ნელა იზრდებოდა. 1970 წელს, როცა იგი ღია სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, ქსელი მხოლოდ 18 მაღაზიისაგან შედგებოდა, რომელთა საერთო წლიური ფინანსური ბრუნვა 44 მილიონ დოლარს აღწევდა. ათი წლის შემდეგ მაღაზიების რაოდენობა 276-მდე, ფინანსური ბრუნვა კი 1,2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

80-იან წლებში, წვრილი კონკურენტების პროტესტის მიუხედავად, Wal-Mart-ი კიდევ უფრო გაფართოვდა. სწორედ მაშინ დაარსდა საბითუმო ცენტრების ქსელი და პირველი სუპერცენტრი, რომელიც უზარმაზარ გასტრონომს და სხვადასხვა საქონლის 36 განყოფილებას აერთიანებდა.

იმ პერიოდში უოლტონმა დაიწყო აქცია ლოზუნგით: "შეიძინეთ მხოლოდ ამერიკული". მან მომხმარებლებს სამამულო პროდუქციის შეძენისაკენ მოუწოდა, რითაც ამერიკული მრეწველობის განვითარების დაჩქარებაში თავისი წვლილის შეტანა სურდა. ექსპერტები Wal-Mart-ის ფენომენზე ალაპარაკდნენ, რომელიც ერთი მხრივ, ბიზნესის მართვის ორიგინალურ სტრატეგიაზე, მეორე მხრივ კი, იმ კანონების ლობირებაზე იყო დაფუძნებული, რომლებიც თავისუფალ ვაჭრობას და სამუშაო ადგილების შემცირებას უზრუნველყოფდა.

### სემის წესები

1990 წელს 1700 სუპერმარკეტისაგან შემდგარი Wal-Mart-ი აშშ-ს უმსხვილეს სავაჭრო ორგანიზაციად იქცა და მისი გლობალური გაფართოება დაიწყო. გაიხსნა წარმომადგენლობები მექსიკასა და კანადაში. კომპანიის გიგანტური მასშტაბების წყალობით სემ უოლტონს ახალი ბაზრების ასათვისებლად დიდძალი ხარჯების გაღება შეეძლო, რისი საშუალებაც არც ერთ მის კონკურენტს არ ჰქონდა.

ამ პერიოდში უოლტონმა შეიმუშავა რამდენიმე კორპორაციული პრინციპი, რომლებიც ცნობილია ყველა პარტნიორისათვის (ასე უწოდებენ კომპანიაში მის თანამშრომლებს). მათ შორის აღსანიშნავია "დაისის კანონი", რომელიც ცნობილი ანდაზის - "ნუ გადადებ ხვალისათვის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია" - პერიფრაზი გახლავთ. კლიენტთა მოთხოვნებისა და შეკვეთების აუცილებლად იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე დამუშავება და შესრულება კორპორაცია Wal-Mart-ის კულტურის ნაწილად დღემდე რჩება. ასევე შენარჩუნებულია უოლტონის მიერ შემუშავებული "სამი მეტრის პრინციპი", რომლის მიხედვითაც მაღაზიების ყველა თანამშრომელი კლიენტის სამი მეტრის მანძილზე მოახლოებისთანავე მას თბილად უნდა მიესალმოს, თვალებში უცქიროს და მისი ყველა სურვილი შეასრულოს.

აღსანიშნავია, რომ Wal-Mart-ის ყველა სავაჭრო ცენტრი სრულიად ერთნაირადაა დაპროექტებული. ასე რომ, მისი მუდმივი კლიენტი, რომელ ქალაქშიც არ უნდა მოხვდეს, საჭირო სექციებსა და საქონელს იოლად იპოვნის. ასევე, ერთნაირ უნიფორმას ატარებს კომპანიის ყველა თანამშრომელი. რიგითი პერსონალისათვის ეს მკერდზე სახელობითი ბარათით დამშვენებული ლურჯი კოსტუმია, მენეჯერებისათვის კი - თეთრი პიჯაკი და ფერადი ჰალსტუხი.

### მსოფლიოში უმდიდრესი ოჯახი

1992 წლის მარტში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უფროსმა უოლტონს თავისუფლების მედალი გადასცა. სულ მალე, კერძოდ კი, 6 აპრილს იგი გარდაიცვალა. კონკურენტები ელოდნენ, რომ ამით Wal-Mart-ის პოზიციები შეირყეოდა, მაგრამ კომპანიას სათავეში სემ უოლტონის ვაჟი რობსონი ჩაუდგა. დირექტორთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ, გენერალურ დირექტორ დევიდ გლასთან ერთად, Wal-Mart-ი არანაკლებ წარმატებით განავითარა და საფუძველი ჩაუყარა გლობალური გაფართოების ახალ პროგრამას.



ამიტომაც არის, რომ, როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის Wal-Mart Stores-ი მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო კორპორაციაა, ჟურნალ Forbes-ის უმდიდრეს კომპანიათა რეიტინგში მეცამეტე ადგილზე იმყოფება და გამუდმებით იფურჩქნება. Wal-Mart-ი ამერიკის სავაჭრო ცენტრების თითქმის 83 პროცენტს ფლობს და ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის თითქმის ორ მესამედს აკონტროლებს. მისი სავაჭრო ობიექტები, აშშ-ს გარდა, კიდევ მსოფლიოს ოცამდე ქვეყანაში მუშაობს. შარშან კომპანიის ფინანსურმა ბრუნვამ 312,43 მილიარდი დოლარი შეადგინა.

სემ უოლტონის დიდძალი ქონება მის ცოლსა და ოთხ შვილზე გადანაწილდა. ამჟამად ცოლი ჰელენი, რომელიც 86 წლისაა, 15,6 მილიარდ დოლარს ფლობს (21-ე ადგილი Forbes-ის რეიტინგში), უფროსი, 62 წლის ვაჟის, რობსონის კაპიტალი 15,8 მილიარდს (მე-19 ადგილი) შეადგენს, 58 წლის ჯიმსის და 51 წლის უმცროსი დაიკო კრისტის ანგარიშებზე 15,9-15,9 მილიარდია (რეიტინგში ორივე მე-17 ადგილზეა), კიდევ ერთი და, 56 წლის ელისი კი 15,7 მილიარდი დოლარის მფლობელი გახლავთ (20).

თუ მარტივ არითმეტიკას მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ უოლტონების ოჯახის, რომელიც Wal-Mart Stores-ს აკონტროლებს, საერთო ქონება 78,9 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიოს უმსხვილესმა სავაჭრო ორგანიზაციამ უოლტონები მსოფლიოს უმდიდრეს ოჯახად აქცია.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა დაფიქსირდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. გუშინწინდელი კლების შემდეგ ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ და დოლარის კურსის გამყარებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,29 პროცენტით, 11.033,44 პუნქტამდე გაიზარდა. 0,63 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.176,31 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,34 პროცენტით, 1.268,15 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა კვლავ მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების შემცირების ტენდენცია გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 70,27 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 71,87 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. ნავთობის გაიაფების მიზეზი ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებულმა ტრეიდერების ფრთხილმა ოპტიმიზმმა განაპირობა. როგორც ცნობილია, სამშაბათს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერმა სოლანამ ირანის ხელისუფლებას "ევროსამეულის" მიერ შემუშავებული და აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი კრიზისის მოგვარების ახალი პროექტი გადასცა. თეირანის პირველი რეაქცია პოზიტიური გახლდათ, თუმცა ირანის ხელისუფლება ახალ წინადადებებზე ოფიციალურ პასუხს ივნისის ბოლოს გასცემს.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 2,2 პროცენტით, 634,7 დოლარამდე გაიაფდა, რაც უკანასკნელი ხუთი დღის მინიმალური მაჩვენებელია. 1 უნცია ვერცხლის ფასმა კი 3,7 პროცენტით, 11,845 დოლარამდე მოიკლო, რაც ბოლო ორი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური ღირებულებაა. მნიშვნელოვანი გაძვირების შემდეგ ძვირფასი ლითონების ფასების შემცირება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოლარის კურსის გამყარება იყო. გარდა ამისა, დიდი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ.

## BAA ესპანელებს დარჩათ

მსოფლიო უმსხვილესი აეროპორტების ოპერატორი კომპანიის British Airports Authority (BAA) დირექტორთა საბჭომ შეთანთქმის შესახებ ესპანური სამშენებლო კონცერნის Ferrovial-ის წინადადება მიიღო. გარიგების საბოლოო თანხამ 10 მილიარდი ფუნტი სტერლინგი (18,85 მილიარდი დოლარი), ანუ, ერთ აქციაზე 950,25 პენსი შეადგინა. გარდა ამისა, აქციონერებმა კომპანიის თითოეულ ქაღალდზე 15,25 პენსის დივიდენდის უფლება მიიღეს. შეგახსენებთ, რომ BAA-ს ხელში ჩაგდება ასევე ამერიკულ საინვესტიციო ბანკ Goldman Sachs-ს სურდა, რომელიც თავდაპირველად აქციაში 940 პენსს იხდიდა, შემდეგ კი წინადადება 955,25 პენსამდე გაზარდა. ამერიკული მხარე ბრიტანელთა გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მოუწოდებს, არ აჩქარდეს და მათი ახალი წინადადება გულდასმით შეისწავლოს. ესპანური კომპანია ბრიტანულ ბაზარზე უკვე მოღვაწეობს. მას ეკუთვნის ლონდონის მეტროში შესასრულებელი სამუშაოების კონტრაქტები. გარდა ამისა, Ferrovial-ს ბელფასტის აეროპორტი ეკუთვნის. კონცერნის თავკაცმა რაფაელ დელ პინომ განაცხადა, რომ BAA-ს შეძენის შემდეგ არ აპირებს, სხვა სატრანსპორტო კვანძებზე უარი თქვას. შეგახსენებთ, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, Ferrpvial-ი რამდენიმე უნგრულ, იტალიურ და ავსტრალიურ აეროპორტს ფლობს.

## IBM-ი ინდოეთში 6 მილიარდს დააბანდებს

მსოფლიოს უმსხვილესი კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ამერიკული კონცერნი IBM-ი უახლოესი სამი წლის განმავლობაში ინდოეთში თავის ინვესტიციებს გაასამმაგებს. ამგვარად, IBM-ის ინდური კაპიტალდაბანდება 6 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული სარეკორდო ინვესტიცია იქნება. კომპიუტერული გიგანტის თავკაცის, სემ პალმიზანოს განცხადებით, თანხის ნაწილი ინდოეთის ქალაქ ბანგალორში, სადაც მაღალტექნოლოგიურ სფეროში მოღვაწე ბევრი კომპანიაა თავმოყრილი, სერვისცენტრების მშენებლობას მოხმარდება. გარდა ამისა, IBM-ი ინდოეთში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აშენებას გეგმავს. სავარაუდოდ, მიმდინარე ფინანსურ წელს ინდოეთში პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების მოცულობა 25 პროცენტით გაიზრდება. ამ სექტორის გაფართოების მიზეზი სულ უფრო მეტი კომპანიის მიერ თავისი წარმოების იაფი მუშახელის მქონე ქვეყანაში გადატანა გახლავთ. IBM-ი ინდურ ბაზარზე ჯერ კიდევ 1990 წელს გამოჩნდა, 2003 წლიდან ამ ქვეყანაში თავისი სერვის-ცენტრების გადატანა დაიწყო, 2004 წელს კი შეიძინა ინდური კომპანია Daksh-ი, რომელიც ბიზნესმომსახურების სფეროში სიდიდით ქვეყნის მესამე კომპანიაა. ამ დროისათვის IBM-ს ინდოეთის 14 ქალაქში 43 ათასი თანამშრომელი ჰყავს.

## ფრანგები Google-ს უჩივიან

ფრანგული გამომცემლობა La martiniere-მ კომპანია Google-ის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა. ფრანგები საძიებო კომპანიას ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაში ადანაშაულებენ. საქმე ეხება საგამომცემლო კომპანიის 100 წიგნს. კომპანია Google თავის მომხმარებლებს ამ წიგნების ფრაგმენტებსა და ხშირ შემთხვევაში კი მთლიან ნაწარმოებებს სთავაზობდა, საავტორო უფლებებს კი არ იცავდა. სასარჩელო განაცხადში ფრანგი გამომცემლები კომპანია Google-ისგან ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ, კონკრეტულად კი თითოეულ ნაწარმოებზე 100 ათას ევროს. საქმეს პარიზის სასამართლო განიხილავს. თავის მხრივ, კომპანია Google რამდენიმე მსხვილი ბიბლიოთეკიდან წიგნების ამონაწერებს აფორმებს, თუმცა ყოველ წიგნზე მითითებულია, რომ გამომცემლობასთან შეთანხმების გარეშე, მათი გამოყენება ისეთი ორგანიზაციების კრიტიკას იმსახურებს, როგორიცაა Association of America Universiti Presses. აღნიშნული ორგანიზაცია 125 აკადემიური გამომცემლობის ინტერესებს იცავს. Google-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საავტორო უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან გამოყენებული წიგნების უმეტესობა მოძველებულია და მათი ავტორები დიდი ხანია ცოცხალთა სიაში არ არიან.








# რა აფერხებს კოლხეთის დაბლობზე ტურისტების ჩამოსვლას



პირველი გვერდიდან

კოლხეთის დაბლობის შესასწავლად თუ, უბრალოდ, მის სანახავად ჩამოსვლის სურვილი მანამდეც და მას შემდეგაც ძალიან ბევრ უცხოელს გამოუთქვამს, თუმცა სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, რამდენიმე მათგანმა ჩამოსვლისგან თავი შეიკავა.

იყო შემთხვევები, როცა უცხოელი სტუდენტები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები მზად იყვნენ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე კოლხეთში საფუძვლიანი სამეცნიერო სამუშაოები ეწარმოებინათ და შემდეგ ეს მასალები საქართველოში დაეტოვებინათ - ისინი მხოლოდ საცხოვრებლით უზრუნველყოფას ითხოვდნენ. მაშინ, აუცილებელი ელემენტარული პირობების არარსებობის გამო, ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო ბოდიში მოეხადა და უცხოელი მოხალისეებისთვის.

## კოლხეთის დაბლობის პერსპექტივა

თუმცა, მალე ყველაფერი, შესაძლოა, რადიკალურად შეიცვალოს. ამბობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აქ იმდენი ტურისტი ჩამოვა, რამდენიც დღეს მთელ საქართველოში ჩამოდის. კოლხეთის დაბლობზე მათ განსაკუთრებით ეროვნული პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია აინტერესებთ, რომელიც იმდენად უნიკალურია, რომ მსოფლიოში მისი ანალოგი მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანაში ბევრი ტურისტული სააგენტო მუშაობს, ისინი ძირითადად შიდა მარშრუტებზე არიან ორიენტირებული და არც ერთი მათგანის მომსახურების პაკეტი არ ითვალისწინებს კოლხეთის დაბლობზე გასეირნებას. ტურისტული სააგენტოები ამბობენ, რომ დღეს ეს კომერციულად მოგებიანი არ არის, რადგან აქ არსებულ პირობებში დღეს ტურისტი არ მოვა. თუმცა აღიარებენ, რომ მომავალში ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების სერიოზული პოტენციალი არსებობს.

დღეს კოლხეთის ეროვნულ პარკში მსოფლიო ბანკისა და გარემოს გლობალური დაცვის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. იმისათვის, რომ ეროვნულმა პარკმა სათანადო სახე მიიღოს და აქ მოსული ტურისტი თუ მეცნიერი აუცილებელი პირობებით უზრუნველყოს, ამ ორგანიზაციებმა წლის დასაწყისში რამდენიმე ათასი აშშ დოლარი გამოყვეს. სამუშაო, რომელიც ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა ცენტრის, ტურისტებისათვის ოთხი 2-ადგილიანი ნომრის, საინფორმაციო დაფების, თავშესაფრების, სავალი ბილიკების, მაგიდების, მდინარე ჭურიაზე ფრინველთა დარგოლვის ცენტრის, სათვალთვალო და გადასახედი კოშკების მშენებლობას ითვალისწინებს, აქ სექტემბრამდე უნდა დასრულდეს. მთელი ტურისტული სერვისისა და მენეჯმენტის გამართვა მხოლოდ მომავალი წლის ზაფხულისთვის მოხერხდება. **"შეიძლება, სათანადო ინვენტარის შესყიდვა ცოტა დაგვაგვიანდეს, იმიტომ, რომ ასეთი ტიპის შესყიდვები დროში გაწელილი პროცესია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სამსახურის უფროსმა ლაშა ნოდიამ.

გარდა ამისა, განსაზღვრულია ამ ტიპის ლანდშაფტისათვის აუცილებელი ტურისტული ინვენტარი, კერძოდ; 18 ადამიანზე გათვლილი პანტონის ტიპის სასეირნო ნავები და გასაბერი ნავები, ასევე ტურისტების სპეციფიკური ეკიპირება.

## რატომ არის კოლხეთის ეროვნული პარკი უნიკალური?

პირველ რიგში, პარკის უნიკალურობას მისი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს. პარკი მდინარეების - თიკორისა და სუფსის შესართავებს შორის 44 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული, მისი საზღვაო აკვატორია კი დაახლოებით 16 ათას ჰექტარს მოიცავს.

ბუნებრივი სახით შემორჩენილი ტორფიანი ჭაობები, უიშვიათესი ფლორა და მრავალფეროვანი ფაუნა, ტბებისა და ჭაობის მდინარეების ხშირი ქსელი - ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ არგუმენტებისა, თუ რატომ უნდა ნახოს ტურისტმა კოლხეთის ეროვნული პარკი და მის ახლოს მდებარე ტერიტორიები.

ამბობენ, რომ შავი ზღვის მთელს სანაპიროზე იშვიათად მოიძებნება იმის ანალოგი, რასაც ტურისტი პარკში ან მახლობლად მდებარე პალიასტომის ტბაზე გასეირნების შემდეგ ნახავს. ჭარბტენიანი ლადშაფტების ერთობლიობა მართლაც ულამაზეს სანახაობას ქმნის.

თურმე, პარკის ტერიტორიაზე აფრიკა-ევრაზიის წყლისა და ჭაობის ფრინველთა საიმიგრაციო გზა გადის. ეს ადგილი მიმდებარე ზღვის აკვატორიასთან ერთად, გადამფრენი და ადგილობრივი ფრინველებისათვის ერთგვარ დასაზამთრებელ, შესასვენებელ და საბინადრო ადგილს წარმოადგენს. სპეციალისტების თქმით, გადაფრენის დროს აქ შესაძლებელია 190-ზე მეტი სახეობის ფრინველის ნახვა, რომელთა შორის რამდენიმე მსოფლიო დონის იშვიათობას წარმოადგენს.

პარკი უნიკალური იმითაც არის, რომ აქ ერთროულად შეიძლება განვითარდეს ტურიზმის რამდენიმე სახეობა, მათ შორის - საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, წყალქვეშა ეგზოტიკური, ფრინველთა სათვალთვალო, საფეხმავლო და საცხენოსნო ტურიზმის.

ითვლება, რომ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო დრო კოლხეთის ეროვნული პარკის მოსანახულებლად ბერდვოჩინგის (ფრინველებზე თვალთვალი) სეზონია, ანუ გვიანი შემოდგომა და ადრეული გაზაფხული.

საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები იმასაც ამტიცებენ, რომ პარკის ახლომახლო მდებარე ტბებსა და მდინარეებში დღეს თევზის 80-ზე მეტი სახეობა ბინადრობს.

## როგორ მოვიზიდოთ ტურისტები?

მას შემდეგ, რაც აქ ინფრასტრუქტურა გაჩნდება და პარკი მზად იქნება მნახველთა მისაღებად, საჭიროა ტურისტების მოსაზიდად გარკვეული საქმიანობის წარმართვა. სპეციალისტები ამბობენ, რომ უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების კოლხეთის ეროვნული პარკით დაინტერესება - ეს კიდევ ცალკე და, თანაც, ხანგრძლივი სამუშაო პროცესია. პარკის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ამ საქმეში მათ ქართული ტურისტული სააგენტოები დაეხმარებიან, რომელთა მომსახურებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღემდე არ ყოფილა კოლხეთის ეროვნული პარკისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მარშრუტი. **"რაც არ უნდა უნიკალური სანახაობა შესთავაზო ტურისტს, მით უმეტეს, თუ საუბარია უცხოელზე, ის არ ჩამოვა, თუკი მას აქ თუნდაც ელემენტარული კომფორტი არ დახვდება. ეს კი დღეს, ფაქტობრივად, არ არსებობს. ვფიქრობ, ახლა მნიშვნელოვანი კოზირი გვაქვს, რომელიც ხელიდან არ უნდა გავუშვათ. კოლხეთის დაბლობმა, უშუალოდ კი ეროვნულმა პარკმა ინფრასტრუქტურის გაჩენის შემდეგ ბევრი მნახველი უნდა მოიზიდოს. მთავარია, ყველაფერი სწორად და ზუსტად განხორციელდეს,"** - უთხრა "24 საათს" Explore Georgia-ს ტურ-მენეჯერმა სოფო თვარაძემ.

მისი სააგენტო, ისევე როგორც სხვა ბევრი, პარკში მიმდინარე სამუშაოების დასრულებისა და სახელმწიფოს მიერ მენეჯმენტის აწყობის შემდეგ, ტურისტებისთვის კოლხეთის დაბლობზე ერთდროულად რამდენიმე მარშრუტის შეთავაზებას აპირებს. ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ტურისტები კოლხეთით აუცილებლად დაინტერესდებიან და სათანადო სარეკლამო კამპანია აქ ათასობით უცხოელს მოიზიდავს.

Georgian Discovery Tours-ის მმართველი დირექტორი გიორგი ალიაშვილი ახლო მომავალში საკუთარ საიტზე აუცილებლად დადებს კოლხეთის დაბლობისა და ეროვნული პარკის ფოტოამსახველ მასალას და მაქსიმალურად გაუწევს პოპულარიზაციას ამ ადგილს. ამბობს, რომ სათვალთვალო კოშკს, რისი გაკეთებაც არის დაგეგმილი პარკში, საქართველოში დღემდე ანალოგი არ გააჩნია, ეს კი ბერდვოჩინგის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. ალიაშვილი ვარაუდობს, რომ ტურიზმის ეს სახეობა იქნება ერთ-ერთი მთავარი, რაც მომავალში ტურისტებს კოლხეთის დაბლობზე ჩამოიყვანს.

## ექსპო ჯორჯია მე-7 საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს

გუშინ, საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" კვების მრეწველობის რიგით მე-7 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა. საგამოფენო ცენტრის მე-6 და მე-7 პავილიონები დაინტერესებულ პირებს კვების მრეწველობის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების, შემფუთავი და გადამამუავებელი ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტს შესთავაზებს. გამოფენაში მონაწილეობას 15 ქვეყნის 100-მდე კომპანია მიიღებს. ქართულ კომპანიებთან ერთად, გამოფენაში მონაწილეობენ რუსეთის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, გერმანიის, თურქეთის, იტალიის, საბერძნეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიები. კვების მრეწველობის გამოფენის ოფიციალურ ცერემონიალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილიც დაესწრო. "საქართველოში ბოლო პერიოდში გადამამუშავებელ მრეწველობაში დიდი წინსვლაა. 2005-2006 წლებში, ქვეყანაში ბევრი გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნა, მართალია ჩვენ, ჯერ საწყის ეტაპზე ვართ, მაგრამ ქვეყანას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. მსგავსი საერთაშორისო გამოფენები უცხო ქვეყნებში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების ათვისებისა და გაცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მოხარული ვარ, რომ გამოფენაზე აქტიურად არის წარმოდგენილი ჩვენი პარტნიორი ქვეყნის, თურქეთის პროდუქცია. თურქეთმა, ბოლო წლების მანძილზე გადამამუშავებელ მრეწველობაში დიდი ძვრები მოახდინა, ასე, რომ მათი გამოცდილება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია."- აცხადებს მიხეილ სვიმონიშვილი. 60 საგამოფენო სტენდზე ხორცისა და ხორც პროდუქტები, კვერცხი და ფრინველის ხორცი, საკონდიტრო ნაწარმი, საკვები დანამატები, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, გადამამუშავებელი და კიდევ მრავალი სხვა თანამედროვე ტექნოლოგიაა წარმოდგენილი. საერთაშორისო გამოფენის ორგანიზატორია საგამოფენო ცენტრი "ექსპო ჯორჯია". გამოფენა 10 ივნისამდე გაგრძელდება. დღეს კი ფონდი "ქართული ხარისხი" გამოფენის ფარგლებში მონაწილე კომპანიებს დააჯილდოვებს.

## ABENGOLA ალტერნატიული საწვავის წარმოებაში ლიდერიობს

ესპანეთი ევროკავშირში ავტომობილებისთვის ალტერნატიული საწვავის წარმოების თვალსაზრისით ლიდერულ პოზიციებს იმკვიდრებს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, ბიოეთანოლის საწვავი, ბენზინთან შედარებით ბევრად უფრო სუფთაა. ევროკავშირმა ესპანური კომპანია ბიოეთანოლის წარმოებაში საუკეთესოდ აღიარა. Abengola-ს ფილიალები 70 ქვეყანაში აქვს. ეპანეთში ის ყოველწლიურად 526 მილიონ ლიტრ ალტერნატიულ საწვავს აწარმოებს, რომლის დიდი ნაწილიც საექსპორტოდ არის განკუთვნილი. ამასთან ერთად, ესპანური კომპანიის ამერიკული ფილიალი წელიწადში 420 მილიონ ლიტრ ბიოეტანოლს აწარმოებს. ბიოეტანოლი ერთ-ერთ ყველაზე სუფთა საწვავად ითვლება და ის მსოფლიოში არცთუ დიდი რაოდენობით იწარმოება. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვა, რამდენად შეძლებს ესპანეთი დააკმაყოფილოს ევროკავშირის დირექტივა, რომლის მიხედვითაც, 2010 წლისთვის, თითქმის ავტომობილებისთვის განკუთვნილი ყველა ტიპის საწვავი უნდა შეიცავდეს განახლებული ნედლეულის შემადგენელი კომპანენტის 6%-ს მაინც.

## IBM ინდოეთში 6 მილიარდიან ინვესტიციას დებს

კომპიუტერული მომსახურების სფეროში ლედერი კომპანია IBM ინდოეთის ეკონომიკაში 6 მილარდი დოლარის ინვესტიციას ჩადებს. სამი წლის მანძილზე, აღნიშნული კომპანია ინდოეთს, მსოფლიო მასშტაბით ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პოზიციების გამყარებაში დაეხმარება. "ინდოეთი, ისევე როგორც სხვა ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნები, IBM-ის მსოფლიო წარმატების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა,"- განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა სამუელ პალმიზანომ. IBM ინდოეთში თავისი ბიზნესის გაფართოებას აპირებს, რაც პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფასა და კომპლექტური კვლევითი ლაბორატორიების დაარსებას მოიცავს. კომპანიას ინდოეთის 14 ქვეყანაში უკვე ჰყავს თავისი წარმომადგენლობა, სადაც 43 ათასი თანამშრომელია დასაქმებული. კომპანია IBM-ის მიერ ჩადებული კაპიტალი, ბოლო წლების მანძილზე ინდოეთისთვის ყველაზე დიდი ინვესტიციაა.

## ამინდი

| | 6/06 | 7/06 | 8/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 23 | 22 |
| რიგა | 15 | 17 | 20 |
| ვილნიუსი | 13 | 14 | 17 |
| მოსკოვი | 15 | 17 | 20 |
| მინსკი | 16 | 18 | 20 |
| პარიზი | 19 | 20 | 22 |
| რომი | 22 | 20 | 24 |
| ლონდონი | 21 | 22 | 24 |
| მადრიდი | 31 | 33 | 32 |
| ბონი | 20 | 22 | 22 |
| ვარშავა | 16 | 15 | 21 |
| ათენა | 28 | 26 | 26 |
| ბერნი | 17 | 20 | 24 |
| ამსტერდამი | 15 | 16 | 16 |
| ოსლო | 20 | 19 | 22 |
| ანკარა | 27 | 28 | 30 |
| ვარნა | 26 | 22 | 24 |
| დელი | 48 | 48 | 47 |
| ტოკიო | 26 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 15 | 16 | 18 |
| ბაქო | 34 | 32 | 31 |
| ერევანი | 36 | 36 | 37 |
| ასტანა | 21 | 23 | 25 |
| ჰელსინკი | 9 | 12 | 16 |
| დუბლინი | 21 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 33 | 31 | 30 |
| პრაღა | 12 | 13 | 17 |
| სოფია | 23 | 19 | 20 |
| ბუდაპეშტი | 21 | 17 | 22 |
| ბუხარესტი | 27 | 22 | 25 |

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## კაპიტანი სარქიჩანოდ დაბრუნდა



C2

## ბოგუა საუკეთესოთა შორის



C3

## კარლოს ალბერტო პერეირა: „ბრაზილია ჩემპიონი გახდება!"



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





# ღვინოვ, კახურო...




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მარი ჭავახიშვილი

ჩვენ დავბრუნდებით! - ასე დაგვემშვიდობა „ბარბაროსთა" პრეზიდენტი თბილისიდან წასვლის წინ. მსოფლიო ნაკრებმა საქართველო გუშინ დილით დატოვა.

სამშობლოში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე სტუმრები კახეთს სტუმრობდნენ, სადაც ჯერ წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ ღვინის სარდაფში იყვნენ, მერე კი სოფელ სანიორეში, ნოდარ საქუაშვილის სანავარდოდ წოდებულ მამულში მასპინძლის მიწვევით გადაინაცვლეს.

„ბარბაროსების" ავტობუსი კახეთისკენ დილის თერთმეტ საათზე უნდა გასულიყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ წინა დღით რებეკას ბარში მორაგბეებს იმდენი დაელიათ, დილით ადგომის თავი აღარ ჰქონდათ.

ერთი საათის დაგვიანებით „საკახეთო გუნდში" „ბარბაროსთა" მხოლოდ ნახევარი შეიკრიბა, მეორე ნახევარმა თავის ტკივილისა და გადაღლილობის გამო ექსკურსიაზე უარი თქვა. აღმოსავლეთისკენ წასასვლელი გუნდი უკაპიტნოდ დარჩა - ლეგენდარულმა ბობ სკინსტედმა წინა დღეს გადამეტებული ქეიფის გამო კახეთში წამოსვლა ველარ შეძლო. „ბარბაროსებს" იმ დღეს გუნდის ლიდერი ტონი მარში და მწვრთნელი პეტ ჰოვარდიც აკლდათ. თბილისურ დატვირთვას ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო და საქართველო, გუნდის რამდენიმე მორაგბესთან ერთად, ვადაზე ადრე დატოვეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ავტობუსი დღის 12 საათზე დაიძრა კახეთისკენ. ვინც სასტუმროში გამოძინება ვერ მოასწრო, ავტობუსში წათვლიმა, შედარებით კარგად გამოძინებულები კი გზაში თავისებურად ცდილობდნენ გამხიარულებას - ერთნი მუსიკას უსმენდნენ და ხმამაღლა ჰყვებოდნენ სიმღერას, მეორენი კი გუნდურ თამაშებს თამაშობდნენ. „ბარბაროსთა" საყვარელი თამაში დაახლოებით ჩვენებური ქალაქობანას დარი აღმოჩნდა - თუმცა, ქალაქების ნაცვლად მორაგბეები მომღერლებსა და სპორტსმენებს ასახელებდნენ.

ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩვენი პირველი გაჩერება ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმი იყო. სტუმრები წინანდლის ღვინის სარდაფში მიიწვიეს, სადაც ძველი ქართული ღვინის ისტორიას აზიარეს. როდესაც მორაგბეებმა შეიტყვეს, რომ ყველაზე ძველი ღვინო 1815 წლით იყო დათარიღებული, ერთ-ერთმა მათგანმა, „ლესტერის" მორაგბემ ლიონ ლოიდმა გაკვირვებით წამოიძახა: 1815-ში? ეგ წელი ჩვენთვისაც ისტორიულია - ნაპოლეონს ვატერლოოს ბრძოლა მოვუგეთო.

გუნდის პრეზიდენტმა მიკი სთილ-ბოჯერმა ველარ მოითმინა და ქართველები იქვე, ჭავჭავაძისეული ღვინის სარდაფში სავსე ჭიქით დაგვლოცა:

„აღფრთოვანებული ვარ თქვენი სტუმართმოყვარეობით, ქართული ღვინით, რაგბით. იმდენად მომწონს აქ ყოფნა, რომ უკვე ვფიქრობ, გაისადაც ჩამოვიდეთ. მართალია, აქამდე არ მომხდარა, რომ ერთსა და იმავე ქვეყანას ზედიზედ ვწვეოდით, მაგრამ ჩემს ჩანაფიქრს აუცილებლად განვახორციელებ", - თუ სერ მიკიმ დანაპირები შეასრულა, მაშინ საქართველო „ბარბაროსთა" 116-წლიან ისტორიაში პირველი ქვეყანა გახდება, რომელსაც გუნდი ზედიზედ ორჯერ ეწვია.

სარდაფიდან ამოსულმა სტუმრებმა იქვე მდებარე ღვინის სადეგუსტაციო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც მათ კომპანია „თელიანი ველის", „ქართული ვაზის", „თელავის ღვინის მარნის", „შუმისა" და „ჯივიესის" ღვინის პროდუქციასთან ახლოს გაცნობა ელოდათ.

სტუმრებს ორიოდე წუთიც არ დასჭირვებიათ, რათა ქართული ღვინით ისე დაინტერესებულიყვნენ, რომ მისი ყიდვისა და სამშობლოში, მეგობრებისა და ახლობლებისთვის ჩატანის სურვილი გასჩენოდათ.

ყველაზე მეტად მსოფლიოს ნაკრების მოთამაშეები საფერავით, მანავის მწვანეთი და ალაზნის ველით მოიხიბლნენ. თუმცა, როცა ღვინის კომპანიის წარმომადგენლებმა მათი ჩუქება შესთავაზეს, ისე მტკიცედ იუარეს, რომ მხოლოდ ნახევარი იჩუქეს, ნახევარი კი იყიდეს.

გაგრძელება C2 გვერდზე

## მხოლოდ ფაქტები

... ინგლისის ნაკრების მეკარემ პიტერ შილტონმა 1982, 1986 და 1990 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ათ მატჩში არ გაუშვა გოლი. ტურნირის ისტორიაში ეს საუკეთესო შედეგია.

■ ■ ■

... უდიდეს საფეხბურთო ტურნირებზე აქამდე ჩატარებულ 644 მატჩში 1916 გოლია გასული, ანუ საშუალოდ თამაშში თითქმის სამი გოლი გადის. საუკეთესო მაჩვენებელი 1954 წელს დაფიქსირდა შვეიცარიაში - თამაშში საშუალოდ 5,4 გოლი, მაშინ როცა 1990 წელს იტალიაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იყო - თამაშში 2,2 გოლი. 1930-1978 წლებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებზე თამაშში საშუალოდ სამი გოლი გადიოდა. მას შემდეგ ამ მაჩვენებელს ვერც ერთი ტურნირი ვერ მიუახლოვდა.

■ ■ ■

... სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიო ჩემპიონატის ყოველი მესამე მატჩი 1:0 ან 2:1 მთავრდება. უდიდეს საფეხბურთო ტურნირებზე გამართული შეხვედრების მხოლოდ 8% დასრულდა ფრედ 0:0.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე პენალტიდან 141 გოლია გასული, ხოლო 24-ჯერ ფეხბურთელებმა საკუთარ კარში გაიტანეს ბურთი.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე საიუბილეო მე-2000 გოლი გერმანიაში გავა. აქამდე გასული საიუბილეო ბურთებიდან რამდენიმე სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა გაიტანა: მე-800 - 1970 წელს გერმანელმა გერდ მიულერმა (ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი), 1200-ე - 1986 წელს ფრანგმა ჟან-პიერ პაპენმა, 1300-ე - 1986 წელს ინგლისელმა გარი ლინეკერმა (ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი), 1900-ე - 2002 წელს იტალიელმა კრისტიან ვიერიმ.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე მეტი გოლი გერმანელ გერდ მიულერს გაუტანია - 14. 1970 წელს მან 10-ჯერ გამოიჩინა თავი, ხოლო 1974 წელს - 4-ჯერ. ერთ ტურნირზე ყველაზე მეტი ბურთი ფრანგმა ჟიუსტ ფონტენმა შეაგდო 1958 წელს - 13. ფეხბურთის მეფეს პელეს და ბრაზილიის დღევანდელი ნაკრების საუკეთესო გოლეადორს რონალდოს 12-12 გოლი აქვთ გატანილი.

■ ■ ■

... მხოლოდ ბრაზილიელ პელეს და გერმანელ უვე ზეელერს გაუტანიათ გოლები ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე.

■ ■ ■

... ფრანგმა ჟიუსტ ფონტენმა (1958 წელს) და ბრაზილიელმა ჟაირზინიომ (1970 წელს) მსოფლიო ჩემპიონატზე ჩატარებულ უკლებლივ ყველა შეხვედრაში გამოიჩინეს თავი. პირველი ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, ბრაზილიელი კი - მსოფლიო ჩემპიონი. იტალიელმა სალვატორე სკილაჩიმაც მოახერხა ერთი მსოფლიო ჩემპიონატის ექვს შეხვედრაში გოლის გატანა, თუმცა 1990 წელს მან შვიდი თამაში ჩაატარა. სკილაჩის იტალია მაშინ მესამე ადგილზე გავიდა, თავად ფეხბურთელმა კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის ტიტულები მოიგო.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე დანომრილი მაისურებით ფეხბურთელები 1954 წლიდან თამაშობენ. მას შემდეგ მე-9 ნომრებმა 214 გოლი გაიტანეს, მე-10 ნომრებმა - 201, ხოლო მე-11 ნომრით მოთამაშე ფეხბურთელთა ანგარიშზე 163 გოლია.

■ ■ ■

... 1962 წელს საუკეთესო ბომბარდირის ტიტული ერთბაშად ოთხმა ფეხბურთელმა მოიპოვა.

■ ■ ■

... 2002 წელს, მესამე ადგილისთვის მატჩში, თურქეთის ნაკრების ფორვარდმა ჰაქან შუქურმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა - კორეელთა კარი თამაშის დაწყებიდან 11 წამში დალაშქრა!

■ ■ ■

... 1978 წელს გფრ ავსტრიასთან ბოლო ნახევარ საუკუნეში პირველად დამარცხდა - 2:3. ავსტრიელებს გამარჯვება მოუტანა გერმანელმა მცველმა ბერტი ფოგთსმა, რომელმაც საკუთარ კარში გაიტანა გოლი. მას შემდეგ ფოგთსს ბუნდესნაკრებში აღარ უთამაშია.

■ ■ ■

... 1978 წელს ჰოლანდია-იტალიის მატჩში ჰოლანდიელმა ერნი ბრანდტსმა ჯერ საკუთარ კარში გაიტანა გოლი და მეტოქე დააწინაურა, მოგვიანებით კი თავადვე გაათანაბრა ანგარიში.

■ ■ ■

... სამხრეთაფრიკელმა პიერ ისამ 1998 წელს საფრანგეთთან მატჩში 77-ე წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მატჩის დასრულებამდე წამებით ადრე მეორე გოლი გაიტანა საკუთარ კარში, თუმცა თამაშიდან რამდენიმე დღეში ფიფამ გოლის ავტორად ფრანგი დაასახელა ტიერი ანრი, რომელსაც ბურთი ისას დარტყმის შემდეგ შეეხო და კარში შევარდა.

■ ■ ■

... 2002 წლის 5 ივნისს კორეის ქალაქ სუვონში პორტუგალიისა და აშშ-ის ნაკრებების თამაშში ორი ავტოგოლი გავიდა: ჯერ პორტუგალიელმა ჟორჟე კოშტამ გამოიჩინა თავი, დაახლოებით ერთ საათში კი - ამერიკელმა ჯეფ აგოოსმა.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 46 შემთხვევაა დაფიქსირებული, როცა მოთამაშემ ერთ შეხვედრაში სამი და მეტი გოლი გაიტანა. უნგრელმა შანდორ კოჩიშმა (1954 წელს), ფრანგმა ჟიუსტ ფონტენმა (1958 წელს), გერმანელმა გერდ მიულერმა (1970 წელს) და არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ (1994 და 1998 წლებში) მსგავსი რამ ორჯერ მოახერხეს. ბატისტუტა ერთადერთია, რომელმაც ორ მსოფლიო ჩემპიონატზე შეძლო თამაშში სამი გოლის გატანა.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე სწრაფი ჰეთ-თრიქი ეკუთვნის უნგრელ ლასლო კიშს, რომელმაც 1982 წელს სალვადორს 7 წუთში გაუტანა სამი გოლი. 1998 წელს გაბრიელ ბატისტუტამ იამაიკასთან 11 წუთში შეასრულა ჰეთ-თრიქი.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში ყველაზე მეტი გოლი - 7 - 1958 წელს გავიდა. შვედეთში მასპინძლები დამარცხდნენ ბრაზილიასთან, რომელმაც პირველად მოიგო უდიდესი საფეხბურთო ტურნირი.

■ ■ ■

... მუნდიალებზე ჩატარებული 644 თამაშიდან 500-ზე მეტი დასრულდა ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით. საშუალოდ ოთხიდან მხოლოდ ერთი მატჩი მთავრდება ფრედ.

■ ■ ■

... უდიდეს საფეხბურთო ტურნირებზე 16-ჯერ დაინიშნა პენალტების სერია. პირველად - 1982 წლის ტურნირის ნახევარფინალში გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის. 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა პენალტების სერიაში გაირკვა - ბრაზილიელებმა იტალიელებს სძლიეს.

# ღვინოვ, კახურო...

პირველი გვერდიდან

„უმაღლესი ხარისხის ღვინოა, განსაკუთრებული გემოსი და არომატის. სამწუხაროა, რომ ინგლისში თქვენი ღვინო არ იყიდება, მაგრამ იმედი მაქვს, ვისაც ეს ეხება, ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს და მალე ქართული ღვინო ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება. დღეს მხოლოდ რამდენიმე ბოთლი შევიძინე, მინდა სამშობლოში ჩემს მეგობრებს ჩავუტანო. ვიცი, რომ ძალიან ისიამოვნებენ“, - შთაბეჭდილებები გაგვიზიარა უგო მონიმ, რომელსაც მხოლოდ იმაზე სწყდებოდა გული, რომ ყანწის შეძენა ვერ მოასწრო.

წინანდლის შემდეგ წინ კიდევ უფრო საინტერესო, სოფელ სანიორეში, ნოდარ საქუაშვილის სანავარდოდ ცნობილ კარ-მიდამოში სტუმრობა ელოდათ.

თვალწარმტაცმა სანახაობამ „ბარბაროსების“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მათ თვალწინ ულამაზესი ბუნება, უმშვენიერესი ხედები გადაიშალა. სანავარდოს შადრევნის დანახვაზე კი სიცხით გათანგულები ტანსაცმლიანად ერთად გადაეშვნენ წყალში.

გაგრილებულები მასპინძელმა დიდებულ სუფრასთან მიიწვია, რომელიც, ცხადია, ქართული წესითა და ადათით წარიმართა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, სიმღერას ცეკვა... ყველაზე თამამი „ბარბაროსთაგან“ პრეზიდენტი, 83 წლის სერ მიკი სთილბოჯერი აღმოჩნდა და ჩვენებურ ჰანგებზე აცეკვდა.

ქართული ჰიმნის მოსმენის შემდეგ თავისი ქვეყნის - ფიჯის ჰიმნი ჯაკობ რაულუნიმ საამოდ და პროფესიულად შეასრულა. თხა თხაზე ნაკლებიო და, თანაგუნდელს სხვებმაც მიბაძეს - ჯერ სამხრეთაფრიკელმა პიტერ დიქსონმა იმღერა, მერე კი კევინ მეგზისა და ჯასტინ ფიცპატრიკის დუეტი მოვისმინეთ.



სტუმრებმა წინანდალშიც კარგად მოილხინეს.

სუფრაზე ყანწებიც გამოჩნდა. ამის შემხედვარე მორაგბეებს ფერი დაეკარგათ და ჩუმ-ჩუმად გაიპარნენ სუფრიდან. ყველაზე გულადი აღმოჩნდა ნიგერიული წარმოშობის ინგლისელი უგო მონი - ყანწიც გამოცალა და ფეხზეც მყარად იდგა.

გაირკვა, რომ რამდენიმე დღეში „ბარბაროსები“ კარგად გაცნობიან ქართულ ტრადიციებს და სადღეგრძელოებს ქართული გაგიმარჯოთი იწყებდნენ:

„გაუმარჯოს საქართველოს! გვინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი დახვედრისთვის, იმ დაუვიწყარი დღეებისთვის, რაც ჩვენ გვაჩუქეთ. ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ საქართველო ასეთი ლამაზი ქვეყანა იქნებოდა. თქვენთან სტუმრობით უზომოდ ნასიამოვნები ვართ. ყველა ჩვენგანი საოცრად კმაყოფილი მიემგზავრება შინ და თან დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიჰყვება. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენს თბილსა და ულამაზეს ქვეყანას კვლავაც ვეწვევით“, - ეს „სეილის“ მოთამაშე სტივ ჰეილი გახლავთ.

მოლხენისა და ცეკვა-თამაშის შემდეგ სანავარდოში სტუმრობა საჯინიბოს დათვალიერებით დასრულდა. ნოდარ საქუაშვილის მამულში ერთი არაბული და სამი ინგლისური ჯიშის ბედაური ბინადრობს. წმინდა სისხლის ცხენებმა ყველა სტუმარზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

კახეთი შებინდებისას დავტოვეთ და გეზი თბილისისკენ ავიღეთ. სხვადასხვა ქვეყანაში მორაგბე „ბარბაროსები“ ავტობუსში ისევ კახეთში მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ იყვნენ. ბოლოს ველარ მოითმინეს და სამშობლოში, მეგობრებისთვის წასაღები საფერავით თბილისისკენ მომავალ გზაზე ისევ საქართველოსა და ქართველი ხალხის სადღეგრძელო შესვეს.

# კაპიტანი სარჟიჩანოდ დაგვიბრუნდა

„ბარბაროსებმა“ ღვინის კუთხე, კახეთი მოიხილეს და ოთხშაბათს შინ გაფრინდნენ. ბორჯღალოსნებს კი საქეიფოდ ვერა აქვთ საქმე: ამ პაპანაქებაშიც ვარჯიშობენ, რადგან შაბათს, 10 ივნისს, ჩვენი დროით დღის სამ საათზე, პრაღის მახლობლად, დაბა რჟიჩანში, იოზეფ კოჰოუტის სახელობის კოხტა სტადიონზე, ერთა თასის ბოლო მატჩში მასპინძელ ჩეხეთს ეთამაშებიან და, როგორც ყოველთვის, გამარჯვებას დაეშურებიან.

ერთა თასი 2004 წლის ნოემბერში დაიწყო და ახლაღა სრულდება. მისი ნაბეჭდი დებულება კარგა ხანია არავის უნახავს. ჰოდა, რუმინეთი მედიის პირით ამტკიცებს, წინა უიკ-ენდზე უკრაინის ჯობნით პირველობა დავიბევეთ, რადგან ქულათა ტოლობისას ადგილების გასანაწილებლად მთელ ტურნირში გატანილ-გაშვებულის სხვაობა კი არაა მთავარი, არამედ ერთურთში თამაშის შედეგი და ამ კრიტერიუმით საქართველოს ორი მატჩის ჯამში 48:30 (13:20 და 35:10) ჯერ კიდევ თებერვალში ვაჯობეთო.

გინდაც საქმე ისე იყოს, როგორც რუმინეთი ბრძანებს, ბორჯღალოსნებს გამარჯვება მაინც მართებთ. ერთი რომ, რაგბიში ყოველი თამაში ომია და ყველა გუნდი მოგებისთვის იბრძვის. მეორეც, ქველ სახელსა და ირბ-ის რეიტინგს მოფრთხილება სჭირდება. მესამე, არც სამარადჟამო ბალანსის კიდევ უფრო გაუმჯობესება გვაწყენს და მეოთხეც, მსოფლიო თასის შესარჩევთა განხრით ჩვენთვის უკეთესია, რომ ჩეხეთი მეხუთე ადგილზე დარჩეს, რუსეთი კი - მეოთხეზე.

ამისთვის ჩვენ ჩეხეთი უნდა დავამარცხოთ, ან რუსეთმა რუმინეთს ციმბირში, სულ ცოტა, ფრე გაუგოროს. მაგრამ თუ ღმერთი გაწყრა, ჩეხებმა მოგვიგეს, ხოლო რუსეთმა წააგო, ყველაფერი თავდაყირა დადგება: სლავები ერთმანეთს ადგილებსა და სამომავლო მეტოქეებს გაუცვლიან, ანუ ჩეხეთი ოქტომბერში საქართველოს ნაცვლად პორტუგალიას ჩააკითხავს, რუსეთი კი პირუკუ!

ბორჯღალოსანთა პროფესიონალზმი გვაფიქრებინებს, რომ ასე არ მოხდება. ჩვენები პრაღაში პარასკევ დილით საუკეთესო რაზმით მიფრინავენ. ნაბარბაროსალთაგან გამოგვაკლდა მხოლოდ 10 ნომერი ოთარ ბარკალაია (ანდორაში ფეხმძიმე ცოლთან გაფრინდა). სამაგიეროდ, დაგვიბრუნდა ბეჭმოშუშებული კაპიტანი ილია ზედგინიძე, მეათე ბეკი კი იქნება ყოჩების ყოფილი 9 ნომერი ვახტანგ ფაილოძე, ვინც ლევან მგელაძის ხელმძღვანელობით პრაღის „სპარტაში“ თამაშობს.



"ბორჯღალოსნები" ჩეხეთშიც ისევე გულიანად ითამაშებენ, როგორც "ბარბაროსებთან".

**ბორჯღალოსანთა რაზმი:**

**ბეკები (უკანა ხაზი):** გიორგი ელიზბარაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ოთარ ელოშვილი, ლექსო გუგავა, რევაზ გიგაური, ირაკლი გიორგაძე, გიორგი კაჭარავა, პალიკო ჯიმშელაძე, ბიძინა სამხარაძე, ვახტანგ ფაილოძე
**ფორვარდები:** მამუკა მაგრაქველიძე, ავქსენტი გიორგაძე, ავთო კოპალიანი, მიხეილ სუჯაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ.), მამუკა გიორგაძე, ლევან დათუნაშვილი, შალვა პაპაშვილი, ილია მაისურაძე, რატი ურუშაძე, ბესო უდესიანი, ზვიად მაისურაძე
**მწვრთნელები:** მალხაზ ჭეიშვილი და პაატა ნარიმანაშვილი

**ჩეხეთი:**

**ბეკები:** იან როჰლიკი, მიხალ შლანგერი, მარტინ იაგრი, იან რუდოლფი, იაროსლავ ტომჩიკი, მარტინ პეკარეკი, ვაცლავ იურსიკი, მარტინ სნიდალი, პაველ სიროვი, ვიტეზლავ დოსედლა
**ფორვარდები:** იან ოსვალდი, ირჟი სლუკა, პაველ შტიასნი, პაველ ინდრაკი, ლუკაშ რაპანტი, იან ბენდა, ვლასტიმილ მადრი, მიროსლავ ნემეჩეკი, ირჟი ბურიანეკი, იან ჟილა, ლადისლავ ვონდრაშეკი, პატრიკ ლეროხი
**მწვრთნელები:** იოზეფ ფატკა და პეტრ მიხოვსკი

**მსაჯები:**
**რეფერი** კოლინ სტენლი; **კიდეებზე:** მარშალ ქილგორი და ლიო ქოლგენი (ირლანდია)

### აზიაში დასრულდა, აფრიკაში დაიწყო

ჩეხეთი შარშან ქუთაისში საზარლად მოისრა და ალბათ რევანშზე ფიქრობს. რაგბის თემმა ახლახან სწორედ რჟიჩანში აღნიშნა ქვეყანაში თამაშის დანერგვის 80 წლისთავი. ჩეხთა რაგბის კავშირს ფინანსურად ხომ უჭირს და მის უფროსობაშიც შუღლი ჩამოვარდნილა, მაგრამ ცნობილი კანონზომიერებაა, რომ გაჭირვება გუნდს ერთ მუშტად კრავს ხოლმე. ასე რომ, ლადია ვონდრაშეკთან და მარტინ იაგრთან ხუმრობა არ ეგების.

ამასობაში აზიაში დასრულდა მსოფლიო თასის შესარჩევთა ბოლოსწინა რაუნდი, აფრიკაში კი იგივე სტადია ახლა გაჩაღდა. ჰოდა, ჯერ გავარდა ჩინეთი, მერე არაბეთი, ბოლოს კი შრი ლანკაც და იაპონიასა და კორეას ძველმა ნაცნობმა ჰონკონგმა აეკითხა.

გადამწყვეტი რაუნდი ნოემბერში, ნეიტრალურ მოედანზე, შრი ლანკაში, ერთ წრედ გაიმართება. 2007 წლისთვის გამარჯვებულს ბ პულში ელიან ავსტრალია, უელსი, ფიჯი და ჩრდილო ამერიკის ჯილა (სავარაუდოდ, კანადა). მეორე ადგილზე გასული ტონგა - ქუქეთის წყვილში გამარჯვებულს რეპეშაჟში შეხვდება და თუ აჯობა, ინგლისს, სამხრეთ აფრიკას, სამოასა და ამერიკის მესამე გუნდს (აშშ, ურუგვაი ან ჩილე) დაუჯდება პულში, აუტსაიდერი კი გავარდება.

**მასალა მომზადებულია**
**ვებ გვერდზე: rugby.ge**

## მხოლოდ ფაქტები

... „სკუადრა აძურა“ 1990, 1994 და 1998 წლებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებზე სამჯერ მონაწილეობდა პენალტების სერიაში და სამჯერვე დამარცხდა: პირველად არგენტინასთან ნახევარფინალში, მეორედ ბრაზილიასთან ფინალში, მესამედ კი საფრანგეთთან მეოთხედფინალში. საინტერესოა, რომ ამ სამ ტურნირზე იტალიამ 19 მატჩიდან ძირითად დროში მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ევროპული გუნდები 220-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, სამხრეთამერიკულები - 18-ჯერ, ხოლო ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლები - ორჯერ. მსოფლიო ჩემპიონატებზე აფრიკის, ოკეანეთისა და აზიის გუნდებს ერთმანეთთან არასდროს უთამაშიათ.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ბრაზილიელი პელე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც სამჯერ მოიგო ტურნირი. ედსონ არანტეს დო ნასიმენტომ 1958, 1962 და 1970 წლებში იმარჯვა. ის 1966 წელს გამართულ უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა.

■ ■ ■

... ბრაზილიელი კაფუ ერთადერთი ფეხბურთელია დედამიწის ზურგზე, რომელმაც ზედიზედ ითამაშა მსოფლიოს სამი ჩემპიონატის ფინალში. 1994 და 2002 წლებში მისმა ბრაზილიამ გადამწყვეტი თამაშები მოიგო (შესაბამისად, იტალიასთან და გერმანიასთან), 1998 წელს კი დამარცხდა (საფრანგეთთან).

■ ■ ■

... მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას მხოლოდ 14 ფეხბურთელი ახსოვს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების მოგება შეძლეს. ათი მათგანი ურუგვაელია, ხოლო ოთხი - იტალიელი. ყველა ფეხბურთელმა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მიაღწია წარმატებას.

■ ■ ■

... 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატს პირველად უმასპინძლა გერმანიამ. ბუნდესნაკრების მაშინდელ წევრებთან შედარებით, კლინსმანის გუნდის ფეხბურთელები საშუალოდ 7 სანტიმეტრით მაღლები და 7 კილოგრამით მძიმენი არიან.

■ ■ ■

... ალფრედო დი სტეფანოს, რომელსაც ბევრი მსოფლიო ფეხბურთის მეფეს უწოდებს, მსოფლიო ჩემპიონატზე არასდროს უთამაშია. 1962 წელს ის ესპანეთის ნაკრებში ირიცხებოდა, თუმცა მოედანზე ტრავმის გამო ვერ გავიდა.

■ ■ ■

... არგენტინელი მარსელო ტრობიანი უცნაური რეკორდის მფლობელია - მოედანზე მხოლოდ ერთი წუთი გაატარა, სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1986 წლის ტურნირის ფინალში მისმა არგენტინამ გფრ-ის ნაკრებს 3:2 სძლია. ტრობიანი ფინალის 89-ე წუთზე შევიდა მინდორზე.

■ ■ ■

... იტალიელი კრისტიან ვიერი რამდენიმე საიუბილეო გოლის ავტორია: 1998 წელს კამერუნთან 3:0 მოგებულ მატჩში მან თავისი გუნდის მე-100 გოლი შეაგდო მსოფლიო ჩემპიონატებზე. 2002 წელს კორეის ნაკრებში მის მიერ შეგდებული ბურთი 1900-ეა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. მასვე ეკუთვნის იტალიის ნაკრების მე-1000 გოლი!

■ ■ ■

... 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი 35 წლის ინგლისელი სტენლი მეტიუზი იყო. 6 წლის შემდეგ იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და „ოქროს ბურთი“ გადასცეს. მოთამაშის კარიერა მან 1965 წელს, 50 წლისამ დაასრულა!

■ ■ ■

... 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორი გოლის გამტანი იტალიელი სილვიო პიოლა მეორე მსოფლიო ომში მძიმედ დაიჭრა, თუმცა გამოკეთდა და კარიერა სერია ა-ს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის რანგში დაასრულა. გოლების მიხედვით ის კვლავაც ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორია.

■ ■ ■

... სერბი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი ერთადერთია, რომელმაც ხუთ სხვადასხვა გუნდთან ერთად გააღწია მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე. მან ეს მექსიკის, კოსტა რიკის, აშშ-ის, ნიგერიისა და ჩინეთის ნაკრებებში მუშაობისას შეძლო.

## მხოლოდ ფაქტები

... გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ჰელმუტ შონი მსოფლიო ჩემპიონატების 25 შეხვედრაში წვრთნიდა გუნდს. 1966 წელს მისი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, 1970 წელს - მესამეზე, ხოლო 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ის 1978 წელსაც თავკაცობდა ნაკრებს, მაგრამ გერმანელები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი არგენტინელი ხუან ხოსე ტრამუტოლაა, რომელიც 1930 წელს 28 წლისა წვრთნიდა გუნდს.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ ხუთმა მწვრთნელმა მოახერხა ფინალში გუნდის ორჯერ გაყვანა: იტალიელმა ვიტორიო პოცომ (1934, 1938), ბრაზილიელმა მარიო ზაგალომ (1970, 1998), არგენტინელმა კარლოს ბილარდომ (1986, 1990) და გერმანელებმა ჰელმუტ შონმა (1966, 1974) და ფრანც ბეკენბაუერმა (1986, 1990). მხოლოდ პოცომ შეძლო ორივე ფინალის მოგება.

■ ■ ■

.... მილორად არსენიევიჩი, რომელიც 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრებს თავკაცობდა, პირველია, ვინც უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში იასპარეზა: 1930 წელს ის იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობდა.

■ ■ ■

.... მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ბრაზილიაა, გოლების მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი უნგრეთის ნაკრებს ეკუთვნის: უნგრელებს თამაშში საშუალოდ 2,7 ბურთი გაჰქონდათ, ბრაზილიელებს კი - 2,2. თამაშში საშუალოდ ორზე მეტი გატანილი ბურთით კიდევ მხოლოდ სამი ნაკრები დაიკვეხნის: პორტუგალია, გერმანია და თურქეთი.

■ ■ ■

... 1954 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე უნგრეთის ნაკრებმა 5 თამაშში 27 გოლი გაიტანა. ეს დღემდე საუკეთესო მაჩვენებელია!

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე გამართულ 644 შეხვედრაში ერთ შეხვედრაში ათი და მეტი გოლი მხოლოდ ხუთჯერ გავიდა. ყველაზე შედეგიანი 1954 წელს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მასპინძელთა და ავსტრიელთა პაექრობა იყო - სტუმრებმა 7:5 გაიმარჯვეს. იმავე ტურნირში უნგრეთმა გფრ-ის ნაკრებს 8:3 სძლია!

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე მხოლოდ ორჯერ დამარცხდა გუნდი, რომელმაც ხუთი გოლი გაიტანა: 1938 წელს პოლონეთმა ბრაზილიასთან 5:6 წააგო, 1954 წელს კი შვეიცარიელები ავსტრიელებთან 5:7 დამარცხდნენ.

■ ■ ■

.... მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე დიდი სხვაობა 9 ბურთით გამარჯვებაა. უნგრელებმა 1954 წელს კორეას 9:0, ხოლო 1982 წელს სალვადორს 10:1 სძლიეს. 1974 წელს იუგოსლავიამ ზაირი 9:0 დაამარცხა.

■ ■ ■

... ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებები რეკორდის თანამფლობელები არიან: სამხრეთამერიკელებს 1930-58, ხოლო ევროპელებს 1934-58 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებზე ნათამაშევ ზედიზედ 18 მატჩში, სულ ცოტა გოლი გაჰქონდათ. კარის უგოლოდ შენახვის მხრივ, რეკორდი იტალიას ეკუთვნის: 1990 წელს „სკუადრა აძურამ“ ზედიზედ ხუთი მატჩი ჩაატარა გოლის გაუშვებლად და მხოლოდ მეექვსე მატჩში, ნახევარფინალში არგენტინასთან შეირხა მათი კარის ბადე. იტალიის ნაკრების მაშინდელი მეკარე ვალტერ ძენგა რეკორდის მფლობელია: ზედიზედ 517 წუთის განმავლობაში იცავდა კარს გოლისგან.

■ ■ ■

... 1978 წელს ბრაზილიამ, ხოლო 1990 წელს იტალიამ მსოფლიო ჩემპიონატზე 7 მატჩი დაუმარცხებლად ჩაატარეს, თუმცა ორივე მაინც მესამე ადგილზე გავიდა. პირველი ბურთების უარესი სხვაობის გამო ვერ მოხვდა ფინალში, მეორე კი ნახევარფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატი ორჯერ 21 ბრაზილიელ და იტალიელ ფეხბურთელს მოუგია.

# გოგუა საუკეთესოთა შორის

ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა“ ორი სიმბოლური ნაკრები დაასახელა. პირველში შევიდნენ ის ფეხბურთელები, რომელთა ნაკრები გუნდებიც ვერ მოხვდნენ მუნდიალზე. მუნდიალს მიღმა დარჩენილი ფეხბურთელების სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

აკინფეევი (რუსეთი), ლორენი (კამერუნი), ჰიიპია (ფინეთი), კალაძე (საქართველო), რიისე (ნორვეგია), გრავესენი (დანია), ჯერემი (კამერუნი), დაფი (ირლანდია), გლები (ბელარუსი), ფორლანი (ურუგვაი), ეტოო (კამერუნი).

ამავდროულად „სპორტ ექსპრესმა“ დაასახელა რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ახალწვეულთა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ გოგიტა გოგუა და დავით მუჯირი. ნაკრების მეკარედ ასევე ქართველი, თუმცა რუსეთის მოქალაქე ჩიხრაძე დაასახელეს. სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:

ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი), შტრანცლი (სპარტაკი), პეტრაში (სატურნი), სკვორცოვი (სპარტაკი, ნალჩიკი), გოგუა (სპარტაკი, ნალჩიკი), ივანოვი (ლუჩი), პილიპჩუკი (სპარტაკი, ნალჩიკი), მუჯირი (კრილია), ერიომენკო (სატურნი), ჟო (ცსკა), ტრაორე (ლოკომოტივი).

გუშინვე გაზეთ „სპორტ ექსპრესში“ გამოქვეყნდა ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველი ნახევარმცველის გოგიტა გოგუას ინტერვიუ.

**- უკვე ორი წელია, რაც რუსეთში თამაშობთ, თუმცა თქვენს შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, თუ არ ჩავთვლით გვარს, სახელს და დაბადების თარიღს. სად თამაშობდით რუსეთში ჩამოსვლამდე?**

- კლუბ „თბილისში“. ეს გუნდი ჩემს სამშობლოში არსებობს.

**- თბილისში დაიბადეთ?**

- არა, სოფელში. ჩემი მშობლები მოგვიანებით გადავიდნენ თბილისში საცხოვრებლად.

**- რუსული იქ ისწავლე?**

- არა. რუსეთში ავითვისე წელიწადნახევრის განმავლობაში. თუმცა ჯერ კიდევ ცუდად ვსაუბრობ რუსულად. მართალია, ყველაფერი მესმის, მაგრამ ხანდახან მიჭირს იმის თქმა, რაც მსურს.

**- „რუბინის“ ლეგიონერმა ლაშა სალუქვაძემ, რუსეთში რომ ჩამოვიდა, საერთოდ არ იცოდა რუსული. ახლა ნორმალურად ლაპარაკობს. თუმცა ქინქლაძემდე და ლომაიამდე ჯერ ვერც ერთი ვერ მიხვალთ. რა ხდება საქართველოში, სკოლებში რუსულს აღარ ასწავლიან?**

- ასწავლიან, ნუ ნერვიულობთ. არ იფიქროთ, რომ საქართველოში რუსული აღარავის სჭირდება. უბრალოდ, ყველა ბავშვს არ უნდა რთული ენის სწავლა. ინგლისურის სწავლა ბევრად იოლია. თანაც ბევრს მიაჩნია, რომ რუსულის ცოდნა დიდად არც სჭირდება.



გოგუა ნალჩიკში დარჩენას აპირებს.

**- ვისი დახმარებით გადახვედით გასულ გაზაფხულზე „ხიმკებში“?**

- ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ რუსეთში პერსპექტიული ვარიანტი იყო.

**- ხშირად თქვენ ქართველ გატუზოს გიწოდებენ. ეს მეტსახელი „მილანის“ ქართველმა მცველმა კახა კალაძემ ხომ არ შეგარქვათ?**

- არა. საქართველოში ჩემმა თანაგუნდელებმა შემარქვეს ჩემი სათამაშო სტილის გამო.

**- როცა მინდორზე გადიხართ, ხისტად და აგრესიულად თამაშობთ?**

- თამაშში ნამდვილი აგრესორი ვარ. არც თავს ვინდობ და არც მეტოქეს. მაგრამ ეს მხოლოდ მინდორზე. ცხოვრებაში სულ სხვანაირი ვარ.

**- ვიცით. თანაგუნდელები თქვენი კულინარული ნიჭითაც კი განაცვიფრეთ...**

- ნიჭი... ეს ძალიან თამამი ნათქვამია. უბრალოდ, ბიჭების გახარება მინდოდა. გადავწყვიტე ყველა ერთად შემეკრიბა და გავმასპინძლებოდი. როდესაც საკუთარ მინდორზე „რუბინი“ დავამარცხეთ, ბიჭები მწვადზე დავპატიჟე. „ლოკომოტივის“ დამარცხების შემდეგ კი ქართული კერძებით გავუმასპინძლდი თანაგუნდელებს.

**- თქვენ ალბათ ნებისმიერი გუნდის სული და გული ხართ?**

- აბა რა ვიცი. ამაზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა ვცდილობ ისე მოვიქცე, რომ თანაგუნდელებიც და მწვრთნელებიც ჩემთან ურთიერთობით კმაყოფილები დარჩნენ.

**- საუკეთესო მზარეულები მამაკაცები არიან. თქვენი ცხოვრება სხვანაირად რომ აწყობილიყო, შეძლებდით გამხდარიყავით პროფესიონალი კულინარი?**

- არა მგონია. უბრალოდ, კერძებს კარგად ვამზადებ. სულ ეს არის. ეს ცხოვრებაშიც მეხმარება. არ მჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რა ვჭამო. არც კაფეებსა და რესტორნებში სიარულში მეხარჯება ფული. თუმცა ჩემგან შეფმზარეული არ გამოვიდოდა.

**- რუსეთის ჩემპიონატის პირველი ნაწილი ნალჩიკის „სპარტაკმა“ ზღაპრულად ითამაშა. რამდენ ხანს გაგრძელდება ზღაპარი საფეხბურთო კონკიაზე?**

- ვერ ვხედავ საიმისო მიზეზს, რომ ეს ზღაპარი შეწყდეს. ჩემპიონატის დაწყების წინ ყველამ გაგვწირა იმისთვის, რომ გადარჩენისთვის გვებრძოლა. ახლა კლუბს უფრო ამბიციური მიზნები აქვს.

**- მაგალითად, რა?**

- ურიგო არ იქნება, თუ ჩემპიონატს მეშვიდე ადგილზე დავასრულებთ.

**- ნალჩიკში დიდხანს აპირებთ დარჩენას?**

- ჩემი ტრანსფერი ანდრეი ჩერვიჩენკოს ეკუთვნის. ახლა ნალჩიკში იჯარით ვთამაშობ. კონტრაქტი ნახევარწლიანია, თუმცა უარს არ ვიტყვი, თუ ნალჩიკში კიდევ უფრო დიდხანს დავრჩები.

# ვილიდან გოლეომდე

როდესაც კომპანია „ნიკიმ“ 28 მილიონ ევროდ მომავალი მუნდიალის თილისმის გოლიაფის ექსკლუზიური წარმოების უფლება გამოისყიდა, ამ კომპანიის მესვეურები ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ეს ბიზნეს-აქცია წამგებიანი იქნებოდა. „ნიკის“ მესვეურები აღიარებენ, რომ გაკოტრების ზღვარზე დგანან, არადა, აქამდე მსოფლიო ჩემპიონატების თილისმების წარმოება და გაყიდვა ყველასთვის მომგებიანი იყო, გერმანული ლომი კი საბაზრო კონიუნქტურას ვერ უძლებს, „გოლეო“ გერმანიაში ჩაწოლილი საქონელია და უკვე ჩამოაფასეს კიდეც. ყველაფერი კი 40 წლის წინ დაიწყო. პირველად მუნდიალის თილისმა ინგლისში გამოჩნდა.




გოლეომ იმედები ვერ გაამართლა.

### 1966 წელი. ვილი

პირველებმა ინგლისელებმა ჩათვალეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატს საკუთარი თილისმა სჭირდება. ბრიტანელებმა არ იკმარეს, რომ ისინი ფეხბურთის ფუძემდებლები არიან და თილისმების შექმნის მოდაც შემოიღეს. 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებსა და სტუმრებს სიმპათიური ლომის ბოკვერი ვილი მასპინძლობდა. თილისმისთვის ცხოველის შერჩევა ძნელი არ ყოფილა - ლომი ტრადიციულად ასოცირდება ინგლისთან და ამ ქვეყნის გერბზეც არის გამოსახული. ვილი ფეხბურთის ფორმაში გამოაწყვეს, მის მაისურზე კი ბრიტანეთის დროშა იყო გამოსახული. მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში ვილი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. საბოლოოდ ამ სიმპათიური პერსონაჟის ავტორმა 6 მილიონ 700 ათასი მოგება მიიღო.

### 1970 წელი. ხუანიტო

1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატს მექსიკამ უმასპინძლა. ვილის წარმატება ყველას კარგად ახსოვდა. ამიტომ მექსიკური მუნდიალის ორგანიზატორებმა ტრადიცია აიტაცეს და საკუთარი თილისმა შექმნეს. მექსიკა ძირითადად ორ ასოციაციას იწვევს - კაქტუსები და ტეკილა - ცხადია, თილისმად არც ერთი გამოდგებოდა და არც მეორე. გულშემატკივართა გასახარად თილისმად შეარჩიეს უბრალო მექსიკელი ბიჭუნა, სახელად ხუანიტო. სახელის არჩევაც არ იყო ძნელი - მექსიკაში ხომ სახელი ხუანი უაღრესად პოპულარულია. პატარა ხუანიტოს მექსიკის ნაკრების ფორმა ჩააცვეს, ლამაზი სომბრერო დაახურეს და თილისმაც მზად იყო. მარკეტინგის თვალსაზრისით ეს საკმაოდ მომგებიანი გამოდგა, რადგან ნებისმიერ ბიჭუნას შეეძლო ხუანიტოს აქსესუარების შეძენა და თავად ემსგავსებოდა მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას. მექსიკის მუნდიალზე ქვეყანა თილისმა ბიჭუნებით იყო გადაჭედილი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ორგანიზატორებმა ამ თილისმის საშუალებით სოლიდური მოგება მიიღეს.

### 1974 წელი. ტიპი და ტოპი

მექსიკური გამოცდილება ოთხ წელიწადში გერმანელებმაც გაიზიარეს, ოღონდ ევროპელებმა ერთის ნაცვლად ორი ბიჭუნა შეარჩიეს - ტიპი და ტოპი. გერმანიაში თილისმის შექმნაზე კონკურსიც კი გამოცხადდა. 10 000 ვარიანტიდან სწორედ ტიპი და ტოპი აირჩიეს, რომელიც გელზენკირხენის მცხოვრებმა ოტო რაუხმა შექმნა.

ქერა და შავგვრემანი ბიჭუნები ბიურგერების განსახიერება იყვნენ. გერმანიაში ტიპი და ტოპი საოცრად შეიყვარეს. გერმანიის მცხოვრებლებმა საერთო ჯამში ტიპისა და ტოპის შეძენაზე 8 მილიონი მარკა დახარჯეს, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ფული იყო.

### 1978 წელი. გაუჩიტო

1978 წლის მუნდიალის გამართვა არგენტინას ანდეს. არგენტინაში ველოსიპედის მოგონება არ დაუწყიათ, მათ მექსიკური ვარიანტი თითქმის პირწმინდად გადმოიღეს, ერთი განსხვავებით - ხუანიტოს მექსიკის ნაკრების მაისურის ნაცვლად არგენტინელების ფორმა ჩააცვეს, სომბრეროს ნაცვლად კი შლაპა დაახურეს.

გაუჩიტო გარეგნობით, სულ ცოტა, ხუანიტოს ბიძაშვილს მაინც მოგვაგონებდა. ამ ბიჭუნას უკვე თავისი ლეგენდაც ჰქონდა. იგი არგენტინული ეპოსის გმირის გაუჩოს შვილი იყო. თილისმამ ბოლომდე გაამართლა. არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. გაუჩიტოს გაყიდვით კი ორგანიზატორებმა საკმაოდ დიდი მოგება მიიღეს.

### 1982 წელი. ნარახიტო

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ესპანეთი მასპინძლობდა. ორგანიზატორები ორიგინალურ გზას დაადგნენ - პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, თილისმა არც ბიჭუნა იყო და არც ცხოველი. ესპანეთის მუნდიალის თილისმობა ფორთოხალ ნარახიტოს ანდეს. ასეთი არჩევანის ახსნა ძნელი არ არის. მურსიასა და ვალენსიაში მსოფლიოში ყველაზე ტკბილი ფორთოხალი ხარობს. თილისმამ სრულიად გაამართლა. მართალია, ესპანელებმა საფეხბურთო თვალსაზრისით ფიასკო განიცადეს, მაგრამ ეს რა ნარახიტოს ბრალია. მან თავისი მისია პირნათლად შეასრულა, გულშემატკივრებიც ახალისა და მუნდიალის ორგანიზატორებიც ახეირა.

### 1986 წელი. პიკე

1986 წელს მუნდიალი კვლავ მექსიკას ეწვია. ამ დროისთვის ხუანიტო უკვე გაზრდილი იყო და, ცხადია, თილისმად აღარ გამოდგებოდა. მისი ადგილი დაიკავა წიწაკა პიკემ, რომელიც ბრაზილიელმა მხატვარმა ჟაიმე პერედუმ შექმნა.

### 1990 წელი. ჩაო

შემდეგ მუნდიალზე ყურადღების ცენტრში კვლავ პატარა კაცუნა აღმოჩნდა. კვადრატული ფორმების კაცუნა მხატვართა ჯგუფმა შექმნა. იგი იტალიის დროშის ფერებით იყო შეღებილი და აპენინებზე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ჩაო ცოტათი რუბიკ კუბიკსაც კი წააგავდა, მაგრამ ფეხბურთისადმი მის ერთგულებაში ეჭვი არავის შეუტანია.

### 1994 წელი. სტრაიკერი

ვინ ვინ და ამერიკელებმა მშვენივრად იციან თილისმების ფასი. ჩვეულებრივ სკოლის გუნდსაც კი ვერ მოძებნით ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ რაიმე თილისმა არ ჰქონდეს. ამიტომ 1994 წლის მუნდიალის ორგანიზატორები საქმეს საკმაოდ სერიოზულად მიუდგნენ. თილისმა უოლტ დისნეის კომპანიის მხატვრებმა შექმნეს. ძაღლი სტრაიკერი - მთელი ქვეყანა შეყვარებული იყო ამ ძაღლზე. სტრაიკერის შემქმნელებმა მოგების სახით 11 მილიონი დოლარი მიიღეს.

### 1998 წელი. ფუტიკსი

როდესაც გაირკვა, რომ 1998 წლის მუნდიალს საფრანგეთი უმასპინძლებდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ თილისმად მამალს შეარჩევდნენ. ორგანიზატორებმა გულშემატკივართა იმედები არ გააცრუეს და 1998 წლის მუნდიალის თილისმად სიმპათიური მამალი ფუტიკსი იქცა. იგი შექმნა ბორდოელმა მხატვარმა ფრანკ ლეტორიმ, რომელსაც კიდევ კარგა ხანს აბრალებდნენ პლაგიატს, თუმცა სასამართლოს საშუალებით მან საავტორო უფლებები მაინც დაიმტკიცა.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ წელს საფრანგეთის ნაკრებმა არსებობის ისტორიაში პირველად მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ფუტიკსი საოცრად პოპულარული გახდა და მოხსნა ყველა რეკორდი. მამალმა ფრანგებს 27 მილიონი დოლარი მოგება მოუტანა და ჯერჯერობით ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

### 2002 წელი. ამო, ნიკი და კაზი

2002 წელს თილისმამ არ გაამართლა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თილისმამ სრული მედგაცრუება გამოიწვია. კორეელებმა და იაპონელებმა გადაწყვიტეს ყველა გაეოცებინათ, საბოლოოდ კი მხოლოდ საკუთარი თავი მოატყუეს. მსოფლიო ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე საზოგადოებას წარუდგინეს სამი თილისმა, რომლებიც რაღაცით ტელეღიპუცებს გვაგონებდნენ.

### 2006 წელი. გოლიაფი და პილე

გერმანელებმა სცადეს არ გაემეორებინათ წინა მუნდიალის ორგანიზატორთა შეცდომა და ნაცად ხერხს დაუბრუნდნენ. მათ თილისმად ლომი გოლეო და მოლაპარაკე ბურთი პილე შეარჩიეს. გოლეო 6 თილისმად იქცა. მას ლეგენდაც მოუგონეს: ვითომ ის მეექვსე შვილია ლომების ოჯახში. ამ თილისმის გაპიარება საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ მისმა შემქმნელებმა ერთი შეცდომა დაუშვეს: ლომი გოლეო, რომელიც დათვს უფრო ჰგავს, ვიდრე ლომს, გერმანელებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ლომი არასდროს ყოფილა გერმანიის სიმბოლო. თილისმად არწივი რომ შეერჩიათ, ალბათ უკეთესი იქნებოდა. მოკლედ, გოლეო არ იყიდება, მისი შემქმნელი კომპანია კი ფაქტობრივად უკვე გაკოტრდა.

## ტრავმირებული ჰოლანდიელები ვარჯიშს დაუბრუნდნენ

ჰოლანდიის ნაკრებისა და გერმანული „ჰამბურგის“ ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვარტი ტრავმის შემდეგ ვარჯიშს დაუბრუნდა. ფეხბურთელმა გუშინ პირველად ითამაშა ნაკრებთან ერთად. ფრაიბურგში ვან დერ ვარტის გარდა, წინა კვირას ტრავმირებულმა ჯოვანი ვან ბრონხორსტმაც წაივარჯიშა. რაც შეეხება ფილიპ კოკუსა და უესლი სნაიდერს, ორივე მათგანი ინდივიდუალური პროგრამებით ვარჯიშობს.

## გატუზო ორი კვირით

„მილანისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ ვარჯიშისას მარჯვენა ფეხის კუნთი იტკინა და სათამაშო ფორმიდან ორი კვირით ამოვარდა.

„სკუადრა აძურას“ ექიმთა განცხადებით, გატუზო მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის პირველ ორ მატჩს გამოტოვებს, რომელსაც იტალიელები განისა და ამერიკის ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ გამართავენ. მარჩელო ლიპის თქმით, იგი იმედოვნებს, რომ გატუზო სათამაშო ფორმას აღიდგენს და 22 ივნისს ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ მოედანზე გავა.

## „მარსელის“ პრეზიდენტმა სისეს ჩააკითხა

ფრანგული „მარსელის“ პრეზიდენტი პაპ დიუფი გუშინ ლივერპულს გაეშურა, რათა მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელობას ფრანგი თავდამსხმელი ჯიბრილ სისე გამოსთხოვოს. თავის მხრივ, სისე, რომელსაც ბოლო ხანს გუნდის თავკაცთან რაფაელ ბენიტესთან ურთიერთობა დაეძაბა, „ლივერპულის“ დატოვების სურვილს გამოთქვამს და სავარაუდო კლუბებს შორის „მარსელსაც“ ასახელებს.

## კარლოსმა ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო

მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მცველი რობერტო კარლოსი საჯაროდ გამოტყდა, რომ ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლის მოლოდინში. „ამ თემაზე საუბარი აღარ მინდა. ყველაფერს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადავწყვეტ“, - განაცხადა კარლოსმა.

## ბალაკს ვარჯიშის ნება დართეს

ბუნდესნაკრების მედპერსონალმა ვარჯიშის ნება დართო გუნდის კაპიტანს მიხაელ ბალაკს. გერმანული პრესის ცნობით, სავარაუდოდ, „ბაიერნის“ ფეხბურთელი მუნდიალის გახსნით მატჩში კოსტა-რიკის წინააღმდეგ მიიღებს მონაწილეობას. 29 წლის ნახევარმცველი 2 ივნისს კოლუმბიელებთან გამართული ამხანაგური შეხვედრისას დაშავდა.

## რონალდინიომ მსაჯებს დაცვა სთხოვა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ლიდერმა რონალდინიომ მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობას თხოვნით მიმართა - მატჩების დროს ბრაზილიელი ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი თავად რონალდინიო მაქსიმალურად დაიცვან. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ მეტოქეები ყველა ძალით შეეცდებიან მისი და მისი თანაგუნდელების შეჩერებას.

„უკლებლივ ყველა ქვეყნის ნაკრები მოუთმენლად ელის ჩვენთან შეხვედრას და ჩვენს შეჩერებას“, - განაცხადა რონალდინიომ.

ბრაზილიის ნაკრები ჯგუფში ხორვატიასთან, იაპონიასთან და ავსტრალიასთან ერთად იასპარეზებს.

## კანავარო „ნაპოლიში“ ითამაშებს

სერია ა-ში მოასპარეზე „პარმას“ ყოფილმა მცველმა პაოლო კანავარომ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა იტალიურ „ნაპოლისთან“.

„ბედნიერი ვარ, რომ კლუბთან ყველა დეტალი შევათანხმე და გრძელვადიანი ხელშეკრულებაც დავდეთ. ოცნება ამიხდა. ახლა ისღა დამრჩენია, გუნდს იტალიური ფეხბურთის ელიტაში აღზევებაში დავეხმარო“, - განაცხადა პაოლო კანავარომ.

## გერმანიის პოლიცია ხუთ ინგლისელ ფანს ეძებს

გერმანელ პოლიციელთა განცხადებით, რამდენიმე ინგლისელმა გულშემატკივარმა, რომელთაც ბრიტანეთის მთავრობამ ხულიგნური გამოხდომების გამო მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება აუკრძალა, მაინც მოახერხა გერმანიის ტერიტორიაზე შეღწევა.

„ხუთმა ინგლისელმა ფანმა მაინც შემოაღწია ჩვენს ქვეყანაში. ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ მოახერხეს. ახლა მათი ადგილსამყოფელის დადგენაზე ვმუშაობთ. როგორც კი მივაგნებთ, მაშინვე სამშობლოში დავაბრუნებთ“, - განაცხადა გერმანული პოლიციის სამმართველოს უფროსმა.

## ლეონარდო: „კაკა „მილანს“ არ ტოვებს“

იტალიური „მილანის“ ოფიციალური წარმომადგენლის ლეონარდოს განცხადებით, გუნდის ბრაზილიელი გამთამაშებელი კაკა ამ ზაფხულს მადრიდის „რეალში“ არ გადავა.

ლეონარდოს თქმით, კაკა მომავალ სეზონში „შავ-წითელთა“ მაისურით ითამაშებს.

„ამჟამად კაკას მთელი ყურადღება მსოფლიო ჩემპიონატისკენაა მიმართული. ხმები მისი „სამეფო გუნდში“ გადასვლის თაობაზე მას ნაკლებად ანაღვლებს, რადგან „მილანის“ ხელმძღვანელობასთან არავითარი პრობლემა არა აქვს. ერთი სიტყვით, არც ჩვენ ვაპირებთ მის გაშვებას და არც კაკა აპირებს ჩვენს დატოვებას“, - განაცხადა ლეონარდო.

## ჩემპიონატს მერკელი გახსნის

მართალია, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები მუდმივად ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ, თუ როგორი იქნება ტურნირის გახსნითი ცერემონიალი, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე პრესაში მაინც გაჟონავს ხოლმე ინფორმაცია და თითქმის ყველა წვრილმანი დეტალიც კი ცნობილი ხდება.

ასე მოხდა ამჯერადაც. გერმანულ მედიაში უკვე დაიბეჭდა მასალები იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება 9 ივნისის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი, რომელიც მიუნხენის ულამაზეს სტადიონ „ალიანც არენაზე“ შედგება. შეგახსენებთ, რომ ეს სტადიონი სპეციალურად მსოფლიო ჩემპიონატისთვის აიგო. მისი ავტორია ცნობილი იაპონელი არქიტექტორი კენძო ტანგე. აღლუმს გახსნიან პელე და კლაუდია შიფერი. მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც სამგზის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მატარებელია, ყველაზე ცნობილ გერმანელ მოდელთან ერთად სტადიონზე ჟიულ რიმეს სახელობის მსოფლიო თასს შემოიტანს.

საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატების გახსნითი ცერემონიალები თითქმის ერთი სცენარით იდგმება. გერმანიაში ერთი განსხვავებული რამ აუცილებლად იქნება. „ალიანც არენაზე“ შემოვლენ ცოცხალი მსოფლიო ჩემპიონები, სულ 170 ფეხბურთელი.

ფეხბურთელთა მწკრივში ცალკე იქნება გამოყოფილი იმ 22 ფეხბურთელის კოლონა, რომლებმაც 1974 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით მოიგეს მუნდიალი.

სხვა მხრივ გახსნის ცერემონიალი ტრადიციული იქნება. იქნება კოსტიუმირებული დადგმები და მხიარულება.

ტურნირს გახსნის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელიც მონაწილეებს მიესალმება. სიტყვით გამოვლენ გერმანიის პრეზიდენტი ჰორს კელერი და ფიფას ხელმძღვანელი ზეპ ბლატერი.

სამშაბათს მერკელმა სპეციალური ვახშამი მოაწყო იურგენ კლინსმანისა და მისი გუნდის ფეხბურთელებისთვის. ამ მიღებაზე ბუნდესკანცლერმა ბუნდესმწვრთნელს უთხრა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს მთელი ქვეყანა მხარს დაუჭერს ბუნდესნაკრებს.

## ბექჰემის ნაკრებში პელე ვერ მოხვდა

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა შექმნა თავისი ოცნების გუნდი, რომელშიც ყველა ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელები შეიყვანა.

ბექჰემის 11-კაციან ნაკრებში თავად ინგლისელთა კაპიტანიც მოხვდა, თუმცა მის გუნდში ფეხბურთის მეფის პელეს ადგილი არ აღმოჩნდა.

ბექჰემის ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე - პიტერ შმეიხელი; მცველები: გარი ნევილი, რობერტო კარლოსი, ბობი მური, ფრანც ბეკენბაუერი; ნახევარმცველები: დევიდ ბექჰემი, ჯორჯ ბესტი, ლოთარ მათეუსი, ზინედინ ზიდანი; თავდამსხმელები: რონალდო, მარადონა.

## ხორვატთა კარს კრანჩარი დაიცავს

ხორვატიის ნაკრების თავკაცის ზლატკო კრანჩარის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის ძირითადი მეკარე სტიპე პლეტიკოსა იქნება.

„ესპანელების წინააღმდეგ საკონტროლო მატჩში პირველი 60 წუთი ის შემადგენლობა ითამაშებს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიასთან თამაშს დაიწყებს. ჩვენი ნაკრების კარს პლეტიკოსა დაიცავს. ესპანელთა ყველაზე ძლიერი რგოლი ნახევარდაცვაა, თუმცა მოედნის ცენტრში არც ჩვენ ვართ ნაკლები“, - განაცხადა კრანჩარმა.

## კარდოსო ვერ ითამაშებს

პარაგვაის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელმა, 35 წლის ხოსე კარდოსომ ტრავმის შედეგად თეძო დაიზიანა, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშება.

„იმედი მქონდა, რომ სანაკრებო კარიერას წლევანდელ მუნდიალზე თამაშის შემდეგ დავასრულებდი. ეს ჩემი მესამე მსოფლიო ჩემპიონატი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმამ გეგმები წყალში ჩამიყარა“, - განაცხადა პარაგვაელმა ფეხბურთელმა.

პარაგვაელთა თავკაცის ანიბალ რუისის განცხადებით, კარდოსოს იტალიის „პერუჯაში“ მოთამაშე, 22 წლის თავდამსხმელი დანტე ლოპესი შეცვლის.

## კემპბელი „ფენერბახჩეზე“ ფიქრობს

ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ მცველი სოლ კემპბელი ჯერ კიდევ განიხილავს სტამბულის „ფენერბახჩეს“ წინადადებას. თუმცა, ფეხბურთელის თქმით, ახლა მთლიანად მსოფლიო ჩემპიონატზეა გადართული და საბოლოო გადაწყვეტილებას მუნდიალის დასრულების შემდეგ მიიღებს.

„ფენერბახჩეში“ ჩემი გადასვლა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არგადასვლა“, - თქვა კემპბელმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

## ჟოვანი ბრაზილიაში დაბრუნდა

„ბენფიკას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჟოვანიმ პორტუგალია დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა. ფეხბურთელმა ბრაზილიურ „კრუზეიროსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ჟოვანიმ „ბენფიკაში“ ოთხი სეზონი ჩაატარა და ამ ხნის განმავლობაში 94 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა. 2003-04 წლების სეზონში ჟოვანიმ პორტუგალიურ კლუბთან ერთად ქვეყნის თასი, მომდევნო წელს კი პორტუგალიის ჩემპიონატი მოიგო.

## საუთგეიტი „მიდლსბროს“ უთავკაცებს

ინგლისური „მიდლსბროს“ მთავარ მწვრთნელად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, 35 წლის გარეთ საუთგეიტი დაინიშნა. ამ კლუბის ღირსებას ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იცავდა. საუთგეიტი უეფას წესით გათვალისწინებული სამწვრთნელო ლიცენზიის არქონის მიუხედავად დაინიშნა მთავარ მწვრთნელად.

## გაბრი „აიაქსში“

ესპანური პრესის ცნობით, კატალონიური „ბარსელონას“ მცველი გაბრი გარსია ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა.

გაბრის ჰოლანდიურ გუნდში გადასვლა კატალონიური კლუბის ყოფილმა მეორე მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ შესთავაზა. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ ჩაუდგა „აიაქსს“ სათავეში.

27 წლის ფეხბურთელმა ჰოლანდიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

# კარლოს ალბერტო პერეირა: „ბრაზილია ჩემპიონი გახდება!“

კარლოს ალბერტო პერეირასთვის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატი უკვე რიგით მეექვსე იქნება. 1970 წელს იგი ბრაზილიის ნაკრების თანაშემწე იყო, 1982 წელს - კუვეიტის ნაკრებს ხელმძღვანელობდა, 1990-ში - არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს, 1998-ში კი საუდის არაბეთს. ყველაზე დიდ წარმატებას პერეირამ 1994 წელს მიაღწია, როცა მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. რა თქმა უნდა, გერმანიაში იგი ამ წარმატების გამეორების იმედად ჩავიდა. ამ დღეებში პერეირამ თითქმის ყველა ჟურნალისტს უარი უთხრა ინტერვიუზე. მხოლოდ ბრაზილიური სააგენტო „ესპორტესთვის“ დაუშვა გამონაკლისი.



**- როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე გულშემატკივრები და ჟურნალისტები იმის განსჯაში არიან, თუ ვინ ითამაშებს ბრაზილიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში და ვინ - ვერა...**

- დიახ, ყოველთვის ასე იყო. ამ კუთხით არაფერი იცვლება. ბრაზილიაში ფუნქციონირებს რეგიონული საფეხბურთო სტრუქტურები, რომლებსაც საკუთარი შტატის მოთამაშეების ძირითად შემადგენლობაში ხილვა სურთ. მახსოვს, 1982 წელს ბრაზილიის ნაკრები სან პაულუს „მორუმბის“ სტადიონზე საკონტროლო მატჩს მართავდა. როდესაც მინდორზე რობერტო დინამიტი გამოჩნდა, რომელიც მაშინ „სან პაულუს“ მოსისხლე გუნდში თამაშობდა, ტრიბუნებმა მისი მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზების სკანდირება დაიწყეს. შეძრწუნებული ვიყავი - გულშემატკივრები ისე ექცეოდნენ თავისსავე ფეხბურთელს, როგორც მტერს! მაშინ ჩემს თავს ვუთხარი - არასდროს არავის არ უნდა მიაქციო ყურადღება და ისე მოიქცე, როგორც საჭიროდ ჩათვლი.

ოდესღაც აშშ-ს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ საკუთარი წარმატების საიდუმლოსთან დაკავშირებით თქვა: „წარმატების ფორმულა არავინ იცის, წარუმატებლობის ფორმულა კი ცნობილია: ის მაშინ მოდის, როცა ცდილობ, ყველას ასიამოვნო და სხვების ჭკუაზე იარო.“

**- თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობასთან დაკავშირებით სერიოზული პოლემიკა არ ყოფილა...**

- ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ პერიოდში ნაკრებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ეს არის მთავარი განსხვავება 1994 წლის წინა და ამჟამინდელ სიტუაციებს შორის. როცა მეუბნებიან, რომ პერეირას მხარს უჭერს გულშემატკივრების 75 პროცენტი, ვამბობ, რომ ეს მხოლოდ კარგი შედეგების ბრალია. მაგრამ სულ ოდნავაც რომ დამიცდეს ფეხი...

**- შეგიძლიათ თუ არა იმის წარმოდგენა, რომ ბრაზილია ქვეჯგუფიდან ვერ გავიდეს?**

- არა მგონია, ჩემპიონატში გამარჯვება ან დამარცხება მხოლოდ იმის ბრალი იყოს, რომ ყველა ფავორიტად მიგვიჩნევს. დიდი ყურადღებით ვაკვირდები, რას ამბობენ ჩემი ფეხბურთელები და ვხედავ, რომ მთელი ეს ფსიქოლოგიური შტურმი მათზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. საერთოდ, ფავორიტი გერმანიაა, რადგან საკუთარ კედლებში თამაშობს. ასევე გამარჯვების პრეტენდენტებად მიმაჩნია წამყვანი ევროპული ნაკრებები - ისინი ხომ თავის კონტინენტზე თამაშობენ. დარწმუნებული ვარ, ეს გუნდები ბრაზილიის მიმართ განსაკუთრებულად განეწყობიან - არავის უნდა, რომ ჩვენ ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ.

**- გჯერათ თუ არა, რომ ამ ჩემპიონატზე „სამსაჯო შეთქმულებები“ იგეგმება?**

- არა, არა და კიდევ ერთხელ არა! ყველაფერი მხოლოდ მინდორზე გადაწყდება. მსაჯები დღეს გამადიდებელი შუშის ქვეშ იმყოფებიან. ყოველ მოქმედებას ოცდახუთი კამერა იღებს. ვეჭვობ, ასეთ პირობებში რომელიმე რეფერიმ შეგნებულად დაარღვიოს პატიოსანი თამაშის პრინციპი.

**- ბევრი ბრაზილიელი ჯერ კიდევ ყმაწვილობისას ტოვებს სამშობლოს. ასე იყო რონალდოს, ადრიანოს, რობინიოს და სხვების შემთხვევაში. ამის გამო მათ პატრიოტიზმის გრძნობა ხომ არ უქვეითდებათ?**

- არავითარ შემთხვევაში. ისინი საკუთარ ფესვებს არ წყდებიან - ბრაზილიური ტელეარხებს ადევნებენ თვალს, ბრაზილიურ გაზეთებს კითხულობენ. ვინ რჩება ევროპაში კარიერის დასრულების შემდეგ? მხოლოდ ლეონარდო თუ მუშაობს „მილანის“ სტრუქტურაში. უმეტესობა სამშობლოში ბრუნდება.

**- სათამაშო ტაქტიკის თვალსაზრისით უკვე ჩამოყალიბდით?**

- ჩვენ სხვადასხვაგვარად შეგვიძლია თამაში. სამი განსხვავებული სქემა გვაქვს არსენალში. ვნახოთ, როგორი ეფექტი გვექნება. ერთადერთი, რისი თქმაც ზუსტად შემიძლია - ოთხი მცველით ვითამაშებთ. ლუიშ ფილიპე სკოლარიმ წინა ჩემპიონატი ისე მოიგო, რომ სამი მცველით თამაშობდა. თუმცა, ეს სკოლარის არჩევანია. მას შეუძლია ასეთი სქემით წარმატების მიღწევა, მე - არა.

**- თქვენ გითქვამთ, რომ არ ისურვებდით ჩეხეთთან შეხვედრას...**

- დიახ, ეს ძალიან სწრაფი და შემტევი სტილის გუნდია. ჩეხებს ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებაც შეეძლოთ, საბერძნეთთან ძალზე ალოგიკური გოლი რომ არ გაეშვათ. ის, რომ ფიფას რეიტინგში მეორე პოზიციაზე იმყოფებიან, ბევრ რამეზე მეტყველებს.

**- ბრაზილიას მეექვსედ სურს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, სურს, რომ 2014 წელს მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს. ბევრი ხომ არ არის ერთი ქვეყნისთვის?**

- ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატს 1950 წელს ვუმასპინძლეთ. ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი სავსებით ლოგიკურია. მეექვსე ტიტულზე კი საუბარიც არ ღირს. ეს ჩვენი მიზანია.

# ბიორნ ბორგი: „ამაზე მეტს ვერაფერს ვინატრებდი“

ფინიშის სწორზე გადის საფრანგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში. უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა თანრიგში. მთავარ მოულოდნელობად ჩეხი ნიკოლ ვაიდასოვას წარმატებაა, რომელმაც მეოთხედფინალში ვენუს უილიამსს სძლია და ნახევარფინალში სვეტლანა კუზნეცოვას დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალში დინარა საფინა დატოვა უშანსოდ. მეორე ნახევარფინალი ბელგიური იქნება. კიმ კლაისტერსი ჟუსტინ ენინ არდენთან პაექრობაში შეეცდება ფინალის საგზურის მოპოვებას.

მამაკაცთა ტურნირში ნახევარფინალის საგზური უპრობლემოდ მოიპოვა როჯერ ფედერერმა და ახლა თავის მეტოქეს ელის.

6 ივნისს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. ლეგენდარულ შვედ ჩოგბურთელს ბიორნ ბორგს 50 წელი შეუსრულდა. ახლა ბორგი პარიზშია და საფრანგეთის ღია პირველობას ესწრება. შეგახსენებთ, რომ როლან გაროს ტურნირი ბორგს ექვსჯერ აქვს მოგებული და ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი გახლავთ. ჯერჯერობით ბორგის რეკორდთან ახლოს ვერავინ მიდის და საეჭვოა, რომ შვედის რეკორდი უახლოეს მომავალში დაემხოს.

ტურნირზე მომუშავე ჟურნალისტებმა ბორგს იუბილე მიულოცეს და მცირე ინტერვიუ ჩამოართვეს.

**- რას გრძნობს 50 წლის ბიორნ ბორგი?**

- მახსოვს, 1982 წელს, როდესაც მამაჩემი გახდა 50 წლის, ვფიქრობდი, რა ბებერია-მეთქი. ახლა ჩემი ჯერი დადგა. სიბერეს ნამდვილად არ ვგრძნობ, პირიქით, ძალიან ახალგაზრდაც კი მგონია თავი. თუმცა ვხვდები, რომ ახალგაზრდა თაობა სხვაგვარად ფიქრობს. დარწმუნებული ვარ, ახლა ჩემს ვაჟს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, მამაჩემი მაგრად დაბერდაო.

**- მართლა ახალგაზრდად გრძნობთ თავს?**

- დიახ. მე მყავს ახალგაზრდა ცოლი პატრიცია, რომელიც 36 წლისაა და სამი წლის შვილი - ლეო. ჩემი უფროსი ვაჟი სექტემბერში 21 წლის გახდება. პირველი ქორწინებიდან პატრიციასაც ჰყავს შვილები - 10 და 12 წლის. ჩვენ ახალგაზრდა ოჯახი გვაქვს და სახლი სათამაშოებითაა გაჭედილი. მოკლედ, თავს ახალგაზრდად ვგრძნობ და რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ ჩემზე.

**- ის მაინც არ გადარდებთ, რომ დრო ასე სწრაფად გარბის?**

- ჩემი ცხოვრება ისეთია, რომ უკეთესს ვერც ვინატრებდი. მშვენიერი ოჯახი მყავს, ზღაპრული შვილები, მშვენიერი სახლი და ძალიან საყვარელი ძაღლი. რა უნდა ინატროს კაცმა მეტი? ცხოვრებით ბედნიერი ვარ. თავის დროზე, როგორც პროფესიონალ ჩოგბურთელს, დიდი ამბიციები მქონდა. რაც მოვინდომე, თითქმის ყველაფერი გავაკეთე. შემდეგ ჩოგბურთისგან უბრალოდ დავიღალე. მინდოდა სხვა რამ მეცადა. ახლა ცხოვრების ისეთ ეტაპზე ვარ, რომ თავს ბედნიერად ვგრძნობ. უმადური ვიქნებოდი, წუწუნი რომ დამეწყო.

**- გვითხარით რამე როლან გაროზე. თქვენ ეს ტურნირი ექვსჯერ მოიგეთ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ მიღწევას ველარავინ გაიმეორებს?**

- პარიზი და უიმბლდონი ჩემთვის ორი ყველაზე საყვარელი ტურნირი იყო. აქ ჩემს საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებდი. ამ ორ ტურნირს არასდროს დავივიწყებ. როლან გაროს მოგება ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ყოველთვის უფრო რთული იყო. პირადად მე ვახერხებდი, რომ ამ ტურნირისთვის კარგად მოვმზადებულიყავი.

**- თანამედროვე ჩოგბურთელებზე რას იტყვით?**

- აშკარაა, რომ ჩოგბურთი უფრო სწრაფი და ათლეტური გახდა. ყველაფერი ვითარდება და, ცხადია, ჩოგბურთიც განვითარდა. დღეს დიდი სლემის ტურნირის ექვსჯერ მოგება გაცილებით ძნელია.

**- შეძლებს თუ არა ნადალი თქვენი მიღწევის გამეორებას?**

- არ ვიცი. ის საკმაოდ ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. თუმცა ბოლო ხანს იმდენი ძლიერი ჩოგბურთელი გამოჩნდა, რომ ალბათ გაუჭირდება.

7 ივნისი

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| **ჯუკოვიჩი - ნადალი** | **4:6,4:6** |
| **(ჯუკოვიჩმა თამაში შეწყვიტა)** | |
| **ბენატო - ლუბიჩიჩი** | **2:6,2:6,3:6** |

# ჯერ იპრესკონფერენციეს, მერე...

გიგა გურასაშვილი

*ატლანტიკ სიტი შაბათისთვის ემზადება. უფრო სწორად, ჩხუბის მოლოდინშია, რინგზე კი ორი საჩემპიონო ქამარს გამოფენენ - მეტ-ნაკლებად პატივცემული კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) და კრივის ეროვნული ასოციაციისა (NBA). ამერიკელი მოცილეები ნახევრადმძიმე წონის ყოფილი ჩემპიონი ანტონიო ტარვერი და საშუალო წონის მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსია. მართალია, ქამრები დიდი არაფერი წონით გამოირჩევა, მაგრამ ამათ თუ დავუჯერებთ, ატლანტიკ სიტის რინგზე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი უნდა გადაწყდეს. მეტიც, ტარვერი იქადნება ჰოპკინსთან საქმეს 6 რაუნდამდე მოვაყომარებო.*



*ტარვერი და ჰოპკინსი საჩხუბრად ემზადებიან.*

გუშინ გამთენიისას საშაბათო კრივთან დაკავშირებით ნიუ იორკმა პრესკონფერენციას უმასპინძლა. დარბაზი ორივე ბანაკით იყო წარმოდგენილი. ერთი მსოფლიოს საუკეთესო ნახევრადმძიმეწონოსანი ანტონიო ტარვერი (24 გამარჯვება, აქედან 18 ნოკაუტით და 3 წაგება) გახლდათ, მეორე - საშუალო წონის ყოფილი აბსოლუტური (WBC, IBF, WBA, WBO) ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი (46 გამარჯვება, აქედან 32 ნოკაუტით, 4 წაგება და 1 ფრე).

„ჩემი ოფლის ღვრა დასრულებულია, შედეგს კი შაბათ ღამეს იხილავთ, - აცხადებდა ტარვერი. - მე საუკეთესო ბერნარდ ჰოპკინს შევხვდები, რაც საუკეთესო შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ მსოფლიოს დავანახო ის, რასაც წარმოვადგენ. საკუთარი თავი გამოვიწვიე, როდესაც ვთქვი, რომ მას მეექვსე რაუნდამდე დავანოკაუტებ-მეთქი. პატარა ბიჭი კი აღარაა, 40 წლისაა, ის კი ჩემთან ჩხუბს დათანხმდა, რაც მისი მხრიდან ბრიყვული საქციელია. მისთვის ყველაფერი დასრულებულია“.

სხვათა შორის, ტარვერს ანიჭებს უპირატესობას ბოუი ფიშერიც. ფიშერი ის კაცია, რომელიც საკმაო ხნის განმავლობაში თავად ჰოპკინს წვრთნიდა.

„პირველყოვლისა ბერნარდი რინგზე ისეთ მოკრივეს დაუპირისპირდება, რომელიც მასზე უფრო მსხვილია. ვინ ვინ და ტარვერმა ჩხუბი იცის და არც ეშინია. თუ ყოველივე შევაჯამებთ, მაშინ ბერნარდი, რამდენადაც დიდი მოკრივე არ უნდა ყოფილიყო, ძალზე მძიმე ორთაბრძოლა გადახდება თავს. მოკრივეთა შორის გაბარიტებში სხვაობა შეხვედრის ბედზე უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს“.

ისიც ვთქვათ, რომ ფიშერი 2005 წლამდე 18 წლის განმავლობაში წვრთნიდა ჰოპკინსს, შარშან კი ფინანსური უთანხმოების გამო დაშორდა აწ უკვე ყოფილ შეგირდს. ისიც ცნობილია, რომ ჰოპკინსის ორთაბრძოლაზე დასწრებას არ აპირებს. მეტიც, არც ტელეტრანსლაციას მივადევნებ თვალ-ყურსო. მიუხედავად იმისა, რომ ჰოპკინსსა და ფიშერს შორის შავმა კატამ გაირბინა, ყოფილი მწვრთნელი დაჟინებით აცხადებს, რომ ბრძოლის ბედის მისეული ვერსია პირადი უკმაყოფილებით არაა გამოწვეული.

„არ ვიცი დამიჯერებენ თუ არა, მაგრამ მე მას მართლა წარმატებას ვუსრუვებ“, - განაცხადა ფიშერმა და იქვე დასძინა, რომ ადამიანმაო ყველაფერზე უნდა აგოს პასუხი. ოდესღაც ჰოპკინსიც გაათვითცნობიერებს თუ რამდენი რამ გაუკეთებია ცხოვრებაში არასწორადო.

შორი გზიდან შემოვლას შევეშვათ და ისევ ნიუ იორკის პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ. ამჯერად სიტყვას ითხოვს ბერნარდ ჰოპკინსი: „ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ არ მივიღებდი ისეთ გამოწვევას, რომელშიც წარმატების იმედი არ მექნებოდა. საკუთარი რეპუტაციისთვის და ისტორიისთვის ვიჩხუბებ. როდესაც ტარვერს მივბეგვავ, იცოდეთ, რომ ქამარი არ მჭირდება. ყველაფრისთვის მზად ვარ და საკმაოდაც ვივარჯიშე. მინდა დავამტკიცო, რომ 10 ივნისს გამარჯვება დარჩება უფრო უკეთეს მებრძოლს... მას ვისაც უფრო სწყურია გამარჯვება. მინდა რომ ტარვერი საუკეთესო ფორმაში შემხვდეს, რათა მერე თავი არ იმართლოს“.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს თსუ-ს კორპუსებში კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესაკეთებელი ობიექტების ჩამონათვალი:

1) თსუ-ს მათემატიკის ინსტიტუტი - ჭერი, სააქტო დარბაზი;
2) თსუ-ს მათემატიკის ინსტიტუტი - ორი ტუალეტი;
3) თსუ-ს ბიოლოგიის კორპუსი - "ა" ბლოკის 1-ლი სართულის ტუალეტი;
4) თსუ-ს ბიოლოგიის კორპუსი - "ბ" ბლოკის 1-ლი სართულის ტუალეტი;
5) თსუ-ს 1-ლი კორპუსი - 1-ლი სართულის მარცხენა ფლიგელის ტუალეტი;
6) თსუ-ს 1-ლი კორპუსი - მე-3 სართულის მარჯვენა ფლიგელის კორიდორი;
7) თსუ-ს 1-ლი კორპუსი - მე-3 სართულის მარჯვენა ფლიგელის ტუალეტი;
8) თსუ-ს მე-2 კორპუსი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ოთახები N288. 300. 302. 304. და ტუალეტი;
9) თსუ-ს მე-2 კორპუსი - სპორტული დარბაზის ორი სანკვანძი;
10) თსუ-ს მე-3 კორპუსი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის N204. 205. 211. 213. 214. 215 ოთახები;
11) თსუ-ს მე-3 კორპუსი - მე-2, მე-3 და მე-4 სართულების კორიდორები.

კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების განხორციელების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 9 ივნისის 10.00 საათიდან 28 ივნისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ "რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 29 ივნისის 10.00 საათიდან 30 ივნისის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 30 ივნისის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).
2. სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 48, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური.

სატენდერო კომისია

## INVITATION FOR BIDS
## Georgia

Electricity Market Support project

Supply and Installationof 220 kV and 110 kV
Circuit Breakers and Current Transformers for GSE Substations

Credit No. 3502 GE and 3502-1-GE
IFB No: T-0805-W- 0078

1. This invitation for bids follows the general procurement notice for this project that appeared in Development Business, issue no. 645 of December 31, 2004.

2. The Government of Georgia received a Credit from the International Development Association (IDA) toward the cost of the Electricity Market Support Project, and it intends to apply part of the proceeds of this Credit to payments under the contract for Supply and Installation of 220 kV (Type outdoor SF6) and 110 kV Circuit Breakers (Type outdoor SF6) and Current Transformers for use in the infrastructure of the Georgian State Electrosystem.

3. The Georgian State Electrosystem (GSE) now invites sealed bids from eligible bidders for the Supply and Installation of Circuit Breakers and Current Transformers that include: (i) transmission system substations for the Georgian State Electrosystem; (ii) twenty-two (22) three-pole Circuit Breakers 220 kV; (iii) six (6) three-pole Circuit Breakers 110 kV; and (iv) ninety (90) single pole Current transformers with steel support structures.

4. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from the Electricity Market Support Project Service Organization and inspect the bidding documents at the address given below from 09:00 to 15:00 hours.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of GEL 330 (three hundred thirty) or USD 180 (one hundred eighty). The method of payment will be under direct deposit on the following bank account:

TBC Bank in Tbilisi, code 220101830
Account No 35700033 Georgian GEL
Account No 70070842 USD
Swift (swift code): TBCB GE 22
Recipient: PSO (Project Service Organization)

The copy of the document will be sent by courier service and interested participants may obtain Electronic version by e-mail.

7. Bids must be delivered to the address below on or before August 4, 2006, 15:00 hours (local time). All bids must be accompanied by a bid security minimum two (2) percent of the bid price in a freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below on August 4, 2006, 15:00 hours (local time).

Electricity Market Support Project Service Organization (PSO)
Attn. Mr. Teimuraz Jugeli, Director
2 Baratashvili Street
0105, Tbilisi, Georgia
Tel: (995-32) 923-483
Fax: (995-32) 923-482
E-mail: tjugeli@pso.ge
(jakhalaia@pso.ge)

## მოწვევა ტენდერზე

**საქართველო**

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი

**220 და 110 კვ. ამომრთველების და დენის ტრანსფორმატორების მოწოდება და მონტაჟი**

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქვესადგურებისათვის**

კრედიტის No.: 3502-GE და 3502-1GE

მოწვევის No: T-8005-W-0078

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისათვის 2004 წლის 9 დეკემბერს Development Business-ში (No 645) გამოქვეყნებულ შესყიდვებზე ზოგადი განაცხადის საფუძველზე.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან (IDA) საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის (EMSP) დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენებული იქნება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფრასტუქტურისათვის 220 კვ. ოცდაორი (22) კომპლექტი 110 კვ. ექვსი (6) კომპლექტი SF6 ტიპის ამომრთველის და ოთხმოცდაათი (90) ცალფაზა დენის ტრანსფორმატორის მოწოდების და მონტაჟის დასაფინანსებლად.

3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა კონკურსში იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა მათ წარმოადგინონ თავიანთი დალუქული საკონკურსო წინადადებები (შემოთავაზებები) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გადაცემის ქვესადგურებზე ამომრთველების და დენის ტრანსფორმატორების მოწოდება და დამონტაჟებისათვის რომელიც მოიცავს: ოცდაორი (22) კომპლექტ 220 კვ; ექვსი (6) კომპლექტ 110 კვ. სამფაზა ამომრთველს და ოთხმოცდაათ (90) კომპლექტ ცალფაზა დენის ტრანსფორმატორს და მათ ლითონკონსტრუქციებს.

4. შერჩევა ჩატარდება საერთაშორისო სატენდერო შერჩევის პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს ***"შესყიდვა IBRD სესხებით და IDA კრედიტებით"*** მიხედვით და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მონაწილეს, ამ სახელმძღვანელოთი განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთმოყვანილ მისამართზე 0900 დან 1500 საათამდე სამუშაო დღეებში.

6. სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია მას შემდეგ, როდესაც მონაწილეები წარმოადგენენ წერილობით განცხადს ქვემოთმოყვანილ მისამართზე და ასევე გადაიხდიან 330 ლარს ან მის ექვივალენტს 180 აშშ. დოლარს. გადახდის მეთოდი არის პირდაპირი დეპოზიტი ბანკის შემდეგ ანგარიშზე:

TBC-ბანკი თბილისში, კოდი 220101830
ანგარიში No 35700033 ქართული ლარი
ანგარიში No 70070842 ამერიკული დოლარი
SWIFT კოდი : TBCB GE 22

მიმღები: ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურეორგანიზაცია (PSO)

მონაწილეებს დოკუმენტაცია გაეგზავნებათ საფოსტო კურიერის საშუალებით. დაინტერესებულ მონაწილეებს ელექტრონული ვერსიის მიღება შეუძლიათ E-mail-ით.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 4 აგვისტოს 1500-ზე ადგილობრივი დროით. ყველა საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს შემოთავაზების ფასის მინიმუმ 2% სიდიდის საგირავნო უზრუნველყოფა (bid security). დაგვიანებით შემოსული წინადადებები უგულებელყოფილი იქნება. საკონკურსო წინადადებების კონვერტების გახსნა მოხდება ქვემოთმოყვანილ მისამართზე 2006 წლის 4 აგვისტოს 1500-ზე ადგილობრივი დროით ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, თუ ისინი გამოხატავენ სურვილს დაესწრონ ამ ღონისძიებას.

მისამართი: ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის
მომსახურე ორგანიზაცია (PSO)
თეიმურაზ ჯუღელი, დირექტორი
ბარათაშვილის ქუჩა No 2
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (995-32) 923-483
ფაქსი: (995-32) 923-482
E-mail: tjugeli@pso.ge (jakhalaia@pso.ge)

**ცვლილება 2006 წლის 22 მაისს გაზეთ "24 საათში" პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში სასკოლო ფორმების შეკერვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების ტექსტში**

2006 წლის 22 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში სატენდერო განცხადების ტექსტში, სასკოლო ფორმების შეკერვის შესახებ, შევიდეს ცვლილება, კერძოდ,

მიწოდების ვადები: ნაცვლად 2006 წლის 20 აგვისტოსი, უნდა იყოს 2006 წლის 1 სექტემბერი.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია**

## განცხადება

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოცხადებულ ტენდერებზე ხელშეკრულებები გაფორმდა:

1. ტენდერზე "საწვავ-საცხები მასალების შესყიდვა" (T0306G0159)

საწვავი მასალების შესყიდვაზე ლოტი N1-ის მიხედვით - შპს "ლუკოილ ჯორჯიასთან";

საცხები მასალების შესყიდვაზე ლოტი N2-ის მიხედვით - შპს "წითელქუდა ტექნიკსთან";

2. ტენდერზე "სპეცტექნიკით მომსახურების შესყიდვა" (T0206G0149)

ლოტი N4-ის, ლოტი N24-ის და ლოტი N28-ის მიხედვით - შპს "დევიტრანსთან"

3. ტენდერზე "სსე-ს კუთვნილი ტვირთების გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა"

(T0306G0158) ლოტი N1-ის, ლოტი N2-ის, ლოტი N4-ის და ლოტი N5-ის მიხედვით -

შპს "გრეკო ტრანსთან".

## ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" განცხადება

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაცნობებთ 2006 წლის 9 მარტს აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. "ბეიკერ ტილი ჯორჯიასთან"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს მესტიასა და გურჯაანში სპორტული დარბაზის, ჭიათურაში საცურაო აუზის სარემონტო სამუშაოების შესყიდვისათვის.**

**შესასყიდი ობიექტები დაყოფილია 3 (სამ) ლოტად, შემდეგი სახით:**

| ლოტი | რაიონი | ობიექტი | მისამართი |
|---|---|---|---|
| **N** 1 | ჭიათურა | საცურაო აუზი | ჭავჭავაძის ქ. N38 |
| **N** 2 | გურჯაანი | სპორტული კომპლექსი | თამარ მეფის ქ. N37 |
| **N** 3 | მესტია | სპორტული დარბაზი | სტადიონის ქ. |

**ლოტზე N1** პროექტით გათვალისწინებულია საცურაო აუზის კაპიტალური შეკეთება, კერძოდ: შესაკეთებელია სახურავი, ფასადები, იობები, იატაკები და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

**ლოტზე N2** პროექტით გათვალისწინებულია სპორტული კომპლექსის ნაწილობრივი კაპიტალური შეკეთება, კერძოდ: ფასადები, სახურავი, შენობაში არსებული მინი ფეღბურთის მოედანი, საჭირო ოთახები და სათავსების კაპიტალური შეკეთება.

**ლოტზე N3** პროექტით გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის გათბობის, წყალ-გაყვანილობის, ვენტილაციის და კეთილმოწყობის სამუშაოები.

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ 29 ივნისის 17.00 საათამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*

*სახაზინო კოდი - 302003000*

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით არაუგვიანეს **2006 წლის 1 ივლისს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**- იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**- ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 1 ივლისს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **2 ივლისს 17.00 საათზე.**
- სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღე.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ**

**ირაკლი სამყურაშვილი- 899 777-103**

**თენგიზ ღურწკაია - 899 229 -280**

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს იაპონიის გრანტის პროგრამა 2KR-VII-ით მიღებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების რეალიზაციის შესახებ, კახეთის რეგიონში აგროსაინჟინრო სერვის ცენტრების შექმნის

**მიზნით შემდეგი სქემის მიხედვით.**

| კახეთის რაიონები | ლოტის ღირებულება | კომბაინი | ტრაქტორი 105 ცძ (ბელორუსია) | გუთანი | დისკებიანი ფარცხი | როტარული ფრეზი | ლაფეტი | ტრაქტორი 57 ცძ (ბელორუსია) | გუთანი 2 ფრთიანი | როტარული ფრეზი | დისკებიანი ფარცხი | ლაფეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (ლარი) | 100,511.00 | 39,761.00 | 6,062.00 | 5,894.00 | 3,773.00 | 4,763.00 | 24,763.00 | 2,965.00 | 2,616.00 | 2,790.00 | 2,616.00 |
| **ახმეტა** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **165782,00** | | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| **გურჯაანი** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **187335,00** | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ლოტი (II) | **122491,00** | | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| **დედოფლისწყარო** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **219 885,00** | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლოტი (II) | **219 885,00** | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლოტი (III) | **127 884,00** | | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ლოტი (IV) | **126 927,00** | | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| **თელავი** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **112 263,00** | | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ლოტი (II) | **122 491,00** | | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| **ლაგოდეხი** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **112 579,00** | | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 |
| ლოტი (II) | **122 175,00** | | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| **საგარეჯო** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **224 975,00** | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ლოტი (II) | **156 113,00** | | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 |
| **სიღნაღი** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **209 169,00** | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ლოტი (II) | **119 875,00** | | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ლოტი (III) | **123 306,00** | | 2 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| **ყვარელი** | | | | | | | | | | | | |
| ლოტი (I) | **165 781,00** | | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რეგისტრირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

2 კონკურსში მონაწილეობის მსურველების განაცხადების მიღება დაიწყება 5 ივნისს და დამთავრდება 16 ივნისს, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 18 საათამდე სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას N41. საკონტაქტო ტელეფონი: 93-55-02 ან 898-144676

3. კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 20 ივნისს. 14 საათზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონფერენციო ოთახში, მე-4 სართულზე.

4. გრანტით მიღებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებები მდებარეობს:

ა) ქ. თბილისი, ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, შ.პ.ს.. "აგრორემმანქანასერვისი", საკონტაქტო პირი გივი ქურდიანი, ტელ: 299-900295

ბ) მცეთის რაიონი, სოფ. წეროვანი "სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგური", საკონტაქტო პირი ზურაბ გოგოლაძე, საკონტაქტო ტელ: 899-252393

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამინისტროში დაინტერესებულმა პირებმა დალუქული კონვერტით

(შესაბამისი აღნიშვნით) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, სადაც სავალდებულოა მითითებული იყოს ლოტი, მაძიებლის თანხმობა საკონკურსო პირობების შესრულებაზე და "ბე"-ს ოდენობა ლოტის ღირებულების არანაკლებ 20%-ისა;

ბ) ბიზნეს გეგმა;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება კონკურსში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ვ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ კონკურსში მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან ხალმძღვანელების მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ძებნაში არ იმყოფებიან;

ზ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

თ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ი) პირადობის დამადასტურებელი მონაცემები (ასლი) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

კ) ცნობა სასამართლოდან ქმედუნარიანობის შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ლ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი ტერიტორიის იჯარის ან საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები (ფოტოსურათების ჩათვლით).

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია:

ა) კონკურსის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს "ბე"-ს ჩარიცხვა;

ბ) "ბე"-ს ჩარიცხვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება და უზრუნველყოს მისი ნოტარიული დამოწმება;

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში განახორციელოს ტრაქტორებზე და კომბაინებზე დაზღვევა;

დ) დაიცვას ტექნიკის მოვლა-შენახვის საექსპლუატაციო წესები;

ე) უზრუნველყოს შესაბამისი რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი სუბიექტებისათვის (წვრილი, საშუალო, მსხვილი ფერმერები, საოჯახო მეურნეობები და ა.შ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებით მომსახურების გაწევა;

ვ) უზრუნველყოს ლოტის ღირებულების სრული დაფარვა არაუგვიანეს 2011 წლის 11 მარტისა.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია:

1. ლოტის ღირებულების სრული დაფარვა

2. "ბე"-ს ოდენობა - ლოტის ღირებულების 20%-ზე ზევით.

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 30 მაისს გაზეთ “24 საათში" ქართული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცახდებაში შესული ცვლილებები და დამატებები:

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქართული ტრადიციული ეროვნული ხალხური მუსიკალური (არა ტემპერირებული) ინსტრუმენტების შესასყიდად.

***ლოტი III***

სალამური - უენო 1 და ენიანი 81 ცალი.

მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 27 სექტემბერი.

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 30 მაისს გაზეთ “24 საათში" ქართული ეროვნული საცეკვაო კოსტიუმებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცახდებაში შესული ცვლილებები და დამატებები:

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქართული ეროვნული კოსტიუმებისა და აქსესუარების შესასყიდად:

***ლოტი I***

ჩოხა - მომღერლებისათვის:
შინდისფერი, შალის - 473 ცალი (აქედან 25 მეგრული),
თეთრი, შალის - 97 ცალი (აქედან 49 იმერული ჩოხა),
რუხი, შალის - 20 ცალი
წითელი, შალის - 185 ცალი,
ღია ყავისფერი, შალის - 12 ცალი,
ხევსურული, შალის - 12 ცალი,
სხვადასხვა ფერის, შალის - 12 ცალი (ერთი ანსამბლისათვის),

ჩოხა - მოცეკვავეთათვის:
აჭარულის, შალის - 266 ცალი,
ყარაჩოღლური, შალის, შავი - 40 ცალი,
შინდისფერი, შალის - 248 ცალი (აქედან 31-მთიულურის, 20-მწყემსურის, 197- ქართულის),
თეთრი, შალის - 53 ცალი (აქედან 15-სვანურის, 26-ქართულის, 12-დავლურის),
რუხი, შალის - 120 ცალი (აქედან 15-ქართულის, 26-ოსურის, 79-სვანურის),
წითელი, შალის - 269 ცალი (აქედან 63-ქართულის, 98-ხევსურულის, 20-ყურთმაჯიანის, 48-მთიულურის, 40-აფხაზურის),
ღია ყავისფერი) - 31 ცალი (აქედან 15-დავლურის, 16-ქართულის).

***ლოტი II***

შარვალი, ატლასის, შავი -1838 ცალი.
ახალუხი, ატლასის, ჩოხასთან შესაბამისი ფერებით - 1838 ცალი.

***ლოტი VII***

კაბა (კომპლექტი) - მომღერლებისათვის:
მოხევურის, წითელი, შალის - 17 ცალი,
თუშურის, წითელი, შალის - 1 ცალი,
ქართულის, ფარჩის - 21 ცალი (აქედან 9-ოქროსფერი, 12-ვერცხლისფერი),
ხევსურულის, შალის, წითელი - 25 ცალი,
იმერული დაჩითულის - 5 ცალი.

კაბა (კომპლექტი) - მოცეკვავეთათვის:
ქართულის, ფარჩის - 321 ცალი (აქედან 122-თეთრი 106-ვერცხლისფერი, 93-ოქროსფერი),
აჭარულის ფარჩა და ბარხატით გაწყობილი -200 ცალი,
დავლურის, თეთრი, ფარჩის - 41 ცალი,
აფხაზურის, შალის, თეთრი - 40 ცალი,
მთიულურის, შალის, წითელი - 12 ცალი,
მოხევურის, შალის, წითელი - 31 ცალი,
ხევსურულის, შალის, შინდისფერი - 64 ცალი,
მწყემსურის, შალის, თეთრი - 20 ცალი,
ოსურის, ატლასი, თეთრი - 71 ცალი.

***ლოტი VIII***

ფეხსაცმელი მოცეკვავეთათვის:
ტყავის, ვერცხლისფერი - 673 წყვილი.

***ლოტი IX***

ქალამნები მოცეკვავეთათვის:
ტყავის, შავი - 127 წყვილი.

მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 27 სექტემბერი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **მიწისქვეშა სკანირების რადარების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი და მისი ძირითადი მახასიათებლებია:

**ლოტი N1. პორტატიული მიწისქვეშა სკანირების რადარი (GPR) - ერთი ცალი**

**ა) დანიშნულება**

მიწის ზედაპირის ქვეშ და ბეტონის კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა გათხრის და დანგრევის გარეშე, რაც მოიცავს:

- ლითონის, პოლიმერული და სხვა მასალისაგან დამზადებულ მიწისქვეშა კომუნიკაციების (გაზის, წყლის, კანალიზაციის მილები, რეზერვუარები, ელ. კაბელები და სხვა ობიექტები) აღმოჩენა და მათი ლოკალიზაცია;
- აღმოჩენილი ობიექტის სახის და ზუსტი მდებარეობის და ჩაღრმავების განსაზღვრა;
- მკაფიო, ფერადი, სამგანზომილებიანი და ადვილად წასაკითხი გამოსახულების მიღება;
- მონაცემთა დამახსოვრება, გადაცემა და მათი შემდგომი დამუშავება რუკების და სქემების შედგენის მიზნით;

**ბ) ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები;**

- სკანირების სიღრმე: 0 - 4მ და 0 - 6მ;
- ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა;
- საველე პირობებში მუშაობის შესაძლებლობა;
- ავტონომიური კვება;
- კვების ელემენტების მრავალჯერადი დამუხტვის შესაძლებლობა;
- ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობა: 5 - 10 საათი;
- დისპლეიზე ფერადი, 3D გამოსახულების მიღება.

Windows-2000 an XP-სთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფა.

**ლოტი N2. ხელის მიწისქვეშა სკანირების რადარი (Hანდყშცან)**
**ა) დანიშნულება**

- ლითონის, პოლიმერული და სხვა მასალისაგან დამზადებულ ფარული კომუნიკაციების (წყლის მილები, ელ. კაბელები, არმატურა) აღმოჩენა და მათი ლოკალიზაცია;
- აღმოჩენილი ობიექტის სახის და ზუსტი მდებარეობის და ჩაღრმავების განსაზთვრა;
- ასფალტის და ბეტონიეს სისქის გაზომვა
- მკაფიო, ფერადი, სამგანზომილებიანი და ადვილად წასაკითხი გამოსახულების მიღება;
- მონაცემთა PC-ში დამახსოვრება, გადაცემა და მათი შემდგომი დამუშავება.

**ბ) ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები;**

- სკანირების სიღრმე:0 - 0.5მ
- ავტონომიური კვება;
- კვების ელემენტების მრავალჯერადი დამუხტვის შესაძლებლობა;
- ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობა: 2 - 3 საათი;
- დისპლეიზე ფერადი, 3D გამოსახულების მიღება.
- მონაცემთა ადგილზე ამობეჭვდის საშუალება;
- Windows-2000 an XP-სთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფა;
- დაბალი წონა: მაქსიმუმ 1კგ.

გათვალისწინებული უნდა იყოს, აგრეთვე თრეინინგის ჩატარება "თბილწყალკანალი"-ს პერსონალისათვის.

**2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა: ერთი თვე

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 29 ივნისის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 ივნისის 1000 საათიდან - 1500 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ზურაბ ღონღაძე, ტელ; 487 140, ელ.ფოსტა: **zgongadze@TWU.Water.ge**, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმართველობის მშენებლობის სამსახური აცხადებს ტენდერს ქ.ფოთში 9 აპილის ხეივანის კეთილმოწყობის სამუშაოებზე ლოტების შესაბამისად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიული ან$და ფიზიკურ პირს.

2.გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3.დაინტერესებულ იურიდიულ ან$და ფიზიკურ პირებს სატენდერო დაკომენტაციის მიღება 8ქართულ ენაზე) შეეცლებათ 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N 200122900, მიმღები ბანკი:საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000) 2006 წლის 8 ივნისიდან, მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33

4..დაინტერესებულმა იურიდიულმა ან$და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 29 ივნისის 16.00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი დ.აღმაშენებლის N 33.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

5.1 ცნობები:

5.1.1.იურიდიული პირისათვის:

ა)ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ)ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.2. ფიზიკური პირისთვის:

ა)ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ)ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ)ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

5.1.3.როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირისათვის:

ა)ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მანქანა-მექანიზმები მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| მანქანა-მექანიზ-მების დასახელება | აღწერილობა, მოდელი,ტიპი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთრება |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

ბ)იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და

დანადგარები იმყოფება მის საკუთრებაში ან სარგებლობაში წარმოდგენილი უნ- და იქნეს შესაბამისი დამასტურებელი დოკუმენტები.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით);

ა)ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ

ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან$და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობს საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

5.3.ინფორმაცია, იურიდიული ან$და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003,2004,2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიული სამუშაოების გამოცდილების შესახებ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულე ბის ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

6.იურიდიული ან$და ფიზიკური პირის მიერ წარმოდეგნილი ცნობები და ინფორმაცია, სამსახურის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით თუშჭდუბა იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7.იურიდიული ან$და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატერდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8.იურიდიული ან$და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

9.ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია-ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5-%-ის ოდენობით.

10.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის სამსახურში, საკონტაქტო ტელეფონი 8-293-2-23-70 გერონტი ბერია.

**სატენდერო კომისია**

# სარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

*თერჯოლის რაიონში, ჭიშურის საცემენტე კირქვების, ბროლისქედის სპოლგოლიტების და ნახშირღელეს საცემენტე თიხების საბადოებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ*

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტები | თერჯოლის რაიონში ჭიშურის საცემენტე კირქვების, ბროლისქედის სპოლგოლიტების და ნახშირღელეს საცემენტე თიხების საბადოები |
| საცემენტე ნედლეულის მარაგები | ჭიშურის კირქვები:<br>30,2 მილიონი ტონა<br><br>ბროლისქედის სპონგოლიტები:<br>5,2 მილიონი ტონა (საშ. მოცულობითი წონა-1,9 ტონა/მ$^3$) – 2,74 მილიონი მ$^3$<br><br>ნახშირღელეს თიხები:<br>10,1 მილიონი ტონა (საშ. მოცულობითი წონა-2,0 ტონა/მ$^3$) – 5,05 მილიონი მ$^3$ |
| წლების მიხედვით მოპოვება | 2007 წელს 20 000 ტ. კირქვა<br>2 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) სპონგოლიტი<br>1 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) თიხა<br><br>2008 წელს 30 000 ტ. კირქვა<br>4 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) სპონგოლიტი<br>2 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) თიხა<br><br>2009 წელს 50 000 ტ. კირქვა<br>5 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) სპონგოლიტი<br>3 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) თიხა<br><br>2010 წელს 500 000 ტ. კირქვა<br>10 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) სპონგოლიტი<br>6 000 ტ (შესაბამისი მ.კუბ) თიხა<br>2011 წლიდან მინიმალური მოპოვება შეადგენს:<br>1 000 000 ტ. კირქვა<br>100 000 ტ. (შესაბამისი მ.კუბ) სპონგოლიტი<br>50 000 ტ (შესაბამისი მ.კუბ) თიხა |
| აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო, ადგილი | აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 8 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 7 ივლისს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. გულუას ქ №6 ტელ. 27-57-60 |
| აუქციონზე გამოსატანი ობიექტის საწყისი ფასი | 1 300 000 ლარი<br><br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 5%-ს – 65 000 ლარი |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შემოტანის ქვითარი | „ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა გადაიხადოს ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ყოველ თვეში თანხის შესაბამისი პროპორციულობით გადახდით, ასევე გამარჯვებულს შეუძლია მთლიანი თანხის გადახდა ნებისმიერ დროს აღნიშნული ვადის ფარგლებში.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 900 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი:საქართველოს ეროვული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი 300033022 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | 1) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>– საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის –სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>2) სალიცენზიო მოსაკრებლის და საწყისი ფასიდან „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# სს "საქჰიდროენერგომშენის" კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

სს **"საქჰიდროენერგომშენი"** აცხადებს კონკურსს კუთვნილი თავისუფალი ფართის გაცემის თაობაზე.

საიჯარო ფართი მდებარეობს ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N50.

საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს პირველ სართულზე 8 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, მეორე სართულზე კი 12 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

განცხადება მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის დადგენილი "ბეს" სიდიდე შეადგენს 100 ლარს.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 23 ივნისს 12 საათზე.

განცხადება მიიღება: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული,

სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს ადმინისტრაცია.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ**
**სს "საქჰიდროენერგომშენის" ადმინისტრაციას.**
**საკონტაქტო ტელეფონები:**
**25-09-59, 25-30-35, 899-22-37-19**

# განცხადება სს კ/ბ "ლიბერტი" ბანკის მეანაბრეთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ სს კ/ბ "ლიბერტი" ბანკის სალიკვიდაციო კომისია 2006 წლის 12 ივნისიდან იწყებს ანაბრების გაცემას თითოეულ მეანაბრეზე 1500 (ათას ხუთასი) ლარის ფარგლებში.

მეანაბრეები თანხის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი გოგებაშვილის ქ. №60 და უნდა წარმოადგინონ:

1. პირადობის მოწმობა და მისი ქსეროასლი
2. საანაბრე წიგნაკი და მისი ქსეროასლი.

სს კ/ბ "ლიბერტი" ბანკის სალიკვიდაციო კომისია

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს კონკურსს ქონების იჯარაში გადაცემაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (შემდგომში - "პარკი"), დაფუძნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 9 აგვისტოს N 82 დადგენილებით, აცხადებს კონკურსს **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კაფეს ირგვლივ მოსაპირკეთებული ფართი შეადგენს 1,100.00 კვ. მეტრს, დაშენების ფართი - 250.00 კვ. მეტრს, მისასვლელი გზა - 178.08 კვ. მეტრს. აღნიშნული ქონება არ არის რაიმე ვალდებულებით დატვირთული.

3. კონკურსის ტიპი - კომერციული, სახე - პირობიანი.

4. წლიური საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობაა - 10000 ლარი.

5. იჯარის მაქსიმალური ვადა - 10 წელი.

6. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის შემდეგი პირობები:

ა) იჯარაში აღებული ქონება გამოიყენოს მოსახლეობის კულტურულ-გასართობი დასვენებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის მიზნით. მოიჯარეს უფლება არ აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ეს ქონება;

ბ) შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, 2006 წლის 1 აგვისტომდე მოახდინოს იჯარაში აღებული ქონებისა და მისი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლება.

7. მოიჯარე ვალდებულია წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველკვარტალურად, კვარტალის მესამე თვის მეთხუთმეტე დღეს, მათ შორის I და IV კვარტლებში - წლიური საიჯარო ქირის ათ-ათი პროცენტის, II კვარტალში - ოცდაათი პროცენტის, III კვარტალში - ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით.

8. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვა, გასწიოს ამ ქონებასთან დაკავშირებული კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობის, დაცვისა და სხვა ხარჯები, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები.

9. მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს იჯარაში აღებული ქონების რეკონსტრუქცია-გაფართოება და სხვა გაუმჯობესებანი მეიჯარეს თანხმობითა და მშენებლობის წარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება.

11. კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი.

12. დაინტერესებულმა პირებმა, პარკის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა, ქართულ ენაზე, შეუძლიათ მიიღონ სამუშაო დღეებში დილის 10 საათიდან 17 საათამდე პარკის შემდეგ იურიდიულ და ფაქტიურ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, პარკის ადმინისტრაცია.

13. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს:

ა) შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსში მონაწილის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) საკონკურსო წინადადება, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ (შემოთავაზებული საიჯარო ქირა მითითებული უნდა იყოს სიტყვიერად და ციფრებით);

გ) "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს მოქალაქე (რეზიდენტი) ფიზიკური პირის მიერ:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი. ინდივიდუალური მეწარმე (საწარმო) წარმოადგენს აგრეთვე ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

- შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) უცხო ქვეყნის ფიზიკური პირის მიერ - მისი პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ;

ვ) საქართველოში რეგისტრირებული (რეზიდენტი) იურიდიული პირის მიერ:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ან, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან) და წესდების (დებულების) ასლი, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობა იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

- მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობა ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

ზ) უცხო ქვეყნის იურიდიული პირის მიერ - ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის რეესტრიდან და სხვა დამადასტურებული საბუთები, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი (თუ ის საქართველოს მოქალაქეა) ან პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ (თუ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

თ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.

14. კონკურსში მონაწილეობისათვის ბეს სიდიდე შეადგენს წლიური საიჯარო ქირის მინიმალურ ოდენობის 10 პროცენტს ანუ 500 ლარს. ის უნდა ჩაირიცხოს ზღვისპირა პარკის ანგარიშზე N 5609555 "თი ბი სი ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი N 220501835,

საიდენტიფიკაციო კოდი N245541864, ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - ბე **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** კონკურსში მონაწილეობისათვის.

15 დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რეკონსტრუქცია-განახლების პროექტის ბეჭვდითი და ელექტრონული ვერსიები და საკონკურსო წინადადება, რომელშიც წლიური საიჯარო ქირის ოდენობა არ შეიძლება იყოს ამ განცხადებაში მითითებულ საიჯარო ქირაზე ნაკლები, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 ივნისიდან 2006 წლის 30 ივნისის ჩათვლით, სამუშაო დღეებში, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N13, პარკის ადმინისტრაცია. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 30 ივნისს 18 საათზე, იმავე მისამართზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

16 კონკურსის შედეგების შესახებ წერილობით ეცნობება მის მონაწილეებს 2006 წლის 5 ივლისამდე, ხოლო, შემდგომ, 10 კალენდარულ დღეში, კონკურსში გამარჯვებულს ხელმოსაწერად, წერილობით გადაეცემა (გაეგზავნება) საიჯარო ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების გაფორმება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოწმდება სანოტარო წესით და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. სანოტარო და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს ფარავს მოიჯარე. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ბე არ დაუბრუნდება.

18. ქონების იჯარაში აღებისას, "ბე" მოიჯარეს ეთვლება პირველი კვარტლების საიჯარო ქირის დაფარვისას.

19. კონკურსში დამარცხებულებს კონკურსში მონაწილეობისათვის ჩარიცხული ბე უბრუნდებათ შედეგების გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მათთვის მოსახერხებელი ფორმით.

20. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ბატონ ვახტანგ წულაძესთან, პარკის ოფისში, ასევე საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(93) 750155, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით - info@batumipark.com

**საკონკურსო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. თავმჯდომარის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1300 ლარი);
2. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი);
3. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმვის, კურორტების განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600 ლარი);
4. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600 ლარი);
5. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი);
6. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საერთაშორისო ტურიზმის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600 ლარი);
7. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შიდა ტურიზმის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომში - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე - პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

*დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

**1. თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში ან კურორტოლოგიაში;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი და საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) საერთაშორისო ურთიერთობების, უწყებათაშორისი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე ტურიზმის განვითარების გეგმების შემუშავების გამოცდილება;
ე) კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტებზე და კურორტების განვითარების გეგმებზე მუშაობის გამოცდილება;
ვ) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ზ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

**2. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში, კურორტოლოგიაში ან უმაღლესი იურიდიული განათლება;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე ტურიზმის განვითარების გეგმების შემუშავების გამოცდილება;
ე) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ვ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

**3. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმვის, კურორტების განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში ან კურორტოლოგიაში;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) სტატისტიკური და მარკეტინგული კვლევების ჩატარების გამოცდილება;
ე) კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
ვ) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ზ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

**4. დაგეგმვა-განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო -**

**სამეურნეო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენის ცოდნა;
ე) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet და სპეცილური საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

**5. მარკეტინგისა და საზოგადაოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში ან მარკეტინგში;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ)გამოცდილება მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროებში, სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობაში, პროექტების შემუშავებასა და წარმართვაში;
ე) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ვ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

6. **მარკეტინგისა და საზოგადაოებასთან ურთიერთობის სამსახურის საერთაშორისო ტურიზმის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში ან მარკეტინგში;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) გამოცდილება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროებში, სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობაში;
ე) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ვ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

7. **მარკეტინგისა და საზოგადაოებასთან ურთიერთობის სამსახურის შიდა ტურიზმის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

ა) მიღებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება საზოგადოებრივ ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, ტურიზმის მენეჯმენტში ან მარკეტინგში;
ბ) სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
დ) გამოცდილება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროებში, სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობში;
ე) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;
ვ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

კონკურს ატარებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4)
5. საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;
6. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში 11 საათიდან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა ტესტირებით და გასაუბრებით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად").

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ტელ: 381535; 381554

**საჯარო სამსახურის ბიურო**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს/ს ახალციხის რაიონული საავადმყოფი (ქ. ახალციხე, რუსთაველის 105 ა) საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად აცხადებს ტენდერს საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების, რეაქტივებისა და ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო მასალის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:
ლოტი 1. ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებები
ლოტი 2. სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები
ლოტი 3. ანტიბიოტიკები, ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული საშუალებები
ლოტი 4. გადასასხმელები (ელექტროლიტები)
ლოტი 5. პლაზმური ხსნარები
ლოტი 6. ანალგეზიურ-სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები
ლოტი 7. ჰორმონალური საშუალებები
ლოტი 8. ადრენომიმეტიკები
ლოტი 9. მიორელაქსანტები
ლოტი 10. ვიტამინები
ლოტი 11. დიარეის საწინააღმდეგო საშუალებები
ლოტი 12. დიურეზული საშუალებები
ლოტი 13. ამოსახველებელი საშუალებები
ლოტი 14. ანტიკოაგულანტები
ლოტი 15. ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებები
ლოტი 16. ანტიჰისტამინური საშუალებები
ლოტი 17. საგულე საშუალებები
ლოტი 18. ნოოტროპიული საშუალებები
ლოტი 19. ანტიჰიპერტენზიული საშუალებები
ლოტი 20. სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები
ლოტი 21. სამედიცინო აირი
ლოტი 22. შესახვევი მასალები
ლოტი 23. სამედიცინო დანიშნულების საგნები
ლოტი 24. საოპერაციო საკერი მასალა
ლოტი 25. სადიაგნოსტიკო საშუალებები
ლოტი 26. სადეზინფექციო საშუალებები
ლოტი 27. ლაბორატორიული საშუალებები

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის ივლისიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: ახალციხის რაიონული საავადმყოფო. ქ. ახალციხე, რუსთაველის 105 ა.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 ივნისს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის 105 ა. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 29 ივნისს 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღ2ვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;
გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;
დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროების შემთხვევაში);
ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები გაერთიანებული ქართული ბანკის ახალციხის ფილიალი, ბანკის კოდი № 220101617, ანგარიშის № 1593402, საიდენტიფიკაციო კოდი № 224066891 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 12 ივნისიდან 28 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის 105 ა.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს არა აქვთ ალტერნატიული წინადადების წარმოდგენის უფლება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით მაისურაძე, ტელ.: (8 265) 5 02 10, მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის 105 ა.

**სატენდერო კომისია**

**საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს ჰიდროენერგეტიკის დარგში ტექნიკური მომსახურების სააგენტოს ან დამოუკიდებელი ექსპერტის დაქირავებაზე**

**ძირითადი მოვალეობები:**

- დუშეთის რაიონის სოფელ როშკაში პროგრამის ფარგლებში აგებული მიკრო ჰიდროელექტრო სადგურის შესწავლა-შეფასებების ჩატარება და დასკვნის მომზადება.
- სადგურის პირველადი გაშვების პროცესში მონაწილეობის მიღება.
- სადგურის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროს დაშვებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ტექნიკური რეკომენდაციების, შესასრულებელი სამუშაოებისა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის დამქირავებლისათვის წარდგენა აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

1. მიკრო ჰიდროელექტრო სადგურების შეფასების დადასტურებული გამოცდილება.
2. მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება (ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობასა და რეაბილიტაციის ზედამხედველობაში).
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.
4. კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ან დამოუკიდებელმა ექსპერტებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციისა და მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები.

საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 8 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. 41, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა, ოთახი 501. ტელ.: 98-53-44, 92-39-71.

ელექტრონული ფოსტა: pmu@rdpmha.org.ge

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ბაღ-სკვერების და მოედნების განათების ქსელის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ბაღ-სკვერების და მოედნების განათების ქსელის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს 4 ლოტი (პოზიცია) :

1. ქ. თბილისში გმირთა მოედანზე მდებარე წრიულ ზოლში დამონტაჟებული "ფლაგშტოკების" მხატვრულიო მინათება;
2. მარჯანიშვილის N2 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის მხატვრული მინათება;
3. სუხიშვილის ქუჩაზე ვარკეთილში მდებარე წმ. გიორგის ეკლესიისა და სკვერის მხატვრული განათება;
4. აღმაშენებლის 99-ში მოზარდ მაყურებელთა თეატრის მხატვრული მინათება.